

"მადნეული" 8-ობიექტიან "თაიგულში" იყიდება A6



შსს-მ ავტომანქანების ბაზრობაზე რეიდი ჩაატარა A7



ერთი ი-მეილის გამო B3


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 13 მაისი, 2005 წელი. №105 (965)

ფასი 50 თეთრი

## საზოგადოება

### ცოტნე ბაკურია: "პოლიტიკური ალსარება დადებითი ფენომენია"



ასლან აბაშიძის "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი ცოტნე ბაკურია "24 საათის" კითხვებს ვაშინგტონიდან ინტერნეტის საშუალებით პასუხობს.

A4

## სამართალი

### ბერეზოვსკის ფულის წარმომავლობით ფრანგი სამართალდამცველები დაინტერესდნენ



ოთხშაბათს საფრანგეთის მსხვილ ფინანსურ დანაშაულებთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს (OCRGDF) თანამშრომლებმა გაჩხრიკეს სკანდალური რუსი ოლიგარქის, ამჟამად პოლიტემიგრანტის სტატუსით საზღვარგარეთ მცხოვრები ბორის ბერეზოვსკის სასახლე.

A5


იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8


## ამინდი

| | 13/05 | 14 /05 | 15 /05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 30 | 24 | 25 |
| ქუთაისი | 30 | 15 | 16 |
| ბათუმი | 25 | 10 | 13 |
| სოხუმი | 25 | 13 | 17 |
| ფოთი | 27 | 12 | 16 |
| თელავი | 30 | 23 | 24 |
| ზუგდიდი | 30 | 14 | 17 |
| გორი | 25 | 12 | 16 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8225 |
| ევრო | 2.3450 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.4383 |
| რუბლი | 0.0655 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |
| თვალსაზრისი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# "განკითხვის დღე" ახლოვდება

### ბაზების საკითხმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კვლავ გაამწვავა

დიმიტრი ავალიანი

*15 მაისის შემდეგ რუსული სამხედრო ბაზები საქართველოში აქტიური ზეწოლის ქვეშ მოექცევა. ასე აპირებს ქვეყნის პარლამენტი თავისი დადგენილების შესრულებას იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება ორ ქვეყანას შორის ამ თარიღამდე ვერ მიიღწევა. რუსეთის რეაქცია კი მოწმობს, რომ შეთანხმების მიღწევა ამ მოკლე დროში შეუძლებელია.*

იმის შესახებ, რომ ვადა იწურება, რუსულ მხარეს გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ შეახსენა. ლატვიაში გამგზავრების წინ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსული სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანასთან დაკავშირებით მხარეებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი მის მიერ 9 მარტს მიღებული დადგენილების ამოქმედებას მოითხოვს. რუსეთის ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, აღნიშნა ბურჯანაძემ, რომ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება აუცილებლად ამოქმედდება, რაც ბაზების კანონგარეშედ გამოცხადებას და მათთვის ცალმხრივად "გაყვანის რეჟიმის" დაწესებას ნიშნავს.

კერძოდ, ამ დადგენილების თანახმად, ბაზების გაყვანის ბოლო ვადად 2006 წლის 1 იანვარია განსაზღვრული. რუსი სამხედროებისთვის პარლამენტის მიერ დაწესებულ "სიურპრიზებს" შორის არის აკრძალვა პირადი შემადგენლობის შევსებაზე და წვრთნების ჩატარებაზე, უარი ვიზების გაცემაზე და მკაცრი კონტროლი გადაადგილებებზე. გარდა ამისა, დაწვრილებით უნდა იქნეს გაანგარიშებული სამხედრო ბაზების ფინანსური დავალიანება საქართველოს მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ ბაზები ქვეყნის ტერიტორიას წელსვე არ დატოვებენ (რაც, დიდი ალბათობით, ასეც იქნება), ზომები უფრო გამკაცრდება, კომუნიკაციების გადაჭრისა და ბაზების ტერიტორიის გარეთ გადაადგილების სრული აკრძალვის ჩათვლით.

**"თუ გადაიდგმება ნაბიჯები, რომლებიც ჩვენს ბაზებს ან რუსეთის მოქალაქეების სიცოცხლეს საშიშროებას შეუქმნის, მათი ნორმალური სასიცოცხლო უზრუნველყოფის თვალსაზრისით, შაიარაღებაზე არსებული საბრძოლო მასალების უცხო ხელში მოხვედრის საფრთხეზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენ გულხელდაკრეფილები არ ვიჯდებით,"** -

გაგრძელება A3 გვერდზე




*ასეთი შინაარსის საპროტესტო პლაკატი, არაერთგზის გამოფენილა რუსეთის საელჩოს წინ, მაგრამ "შეაყარე კედელს ცერცვი".*

## ბუში შთაბეჭდილებებს კონგრესს უზიარებს

ნინო გომართელი

***"ეს დიდებული ტურნე იყო,"*** *- ასე შეაფასა ჯორჯ ბუშმა საკუთარი ევროპული ტურნე, როდესაც ამერიკელ კონგრესმენებს მოსკოვში, ლატვიაში, ნიდერლანდებსა და საქართველოში საკუთარი ვიზიტის შთაბეჭდილებებს უზიარებდა. ამ საუბრისას ყველაზე საინტერესო დეტალი კი მოსკოვში ჩასვლას ეხებოდა - დასავლეთში გახშირებული კრიტიკის შემდეგ აშშ-ს ლიდერმა ვლადიმირ პუტინი მეგობრად მოიხსენია.*

**"ფანტასტიკური შეგრძნებაა, იდგე 150 ათასი, თავისუფლების მოყვარული ადამიანის წინაშე,"** - ასე გაიხსენა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თბილისში ორდღიანი ვიზიტი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკა ყოველთვის ეხმარებოდა და კვლავაც დაეხმარება იმ ქვეყნებს, რომლებსაც ტირანიის საფრთხე დაემუქრებათ.

ლატვიაში ვიზიტი მან ძალზე "შთამბეჭდავ გამოცდილებად" შეაფასა, რადგან შესაძლებლობა მიეცა, თვალი ედევნებინა დემოკრატიის გზაზე ახლად დამდგარი ქვეყნისთვის და ხალხისთვის, რომელსაც თავისუფლება უყვარს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## გოგა ხაინდრავა: "ვერაფერს მივაღწიეთ"

### ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდი ივნისში გაიმართება

ვერიკო თევზაძე

**"აფხაზეთში არ არის ის ვითარება, რომ აფხაზურ მხარეს, რუსეთის პოზიციის გათვალისწინების გარეშე, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება შეეძლოს. ამიტომაც, მნიშვნელოვანს და განსაკუთრებულს ვერაფერს მივაღწიეთ. მე ვფიქრობ, რომ ქართულ-აფხაზური მოლპარაკებების განხილვა რუსულ-ქართული ურთიერთობის საერთო კონტექსტიდან განცალკევებით მართებული არ არის,"** - ასეთი კომენტარი მისცა "24 საათს" კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ.

ერთადერთი კონკრეტული გადაწყვეტილება, რაც გუშინ გალში გამართული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების დროს მიიღეს, ის გახლავთ, რომ მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდი ივნისის შუა რიცხვებში გაიმართება. გარდა ამისა, შესაძლებელია საუბარი რიგ საკითხებში პოზიციების შეჯერებაზე და მხარეების მიერ გამოთქმულ სურვილზე, რომ ეს საკითხები მომავალში გადაწყდეს.

ხაინდრავა რამდენჯერმე ხაზგასმით იმეორებს: **"ახლა, რუსულ-ქართული ურთიერთობების უკიდურესად გამწვავებული ვითარების ფონზე, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით რაიმე წინსვლას არ უნდა ველოდეთ."**

გუშინდელ შეხვედრაზე მხარეებმა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით პოზიციები შეაჯერეს. გადაწყდა, რომ შეიქმნება სპეციალური მუშა ჯგუფები, რომლებიც ამ საკითხების მოგვარებაში უშუალოდ ჩაერთვებიან. ამ მხრივ, პირველ რიგში, დღის წესრიგში დგას კრიმინალის და განუკითხაობის წინააღმდეგ ბრძოლა, - დასძენს ხაინდრავა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# პარლამენტი საბიუჯეტო ცვლილებებს იხილავს

### და რუსული ბაზების გაყვანაზე ფიქრობს

*ბოლო პერიოდში ქვეყანაში მომხდარი სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის მთავრობა 20 მილიონი ლარის გამოყოფას აპირებს. ზოგიერთი მაჟორიტარი დეპუტატი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ცდილობს, ამ თანხიდან თავისი რაიონისთვის რაც შეიძლება მეტი "დაითრიოს". განათლების და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის ნოდარ გრიგალაშვილის თქმით, რეგიონული ლიდერები ცენტრალურ ხელისუფლებას, ხშირად, გამუქებულ სურათს აწვდიან და საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს, სტიქიამ მათი რაიონი მთლიანად წალეკა.*

გიორგი ასანიშვილი

იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განაწილდეს ზემოთ აღნიშნული 20 მილიონი ლარი, ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი საპარლამენტო ფრაქციებსა და კომიტეტებში კონსულტაციებს გადის. მისი თქმით, სტიქიით მიყენებული ზარალი ბოლომდე დათვლილი ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ მთავრობა ამ პროცესის დასრულებას ვერ დაელოდება, რადგან ეს დიდ დროს წაიღებს, მაშინ, როდესაც აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების რაც შეიძლება სწრაფად დაწყება და მოსახლეობისთვის დახმარების გაწევის დაჩქარება.

მინისტრის განცხადებით, დაზარალებულთათვის დახმარება სხვადასხვა ფორმით მოხდება: ხელისუფლება ზოგს საშენი მასალით დაეხმარება, ზოგი კი ფულად კომპენსაციას მიიღებს.

ვინაიდან 20 მილიონი ლარი რაიონების მიხედვით გაწერილი ჯერ კიდევ არ არის, მაჟორიტარი დეპუტატები საკმაოდ აქტიურობენ.

ფრაქცია "საქართველოს რეგიონების" გუშინდელ სხდომაზე ვალერი ჩეჩელაშვილთან ყველაზე მეტი სათხოვარი ყაზბეგის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს რევაზ სუჯაშვილს ჰქონდა. მას განსაკუთრებით ის გარემოება აშფოთებს, რომ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, ყაზბეგის რაიონს ბუნებრივი გაზის უფასოდ მიწოდება შეუწყვიტოს, რაც პარლამენტარის თქმით, საზღვრისპირა რაიონის მოსახლეობას მძიმე პრობლემების წინაშე დააყენებს.

ფინანსთა მინისტრი აღელვებულ დეპუტატს ამშვიდებს და ჰპირდება, რომ **"მთავრობა ერთი ხელის დაკვრით ასეთ მკვეთრ და რადიკალურ გადაწყვეტილებას არ მიიღებს."**

საბიუჯეტო ცვლილებები მხოლოდ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს როდი შეეხება. აღმასრულებელ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 46,8 მილიონი ლარი გამოყოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## გოგა ხაინდრავა: "ვერაფერს მივაღწიეთ"

პირველი გვერდიდან

მიუხედავად "გარკვეული საკითხების შესახებ" პოზიციების შეჯერების დონეზე მიღწეული წარმატებისა (რის გამოც სახელმწიფო მინისტრი გუშინდელ მოლაპარაკებას "მაინც სასარგებლოს" უწოდებს), ხაინდრავამ ჩვენთან საუბრისას სინანულით აღნიშნა: **"გუშინ ისეთი საკითხებიც კი ვერ გადავწყვიტეთ, რომელიც უკვე მოგვარებული და მოლაპარაკებული იყო, მაგრამ დღეს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ყველაფერი უარესობისკენ შეიცვალა. ამის გამო, კვლავ პრობლემად რჩება იგივე ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნა გალის რაიონში. თუნდაც, საავტობუსო მიმოსვლის აღდგენა ენგურის ხიდზე. სამწუხაროდ, ამ პრობლემების მოგვარება ვერ მოვახერხეთ. აფხაზურმა მხარემ აღნიშნა, რომ მზად არის ამ საკითხების მომავალში გადასაწყვეტად, ოღონდ, საამისოდ გარკვეული დრო სჭირდებათ."**

ხაინდრავა აცხადებს, რომ ეს "გარკვეული დრო" ქართულ-რუსული ურთიერთობების მოგვარებას უშუალოდ უკავშირდება. სახელმწიფო მინისტრის ვარაუდით, ივნისის მეორე ნახევრისთვის დაგეგმილი მომდევნო მოლაპარაკება, ძირითადად, იმაზე იქნება დამოკიდებული, საქართველო და რუსეთი ბაზების საკითხს როგორ გადაწყვეტენ.

## სოხუმი დამატებითი საგუშაგოს გახსნას ითხოვს

საკურორტო სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, სოხუმის ხელისუფლება მოსკოვისგან რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე დამატებითი საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნას ითხოვს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის კურორტებისა და ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის უფროსის ვიაჩესლავ ბარციცის განცხადებით, რამდენიმე დღეა, აფხაზეთის ხელისუფლება რუსულ მხარესთან "ფსოუს" გამშვებ პუნქტზე დამატებითი საგუშაგოს გახსნის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს და იმედოვნებს, რომ ეს საკითხი უახლოეს დღეებში დადებითად გადაწყდება.

"საზაფხულო სეზონის დაწყების წინ აფხაზეთის, პრაქტიკულად, ყველა საკურორტო ობიექტი დასვენების მსურველთა მისაღებად მზად არის. აფხაზეთში ყველა პირობაა შექმნილი ტურისტთა უსაფრთხო დასვენებისთვის," - განაცხადა ბარციცმა.

*ინტერ-პრესი*

## საპარლამენტო კომიტეტი საგანგებო მოსმენას მოაწყობს

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონპროექტში ცვლილებების შესახებ საგანგებო მოსმენას მოაწყობს. კომიტეტის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით შემოტანილი "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონპროექტის განხილვა პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით გადაიდო და დღის წესრიგში არ არის, კომიტეტს აინტერესებს, რა არგუმენტებით ხელმძღვანელობდა მთავრობა, როდესაც აღნიშნული კანონპროექტი შეიმუშავა. "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონპროექტი ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებისთვის საიდუმლო ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებამოსილების მინიჭებას ითვალისწინებს. როგორც ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა განაცხადა, მისთვის "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონპროექტის მიღება პრინციპულ საკითხს წარმოადგენს. "თუმცა, არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ფინანსთა სამინისტრო იატაკქვეშეთში გადადის," - განაცხადა ჩეჩელაშვილმა.

მინისტრის თქმით, იგი თავადაც დაინტერესებულია, რომ ნებისმიერი სამინისტრო და, მით უმეტეს, ფინანსთა სამინისტრო უფრო გახსნილი და გამჭვირვალე იყოს საქმიანობის კუთხით. ჩეჩელაშვილის განცხადებით, იგი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის შესაბამისი სხდომისთვის საგანგებოდ მოემზადება და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარ არგუმენტაციებს წარმოადგენს.

*ინტერ-პრესი*

## პორტები ვალის სანაცვლოდ?

ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი მიიჩნევს, რომ ქართული პორტების პრივატიზების პროცესში ვალის სანაცვლოდ აზერბაიჯანული მხარის მონაწილეობის საკითხის განხილვა შესაძლებელია, თუმცა ეს პრაქტიკულად ძნელი განსახორციელებელია. "ნებისმიერი ვარიანტის განხილვა შეიძლება, მაგრამ ამის განხორციელების მექანიზმი რთულია. აღსანიშნავია ისიც, რომ პორტების გაყიდვაზე გადაწყვეტილება მიღებული არც არის. არ არის გამორიცხული, რომ პორტების არა პრივატიზება, არამედ გრძელვადიანი იჯარით გაცემა მოხდეს," - განაცხადა მან. აზერბაიჯანის მიმართ საქართველოს ვალის პარიზის კლუბის პირობებით 2025 წლამდე რესტრუქტურიზაციის თხოვნით ფინანსთა სამინისტრომ აზერბაიჯანულ მხარეს სამი კვირის წინათ მიმართა, თუმცა, ჯერჯერობით, პასუხი არ მიუღია. აზერბაიჯანისადმი საქართველოს სახელმწიფო ვალი 17 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ თანხის სანაცვლოდ, ქართული პორტების პრივატიზების პროცესში მონაწილეობის სურვილი გუშინ აზერბაიჯანის ფინანსთა მინისტრმა გამოთქვა.

*მედიანიუსი*

## "თბილისი სითი" რეალურ კონტურებს იძენს

დღეს "თიბისი ბანკის" სათაო ოფისში გაიმართება საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიის (GRDC), ცნობილი არქიტექტორის მოშე საფდისა და "თიბისი ბანკის" წარმომადგენელთა ერთობლივი პრესკონფერენცია, სადაც GRDC-ის ორი პროექტის - თბილისში კინო-ქალაქის მშენებლობისა და "თბილისი სითის" პრეზენტაცია მოხდება. ღონისძიებაზე განცხადებას "თიბისი ბანკიც" გააკეთებს, რომელიც GRDC-ის პირველი ქართველი ინვესტორი გახდება.

*მედიანიუსი*

# პარლამენტი საბიუჯეტო ცვლილებებს იხილავს



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი პარლამენტარებს ჰპირდება, რომ თუ ქართულ და რუსულ მხარეებს შორის შეთანხმება მოხდება და რუსული ტექნიკის გაყვანის საკითხი უკვე მიმდინარე წელს დადგება დღის წესრიგში (რაც ნაკლებ სავარაუდოა), საქართველოს მთავრობა ამ ღონისძიებისთვის საჭირო სახსრებს აუცილებლად მოიძიებს.

პირველი გვერდიდან

გადასინჯვება ენერგოსექტორის დაფინანსებაც. დღემდე მთავრობა ვარაუდობდა, რომ ახალი გაზოტურბინის მშენებლობა-მონტაჟისთვის საჭირო 30 მილიონი ლარის დახარჯვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხდებოდა, მაგრამ, მოულოდნელად, გამოჩნდა კერძო ინვესტორი, რომელიც მზად არის, ეს თანხები თვითონ გაიღოს. ეს აღმასრულებელ ხელისუფლებას საშუალება აძლევს, გამოთავისუფლებული სახსრებით სხვა სამუშაოები დააფინანსოს: საბიუჯეტო ცვლილებების პროექტის მიხედვით, 16,6 მილიონი ლარი ჰიდრო და თბოელექტროსადგურების სარეაბილიტაციო ღონისძიებებს მოხმარდება, 2 მილიონი - ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონის" შეკეთებას, 4,3 მილიონი - ენგურჰესის გენერაციის ტარიფის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებულ მომსახურებას და ა.შ.

საბიუჯეტო ცვლილებებზე მსჯელობის გარდა, პარლამენტში ისიც კარგად ახსოვთ, რომ ზეგ იწურება ულტიმატუმის ვადა, რომლის თანახმადაც, თუ 15 მაისამდე ოფიციალური თბილისი და მოსკოვი საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხზე ვერ შეთანხმდებიან, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ცალმხრივი ზომების მიღებას დაიწყებს. კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტრო რუს სამხედრო მოსამსახურეებს საქართველოში შემოსასვლელი ვიზების გაცემას შეუჩერებს; ფინანსთა სამინისტრო დაადგენს რუსული სამხედრო ბაზებისა და ობიექტების დავალიანებას საქართველოს ბიუჯეტის მიმართ და მას "საქართველოს მიმართ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დავალიანების" კვალიფიკაცია მიეცემა; თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები შეიმუშავებენ რუსეთის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის, სამხედრო ტექნიკისა და ტვირთების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების სპეციალურ რეჟიმს და ა.შ.

ვალერი ჩეჩელაშვილის თქმით, თუ ქართულ და რუსულ მხარეებს შორის შეთანხმება მოხდება და რუსული ტექნიკის გაყვანის საკითხი უკვე მიმდინარე წელს დადგება დღის წესრიგში (რაც ნაკლებ სავარაუდოა), საქართველოს მთავრობა ამ ღონისძიებისთვის საჭირო სახსრებს აუცილებლად მოიძიებს, მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის ბიუჯეტში ეს თანხები ჩადებული არ არის. ამასთან, ფინანსთა მინისტრს დონორი ქვეყნების იმედიც აქვს, რომლებიც მზად არიან, რუსული ბაზების გაყვანის "კეთილშობილურ საქმეს" ათეულობით მილიონი დოლარი შეწირონ.

*ინტერ-პრესი*

# "მემარჯვენეები" ქარელის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერებს შეაგროვებენ

თეა თედლიაშვილი
გორიდან

*გუშინ გორის მოსახლეობას "ახალი მემარჯვენეების" ლიდერები ფიქრია ჩიხრაძე და დავით გამყრელიძე შეხვდნენ. შეხვედრაზე ბრალდებები როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ გაისმა.*



თეა თედლიაშვილის ფოტო

მემარჯვენეები შიდა ქართლის ხელისუფლებას მძიმე ბრალდებებს უყენებენ.

**"ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონი, რომელიც სერიოზულ როლს თამაშობს საქართველოში პოლიტიკის ფორმირებაში. ეს კონფლიქტის ზონასთან ყველაზე ახლოს მყოფი ქალაქია. მხოლოდ საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტითაა შესაძლებელი რეალური პოლიტიკის ფორმირება,"** - განაცხადა დავით გამყრელიძემ მოსახლეობასთან შეხვედრისას.

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერებმა კიდევ ერთხელ გააკეთეს განცხადებები სახელმწიფოს მხრიდან გორელ მეწარმეთა "დაჩაგვრის" შესახებ. შეხვედრაზე სიტყვით რკინის საამქროს მეპატრონე ვახტანგ ჯვარიძეც გამოვიდა, რომელმაც ხელისუფლება ტერორში და სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლაში დაადანაშაულა.

ფიქრია ჩიხრაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ რეგიონში კონტრაბანდა დაუბრკოლებლად შემოდის. **"ერგნეთის ბაზრობა დაიკეტა იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც იქ ვაჭრობით მიღებული შემოსავალი საარსებო წყაროს წარმოადგენდა. სამაგიეროდ, ახლა ამ საქმეს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მფარველობენ,"** - განაცხადა ჩიხრაძემ.

მისივე თქმით, მხოლოდ კადრების ცვლა საქმეს ვერ შველის: **"თუკი გუბერნატორი საქმის კურსში არ არის, რა ხდება მის რეგიონში, ესე იგი ვერ აკონტროლებს სიტუაციას ან აკონტროლებს ისე, როგორც მას სურს."**

"მემარჯვენეების" ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარემ მამუკა ფანიაშვილმა შეხვედრაზე მოსახლეობას აცნობა, რომ დაწყებულია ხელმოწერების შეგროვება გუბერნატორის გადადგომის მოთხოვნით.

**"ჩვენ გვსურს, ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდეთ ქარელისაგან,"** - განაცხადა ფანიაშვილმა.

**"მიმაჩნია, რომ ქარელი არის გამოხატულება იმისა, რატომ არის დანიშნული გუბერნატორი, გამგებელი ან მერი ცუდი,"** - მიიჩნევს დავით გამყრელიძე. მისი თქმით, **"დღეს საქართველოში ბიზნესის მიმართ ისეთივე დამოკიდებულებაა, რაც შევარდნაძის დროს იყო. ბიზნესი რომ აწარმოო, აუცილებელია "კრიშა" ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხდება ტერორი."**

"მემარჯვენეების" აზრით, საქართველოში საერთოდ არ არსებობს სასამართლო ხელისუფლება, რაც ქვეყნის განვითარებას სერიოზულად უშლის ხელს.

"ახლებმა" რეგიონში მოქმედი ჟურნალისტების საქმიანობა შეაქეს და ხალხსაც აქტიურობისკენ მოუწოდეს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლონეთის დედაქალაქში, ვარშავაში 16-17 მაისისთვის დაგეგმილ ევროსაბჭოს სამიტს დაესწრება. სამიტზე განიხილება რამდენიმე საკითხი, მათ შორის, ევროპული ერთიანობა და ევროპული ღირებულებები, გამოწვევა, რომელსაც საზოგადოება ევროპულ ქვეყნებში აწყდება და ევროპული პოლიტიკური არქიტექტურა. სამიტის დასრულების შემდეგ, ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა 6 თვით ოფიციალურად პორტუგალიას გადაეცემა. ამჟამად მას პოლონეთი ხელმძღვანელობს. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ლატვიაში გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში იგი ამ ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, თავდაცვის მინისტრს, საგარეო უწყების ხელმძღვანელსა და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდება. "ბალტიისპირეთის ქვეყნებთან მნიშვნელოვანი კონტაქტები მყარდება. ისინი პირდაპირ დახმარებას აღმოუჩენენ საქართველოს პარლამენტს, რომ ევროინტეგრაციის გზა რაც შეიძლება სწრაფად გავიაროთ," - განაცხადა ბურჯანაძემ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლის კოკა გუნცაძის განცხადებით, ოპოზიციისთვის გაუგებარია, თავდაცვის მინისტრი "ბანდას აყალიბებს, თუ ქართულ ჯარს ქმნის". ამგვარი განცხადება გუნცაძემ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე მას შემდეგ გააკეთა, რაც ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა კომიტეტს 2005 წლის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები წარუდგინა, რომლის მიხედვითაც, 20 მილიონი ლარია გამოყოფილი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისა და სტიქიით დაზიანებული გზების რეაბილიტაციისთვის, ხოლო 46 მილიონი ლარი - თავდაცვის სფეროსთვის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება, სადაც სამი დღის განმავლობაში ოფიციალურ შეხვედრებს გამართავს. როგორც შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, მან მიწვევა ნიქსონის ცენტრისგან მიიღო და ვიზიტის ხარჯებს ცენტრის პრეზიდენტი დიმიტრი საიმსი დააფინანსებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის ყოფილი თანამებრძოლი, უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობიდან გადამდგარი სტანისლავ ლაკობა ბაღაფშს "სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევაში, წინასაარჩევნო დაპირებების დავიწყებასა და თანამებრძოლების დევნაში" ადანაშაულებს.

როგორც სტანისლავ ლაკობამ განაცხადა, გადადგომის შესახებ მისი გადაწყვეტილება გადახედვას არ ექვემდებარება, რადგან "სახელმწიფო საქმიანობა პირად ურთიერთობებს სცილდება" და ის, რომ მას თანამდებობაზე დარჩენა პირადად ბაღაფშმა სთხოვა, არაფერს აღარ შეცვლის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის გადაწყვეტილებით, კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე საპარლამენტო უმრავლესობას პარლამენტის ნდობის ჯგუფში საპარლამენტო ოპოზიციის ერთი წარმომადგენლის შეყვანის ინიციატივით მიმართავს. თევდორაძის თქმით, "მემარჯვენე ოპოზიციას" იმის გამო უჩნდება შეკითხვები, რომ ფრაქციის წარმომადგენელი არ არის შეყვანილი ნდობის ჯგუფში და, შესაბამისად, არც თავდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაციის დაუბრკოლებლად მიღების შესაძლებლობა აქვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტს გამოეხმაურნენ. ედუარდ კოკოითის ე.წ. სახელმწიფო მრჩეველი კოსტა კოჩიევი აცხადებს, რომ აფხაზეთსა და "სამხრეთ ოსეთთან" დაკავშირებით ჯორჯ ბუშის კომენტარები მეტად ზომიერი იყო, რამაც "ქართველ ხელისუფალთა ცხელი თავები უნდა გამოაფხიზლოს". კოჩიევის თქმით, ქართული მხარე სერიოზულად უნდა მოეკიდოს ბუშის მოწოდებას კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბუში შთაბეჭდილებებს კონგრესს უზიარებს

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება ნიდერლანდებს, აშშ-ს ლიდერმა უდიდესი პატივისცემით მოიხსენია მისი უდიდებულესობა დედოფალი ბეატრისი; ხაზი გაუსვა შესაძლებლობას, მასთან ერთად პატივი მიეგო მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცებისათვის.

ბუშმა გაცილებით მეტი დრო დაუთმო მოსკოვში მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარებას და განაცხადა, რომ გამარჯვების აღსანიშნავ აღლუმზე იგი მეგობრის გვერდით იჯდა.

**"მე მახსოვს, პატარაობისას, თუ როგორ ვაკვირდებოდი წითელ მოედანზე მიმდინარე აღლუმს; და აი, მე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ვზივარ წითელ მოედანზე და იმ ხალხის მიმართ ვამჟღავნებ პატივისცემას, რომლებიც დაიღუპნენ ფაშიზმის დამარცხებისათვის ბრძოლაში; და მე მეგობრის გვერდით ვზივარ,"** - აღნიშნა მან და ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი არ არის შეერთებული შტატების მტერი - ის მეგობარია, რომელთან ერთადაც მშვიდობის დასამყარებლად მუშაობს.

**"რასაკვირველია, რიგ საკითხებში განსხვავებული აზრი გვაქვს, მაგრამ ჩვენ ერთიანი აზრი გვაქვს იმის თაობაზე, რომ მშვიდობისათვის ერთად უნდა ვიმუშაოთ,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

სხვათა შორის, ბუშსა და ვლადიმირ პუტინს შორის ურთიერთობაზე გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტების ურთიერდამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, პატივისცემას ეყრდნობა.

ჯორჯ ბუშსა და ვლადიმირ პუტინს შორის უშუალო ურთიერთობებია, - განაცხადა მან აშშ-ს პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის კომენტირებისას და აღნიშნა, რომ ეს უშუალობა კრიტიკის შემთხვევაშიც არ ქრება. რაისის აზრით, **"იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არის სირთულე და მოსაზრებებში განსხვავება, მათ შორის მაინც მეგობრული დამოკიდებულებაა"**.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ტელეკომპანია "სი-ენ-ენ"-თან ინტერვიუში ასეთი რამ თქვა: **"რაც უნდა დიდი იყოს აზრთა სხვადასხვაობა, რუსეთი უდიდესი ქვეყანაა, უდიდესი კულტურის მქონე და ბოლო 15 წლის განმავლობაში მას გიგანტური პროგრესი ჰქონდა"**.

კონდოლიზა რაისმა თავი ვალდებულად ჩათვალა, ხაზგასმით აღენიშნა, რომ მოსკოვში ვიზიტი აუცილებელი იყო, რათა ენახათ, **"თუ რამდენად შორს წავიდა ეს სახელმწიფო"**.

თუმცა, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ტელეინტერვიუს გაცილებით "ემოციური" ნაწილი საქართველოში ვიზიტის შთაბეჭდილებების მოყოლას მიეძღვნა. **"შესანიშნავი ტურნე იყო,"** - ასე იწყებს ქალბატონი რაისი ამერიკელი მაყურებლისთვის შთაბეჭდილებების გაზიარებას. მისი თქმით, ეს იყო მოგზაურობა, რომლის დროსაც პრეზიდენტს საშუალება მიეცა, ახალგაზრდა დემოკრატიები მოენახულებინა. **"ჩემთვის, როგორც სოვეტოლოგისთვის, საოცარი იყო იმ ადგილების მონახულება, რომელიც სულ რაღაც ორი ათწლეულის წინ "რკინის"ფარდის" მიღმა იმყოფებოდა. ლატვიის შემთხვევაში, რომელიც ახლა ევროკავშირისა და ნატო-ს წევრია, სადაც დემოკრატია ცოცხლად იგრძნობა; და საქართველოში... მოედანზე დგომა 100 ათასი ქართველის წინაშე, რომელიც შენი პრეზიდენტის სახელს გაიძახის და ამერიკის დროშებს აფრიალებს. უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო, ჟრუანტელმაც კი ამიტანა, როდესაც მათ ამერიკის ეროვნული ჰიმნის სიმღერა დაიწყეს ქართული აქცენტით - საოცრად ამაღელვებელი იყო იქ ყოფნა,"** - აი, ასეთი ემოციით სავსე მოუთხრობდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი გადაცემის წამყვანს თავის შთაბეჭდილებებს.

ლარი კინგმა სახელმწიფო მდივანს "ხელყუმბარის ისტორიაზეც" სთხოვა კომენტარის გაკეთება, რაზეც ქალბატონი რაისის პასუხი საკმაოდ მშვიდი იყო - **"ამის შესახებ მოგვიანებით შევიტყვეთ. ცხადია, გამოძიება მიმდინარეობს. ვფიქრობ, საქართველოს უშიშროების სამსახური ჩვენს უწყებებთან ერთად იმუშავებს იმის გასაგებად, თუ რა მოხდა. მაგრამ ეს შემთხვევა ვერანაირად შეცვლის იმას, რაც იქ ხდებოდა; და მინდა გითხრათ, რომ ძალიან ამაღელვებელი იყო მოედანზე ყოფნა."**



*ჯორჯ ბუშის შეხვედრა კონგრესმენებთან.*

# რუსეთის უშიშროების სამსახური "ხავერდოვანი რევოლუციების" წინააღმდეგ

*"რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურს აქვს ინფორმაცია ზოგიერთი უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დსთ-ს ტერიტორიაზე მორიგი "ხავერდოვანი რევოლუციის" მომზადების თაობაზე - ამის შესახებ გუშინ რუსეთს უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა ნიკოლაი პატრუშევმა განაცხადა," - იტყობინება სააგენტო "რია-ნოვოსტი".*

**"უცხოური სპეცსამსახურები სულ უფრო აქტიურად იყენებენ თავიანთ მუშაობაში არატრადიციულ მეთოდებს. ისინი, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, საკუთარი ინტერესების პროპაგანდას ეწევიან; კერძოდ, დსთ-ს სივრცეში მუშაობენ და ინფორმაციას აგროვებენ,"** - თქვა "ფეეს-ბე"-ს დირექტორმა სახელმწიფო სათათბიროში "სამთავრობო საათის" დროს გამოსვლისას. მან ისიც აღნიშნა, რომ არსებობს ინფორმაცია, რომლის თანახმად, ერთ-ერთმა დასავლურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ბელარუსში, ხელისუფლების შეცვლის მიზნით, ოპოზიციას უკვე 5 მილიონი დოლარი გამოუყო. **"ამასთან, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ იგეგმება "ნარინჯისფერი" ოპოზიციონერების ჩართვა ბელარუსის ოპოზიციის მოსამზადებლად,"** - დასძენს პატრუშევი.

იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებსაც უცხოური სპეცსამსახურები იყენებენ, პატრუშევმა "აშშ-ს მშვიდობის კორპუსი", "საუდის არაბეთის წითელი ნახევარმთვარე", კუვეიტის ზოგიერთი ორგანიზაცია და სხვები დაასახელა.

მისი თქმით, დსთ-ს ქვეყნების სპეცსამსახურების ხელმძღვანელები აცნობიერებენ სიტუაციის სირთულეს. ამასთან დაკავშირებით აპრილში დსთ-ს სპეცსამსახურის ხელმღვანელთა თათბირიც კი გაიმართა, სადაც პოსტსაბჭოთა სივრცეში რევოლუციების ტალღის შემდგომი გავრცელების საფრთხე განიხილებოდა.

პატრუშევის თქმით, დასავლეთის გარკვეული პოლიტიკური ძალების მიზანია, პოსტსაბჭოთა სივრცეზე მოსკოვის გავლენა დაასუსტონ. **"ამის დასტურია საქართველოში, უკრაინასა და სხვა ქვეყნებში დატრიალებული მოვლენები. რუსეთი, როგორც ძლიერი მოკავშირე, მათ არ უნდათ,"** - თქვა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსმა.

*24 საათი*

# ცრუ განგაშის მიზეზი - მოძველებული რუკები

ვაშინგტონში, თეთრ სახლსა და კონგრესში სასწრაფო ევაკუაცია ორი პენსილვანიელი პილოტის გამო განხორციელდა.

როგორც გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი" იუწყება, "სესნას" ტიპის თვითმფრინავში, რომელიც თეთრი სახლის თავზე საჰაერო სივრცეში შეიჭრა, სატვირთო ავტომანქანის 69 წლის მძღოლი ჰაიდენ შეფერი და მტვერსასრუტების გამყიდველი, 36 წლის ტროი მარტინი ისხდნენ. ინციდენტის დროს "სესნას" მარტინი მართავდა, რომელმაც სულ ახლახან მიიღო თვითმფრინავის პილოტირების უფლება.

პენსილვანიელი ავიატორები მოძველებულ რუკას იყენებდნენ, მათთვის განსაზღვრული რადიოსიხშირით არ სარგებლობდნენ და, საერთოდ, არაფერი იცოდნენ ვაშინგტონის თავზე არსებული აკრძალული ზონის შესახებ. სიტუაციაში გარკვევა პილოტმა და მისმა თანამგზავრმა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეს, რაც მათ დასაკავებლად აფრენილმა ერთ-ერთმა გამანადგურებელმა "სესნას" კაბინის წინ ოთხი კაშკაშა სასიგნალო რაკეტა გაუშვა. ერთძრავიანი თვითმფრინავი იძულებით დასვეს მეზობელი მერილენდის შტატის აეროდრომზე.

აკრძალულ ზონაში "სესნას" შეჭრით გამოწვეული განგაშის შედეგად კაპიტოლიუმიდან და აშშ-ს კონგრესის სხვა შენობების კომპლექსიდან 35 ათასი ადამიანი გახიზნეს. თეთრი სახლიდან სასწრაფოდ გაიყვანეს 200 ადამიანი, მათ შორის - აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი.

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მომხდარის შესახებ მხოლოდ განგაშის გაუქმების შემდეგ შეიტყო. იმ დროს, როცა "სესნა" ვაშინგტონის თავზე დაფრინავდა, ბუში ქალაქგარეთ, "პატუქსენის" ეროვნულ ნაკრძალში ველოსიპედით სეირნობდა.

*ინტერპრესი*

# "განკითხვის დღე" ახლოვდება

პირველი გვერდიდან

ასე უპასუხა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა საქართველოს პარლამენტის სპიკერს, სახელმწიფო სათათბიროში გამოსვლისას. ლავროვმა აღნიშნა, რომ რუსეთი ქართული მხარის "შანტაჟს" არ წამოეგება. მისი თქმით, **"მოლაპარაკებები გაგრძელდება, ქართულ მხარეს ყველა ჩვენი კონსტრუქციული წინადადება აქვს."** ლავროვი საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის სავარაუდო ვადების დასახელებისაგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ ამას იმდენ დროს მოანდომებენ, **"რამდენიც საჭირო გახდება"**.

ორი ქვეყნის საგარეო უწყებების ხელმძღვანელების, სალომე ზურაბიშვილისა და სერგეი ლავროვის, თითქოსდა, წარმატებული მოლაპარაკება 6 მაისს მოსკოვში ფიასკოთი დასრულდა. მართალია, რუსეთი ბაზების გაყვანის წელსვე დაწყებას დათანხმდა, თუმცა გაყვანის ბოლო ვადაზე ზუსტი პასუხისაგან თავს ბოლომდე იკავებდა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ქართული მხარის წინადადება - ბაზებს საქართველოს ტერიტორია 2008 წლის 1 იანვრამდე დაეტოვებინათ, რუსული მხარისათვის მიუღებელია.

თუმცა, სალომე ზურაბიშვილმა წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ მაინც გამოთქვა იმედი, რომ შეთანხმება უახლოეს მომავალში იქნება მიღწეული.

რუსული ბაზებისათვის დაწესებული "განკითხვის დღის" მოახლოების მიუხედავად, რუსული დიპლომატია დუმდა. სამაგიეროდ, ასპარეზი საკუთარი პიზიციის დასაფიქსირებლად რუს სამხედროებს დაუთმო.

**"რუსეთი მზადაა, საქართველოდან ბაზები შესაბამისი შეთანხმების ხელმოწერიდან ოთხ წელიწადში გაიყვანოს,"** - განაცხადა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა იური ბალუევსკიმ. მისი თქმით, რუსეთს ტექნიკისა და ქონების გადასატანად 50-ზე მეტი სარკინიგზო შემადგენლობა დასჭირდება, ასევე, ტვირთის ნაწილი საზღვაო გზით უნდა იქნას გადატანილი, რასაც, მისი აზრით, დრო და, სამხედროების რუსეთში დაბინავების ხარჯებთან ერთად, არანაკლებ 300 მილიონი დოლარი სჭირდება.

**"ეს შანტაჟი და რუსეთისადმი არამეგობრული დამოკიდებულების გამოვლინებაა,"** - ასე შეაფასა ნინო ბურჯანაძის გუშინდელი განცხადება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა კონსტანტინე კოსაჩევმა. მისი თქმით, **"ნებისმიერი მოლაპარაკებისას საბოლოო ჩარჩოების დაწესება პრინციპულად შეუძლებელია, ამას მოლაპარაკება ჩიხში შეჰყავს."** კოსაჩევი დარწმუნებულია, რომ რუსეთი მოლაპარაკებისას "რიგ დათმობებზე წავიდა", კერძოდ, 11-წლიანი ვადა 4 წლამდე დაიყვანა.

**"ულტიმატუმის და შანტაჟის ენა მიუღებელია, მით უმეტეს დღეს, როდესაც ჯარების გაყვანასთან დაკავშირებულ საკითხთა მთელი კომპლექსის გადაწყვეტის ურთიერთმისაღები ვარიანტების ძიება მიმდინარეობს,"** - განაცხადა გუშინ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ სედოვმა.

რუსეთის მწვავე რეაქცია მოწმობს, რომ ბაზების გაყვანის ვადების შემცირებას ის პრინციპულად არ ეთანხმება და დარჩენილ მცირე დროში ქართული მხარისთვის მისაღები პირობებით შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია.

რუსეთის მოქალაქეთა ნახევარზე მეტი კი მიიჩნევს, რომ რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეზე საკუთარი სამხედრო ბაზები უნდა შეინარჩუნოს. რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა 55 პროცენტს მიაჩნია, რომ ამ სამხედრო ბაზებმა "რუსეთის საზღვრის მისადგომები" უნდა დაიცვას.

თუმცა, ქართველი პარლამენტარები საკუთარი პოზიციის გადახედვას არ აპირებენ. **"უახლოეს დღეებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოვიწვევთ და მოვისმენთ ინფორმაციას, თუ როგორ არიან ისინი მომზადებულები პარლამენტის დადგენილების შესასრულებლად, განვუმარტავთ შესაბამის დავალებებს,"** - განაცხადა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა გივი თარგამაძემ "24 საათთან" საუბრისას. მისი თქმით, **"ეს არის რუსული მხარის არჩევანი. მათ ბოლო მომენტში შეიცვალეს პიზიცია, და ამჟამად მათი მხრიდან აბსოლუტურად დესტრუქციული საუბარი ისმის."** გივი თარგამაძის განმარტებით, პირველ ეტაპზე, 2006 წლის 1 იანვრამდე, სანქციები ბაზების მიმართ ზედმეტად მკაცრი არ იქნება, რაც ამ ეტაპზე არ გამორიცხავს პარალელურად მოლაპარაკების წარმოებას რუსულ მხარესთან. თუმცა, ამ მოლაპარაკებების წარუმატებლობის შემთხვევაში სანქციები მაქსიმალურად გამკაცრდება. **"ჩვენ მშვიდი და თანმიმდევრული მოქმედების გეგმა გვაქვს და მის ფარგლებში ვიმოქმედებთ,"** - აღნიშნა გივი თარგამაძემ.

**"გამბედაობა, რომლითაც თბილისი პარლამენტის 9 მარტის დადგენილების შესრულებას იწყებს, მოწმობს, რომ აშშ-ს პრეზიდენტს თბილისში საქართველოს პრეზიდენტისათვის არანაირი რეკომენდაცია არ მიუცია რუსული ბაზების გაყვანის საკითხში პოზიციის შერბილების თაობაზე,"** - წერს რუსული ინტერნეტ-გამოცემა "გრანი.რუ". თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ საქართველოს პოზიცია სულაც არ არის აშშ-ს მხრიდან მხარდაჭერით განპირობებული, და მას "წმინდა რუსული ფესვები" აქვს: **"სანამ კრემლი არ ისწავლის ერთნაირი პატივისცემით მოპყრობას საქართველოსთანაც და აშშ-სთანაც, სიტუაცია ყოველთვის პატური იქნება. ქართველებს, ისევე, როგორც, ალბათ, სხვა ხალხებს, არ სჭირდებათ გარედან კარნახი, თუ როგორ უნდა მოექცნენ იმათ, ვინც მათ უზრდელის ქედმაღლობით ესაუბრება."**

# "ბი ბი სი" გაიფიცება

*მსოფლიოში ყველაზე მძლავრ საზოგადოებრივ მაუწყებლობას გაფიცვა ემუქრება - "ბი ბი სი"-ს პროფკავშირებმა გადაწყვეტილება მიიღეს, კომპანიაში 3780 სამუშაო ადგილის გაუქმების საპროტესტოდ, "საყოველთაო" გაფიცვა მოაწყონ.*

"ბი ბი სი"-ს უდიდესმა პროფკავშირულმა გაერთიანებებმა BECTU-მ და NUJ-მა გაფიცვაზე მიღწეულ შეთანხმებაზე განაცხადეს. "საყოველთაო" გაფიცვა, სავარაუდოდ, 12-დან 24 საათამდე გასტანს. წინასწარი ინფორმაციით, გამაფრთხილებელი გაფიცვები 23, 31 მაისსა და 1 ივნისს გაიმართება.

ბუნებრივია, კორპორაციის ხელმძღვანელობა შეეცდება, მინიმუმადე დაიყვანოს გაფიცვით გამოწვეული უხერხულობა. თუმცა, პროფკავშირების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი აქცია "შავ ეკრანსა და ცარიელ ეთერს" გამოიწვევს.

BECTU-ს განცხადებაში ნათქვამია, რომ პროფკავშირები "ყველაფერს შეეცდება, რათა ეთერში გამავალი ყველა გადაცემა დაზარალდეს".

აპრილში სამაუწყებლო კორპორაციის ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ "წუხს" პროფკავშირების განზრახვის გამო. იქვე დასძინა, რომ "ნებისმიერი აქცია, რომელიც კორპორაციის მუშაობას ხელს შეუშლის, საბოლოო ჯამში, მოსახლეობას დააზარალებს - ისინი ხომ კეთილსინდისიერად იხდიან ტელევიზორებზე დაწესებულ ყოველწლიურ გადასახადს".

რაც შეეხება თანამშრომელთა გათავისუფლებას, "ბი ბი სი"-ს გენერალურმა დირექტორმა მარკ ტომპსონმა აღნიშნა, რომ გამოთავისუფლებული სახსრები კორპორაციას საშუალებას მისცემს, ახალი პროგრამების დაფინანსება 350 მლნ ფუნტი სტერლინგით გაზარდოს. შემცირების დიდი ნაწილი კი, კორპორაციის ხელმძღვანელობის თქმით, პენსიაზე ნებაყოფლობით გასვლას უკავშირდება.

*ბი ბი სი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ახალი დაბალი ტარიფები
თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:
- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...
„საქართველოს ტელეკომი“ გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:
ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):
აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)
დროის წამობრივი აღრიცხვა
მხოლოდ 30თ.
8-10
ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები
ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის“ საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სატელეფონო სადგურების:
22, 23, 25, 29, 30, 31, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 51, 60, 61, 62, 63, 64, 66, 67, 68, 71, 72, 73, 74, 78, 91, 92, 93, 94, 95, 96, 98, 99
აბონენტთა საყურადღებოდ!
16 მაისიდან სატელეფონო მომსახურების ღირებულების გადასახდელად მიაკითხეთ ახალ სერვის-ცენტრს





დამზადებულია გერმანიაში

# გლეხი მიწის გარეშე რჩება?!

*"ახალი მემარჯვენეების" რეგიონული ორგანიზაციები ამჯერად აკრიტიკებენ "სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების პრივატიზების" შესახებ კანონპროექტს, რომელსაც პარლამენტი დღეს განიხილავს. აღნიშნული პროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ გლეხმა წლობით დაგროვილი დაკისრებული გადასახადი არ გადაიხადა, პრივატიზაციაში მონაწილეობას ვერ მიიღებს და მას სახელმწიფო ნაკვეთს აუქციონზე გაუყიდის.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

**"იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებამ თავის გაჭირვებულ ხალხს შეღავათი დაუწესოს, პირიქით ხდება. თუ ასე გაგრძელდა, კახელი კაცი, რომელიც თავს სწორედ მიწით ირჩენს, მის გარეშე დარჩება და იგი მოჯამაგირედ იქცევა,"** - აღნიშნავს ახლების წარმომადგენელი გურჯაანში ზურაბ კანდელაკი.

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის მკვიდრმა შოლა სარქისიანმა გაჭირვების გამო მამაპაპეული ვენახი გაყიდა, მაგრამ თანხა, რომელიც მას კლიენტმა გადაუხადა, წლების წინ დაგროვილი მიწის დავალიანების გამო ისევ ბიუჯეტმა წაართვა. **"18 "პლანი" ვენახი 600 ლარად გავყიდე, 300 ლარი კიდევ მთავრობამ წაიღო უკან. ეგ არის, შეღავათები გექნებათო? აქამდე ვიცოდი, რომ მიწის გადასახადის დავალიანება 110 ლარი მქონდა, ახლა კი მითხრეს, დამატებით 190 ლარი ის საურავია, რომელიც დავალიანების დროს გლეხს ყოველთვიურად ერიცხება, გამოდის, რომ დავალიანებას მთავრობა სამმაგად გვახდევინებს,"** - ამბობს შოლა სარქისიანი, რომლის ბედიც უკვე უამრავმა ადამიანმა გაიზიარა.

"ახალმა მემარჯვენეებმა" "სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების პრივატიზების" შესახებ კანონპროექტის საწინააღმდეგოდ კახეთის რეგიონში ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს.

# ცოფზე ასაცრელად ინფექციურ საავადმყოფოს მიაკითხეთ

*მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინები უკვე საკმარისი რაოდენობით აქვს, დედაქალაქის ანტირაბიულ კაბინეტებს (ინფექციური საავადმყოფოს იმუნიზაციის ცენტრის გარდა) ვაქცინები ისევ შეზღუდვით მიეწოდებათ. როგორც ფონდის ხელმძღვანელობა აცხადებს, ამის მიზეზი ანტირაბიულ კაბინეტებში არსებული დარღვევებია. თუმცა, ფონდი გვპირდება, რომ მომავალი კვირის ბოლოდან ეს დარღვევები გამოსწორდება და ვაქცინებიც სრული რაოდენობით გაიცემა.*

ნანა ქადაგიშვილი

დედაქალაქში ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინების დეფიციტის შესახებ ინფორმაცია სამი კვირის წინ გავრცელდა. ანტირაბიულ კაბინეტებს ვაქცინები ერთი კვირის განმავლობაში არ მიუღიათ. ქალაქში ფუნქციონირებდა მხოლოდ ერთადერთი ანტირაბიული კაბინეტი (ინფექციურ საავადმყოფოში არსებულ იმუნიზაციის ცენტრში), სადაც მოსკოვის წარმოების ვაქცინებით აცრა უფასოა, ფრანგულით კი - ფასიანი (ბავშვებისთვის ნებისმიერი ვაქცინით აცრა უფასოა).

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ჯანდაცვის საქალაქო სამსახურმა ანტირაბიულ კაბინეტებსა და სოცდაზღვევის ფონდს შარშანდელი შემორჩენილი (გასულ წლებში თბილისის ანტირაბიულ კაბინეტებს ვაქცინებით საქალაქო სამსახური ამარაგებდა) 1 100 ვაქცინა გადასცა. როგორც მეოთხე კლინიკური საავადმყოფოს ანტირაბიულ კაბინეტში გვითხრეს, მათ 200 ვაქცინა ერგოთ და ეს ვაქცინები მთლიანად დაიხარჯა. **"ორი კვირაა, ამის გარდა, ვაქცინა აღარ მიგვიღია, ჩვენთან მოსულ პაციენტებს ინფექციურ საავადმყოფოში ვაგზავნით,"** - განგვიცხადეს ანტირაბიულ კაბინეტში.

ორი კვირის წინ, სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინები მართლაც არ ჰქონდა, რადგან ვაქცინების შემოტანაზე გამოცხადებული ტენდერი გაჭიანურდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ კონკურსში მონაწილე და ტენდერის შედეგებით უკმაყოფილო ფარმაცევტულმა ფირმა "მედინსერვმა" (რომელსაც წინა წლებში ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინები შემოჰქონდა) ფონდს შესყიდვების სააგენტოში უჩივლა. ამჟამად ეს პრობლემა მოგვარებულია, რადგან ტენდერი დასრულდა და გამარჯვებულმა ფირმამ "ჯი-პი-სი"-მ ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინები საკმარისი რაოდენობით შემოიტანა.

თუმცა, ინფექციური საავადმყოფოს იმუნიზაციის ცენტრის გარდა, ეს ვაქცინები დანარჩენ ანტირაბიულ კაბინეტებს მაინც არ მიუღიათ. სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში აცხადებენ, რომ ანტირაბიულ კაბინეტებს ვაქცინებს მანამ არ მიაწვდიან, სანამ იქ არსებული დარღვევები არ გამოსწორდება. **"ანტირაბიულ კაბინეტებში ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინები ძალზე დიდი რაოდენობით იხარჯება. გვეეჭვება, ამდენ ვაქცინას მართლაც პაციენტებს ახმარდნენ. თანაც, ხშირად ვიღებთ ინფორმაციას, რომ ამა თუ იმ საავადმყოფოში პაციენტს აცრაში ფული გადაახდევინეს. ანტირაბიულ კაბინეტებს ვაქცინების მიწოდება ამიტომაც შევუზღუდეთ. თუმცა, ამით მოსახლეობას პრობლემა არ უნდა შექმნოდა, რადგან ინფექციური საავადმყოფოს იმუნიზაციის ცენტრში ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა ყოველთვის საკმარისი რაოდენობით არის და აცრაც უფასოა. მომავალი კვირიდან კი დანარჩენი ანტირაბიული კაბინეტის საქმიანობააც მკაცრად გაკონტროლდება და ვაქცინებიც საკმარისი რაოდენობით მიეწოდებათ,"** - აცხადებს ფონდის ხელმძღვანელი ზაზა სოფრომაძე.

ამ თვეში ფონდი სამედიცინო დაწესებულებების ტენდერის გამოცხადებასაც აპირებს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სატენდერო კომისია ცოფის იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე 9 ანტირაბიული კაბინეტის რაოდენობას, სავარაუდოდ, ხუთამდე შეამცირებს. თანაც, ამ კაბინეტების გახსნის უფლებას მხოლოდ საავადმყოფოებს მისცემს. დღეს ცოფის იმუნიზაცია პოლიკლინიკებშიც ტარდება, რაც ფონდის ხელმძღვანელობას დაუშვებლად მიაჩნია, რადგან აცრის შედეგად გართულების შემთხვევაში პოლიკლინიკას პაციენტისთვის სათანადო დახმარების აღმოჩენის საშუალება არ აქვს.

## ვაკანსია

შპს "არტი", Procter&gamble-ისა და Gillette-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ,**

**ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ**

**ფაქსზე: 94-18-94**

**ელ-ფოსტა: vacansy@arti.ge**

# ცოტნე ბაკურია: "პოლიტიკური აღსარება დადებითი ფენომენია"

სოფო ბუკია

*ასლან აბაშიძის "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი ცოტნე ბაკურია "24 საათის" კითხვებს ვაშინგტონიდან ინტერნეტის საშუალებით პასუხობს.*


*ცოტნე ბაკურია დონალდ რამსფელდთან ერთად.*

**- ერთი წლის შემდეგ როგორ აფასებთ იმ მოვლენებს, რაც "ვარდების რევოლუციის" დროს და 2004 წლის 6 მაისს აჭარაში მოხდა?**

- წელიწადზე მეტია, რაც ამერიკაში, ვაშინგტონში ვცხოვრობ. ბედნიერი ვარ, ვიყო იმ საზოგადოების წევრი, რომელიც დღეს მსოფლიო ხალხებისათვის მშვიდობიანი და თავისუფალი არსებობის ერთადერთი გარანტია.

მეკითხებით, როგორ ვაფასებ ქართულ "რევოლუციებს", მოვლენებს, რომლებმაც ხელისუფლების სათავეში მოიყვანა ისინი, ვინც ისედაც ხელისუფლების სათავეში იყო?

დღეს დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის ცნობილი მოვლენები არავის დამსახურება არ გახლავთ, გარდა ქართველი ხალხისა. მოხდა ისე, რომ ხალხის გაუსაძლისი მდგომარეობით ისარგებლა მან, ვინც ზუსტად გათვალა ხალხის უაღრესად ნეგატიური დამოკიდებულება იმდროინდელი რეჟიმის მიმართ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ იმდროინდელმა რეჟიმმა შვა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება.

დიდი იმედი მაქვს ქართველი ერის სიძლიერისა და სიფხიზლისა. ქართველები ფხიზლად უნდა იყვნენ, რათა 2003 წლის ნოემბერში ხალხის მიერ ავანსად გაცემული ნდობის მანდატის ბოროტად გამოყენება ვერავინ შეძლოს.

**- პოლიტიკური აღსარების ხასიათზე ხომ არ დადექით?**

- ჩემი აზრით, პოლიტიკური აღსარება დადებითი ფენომენია და ვთვლი, რომ ნებისმიერი პოლიტიკოსი ამგვარი აღსარებით ყოველდღე უნდა გამოდიოდეს საკუთარი ერის წინაშე. არც მე ვარ გამონაკლისი. ხალხმა მხოლოდ სიმართლე უნდა იცოდეს და არაფერი სიმართლის გარდა.

ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგან დიდი ხნის განმავლობაში წილად მხვდა ვაშინგტონში, კონგრესის ბიბლიოთეკაში მემუშავა. იქ გავეცანი ჩემთვის უაღრესად სათაყვანებელი ქვეყნის - აშშ-ს მაღალ იდეალებს. ვისურვებდი, რომ ამერიკული აზროვნებისა და აღმშენებლობის წესი ყოფილიყოს ჩემი ხალხის სახელმძღვანელო სახელმწიფოს მოწყობის საქმეში.

ვთვლი, რომ ქართველებმა ბოლომდე არ იციან, თუ რას ნიშნავს ამერიკა. ეს ქვეყანა დღეს საქართველოში, რატომღაც, მხოლოდ ერთი ვიწრო ჯგუფის სასაუზრო პრიორიტეტს წარმოადგენს. ქართველმა ხალხმა, ვიმეორებ, ხალხმა და არა ერთმა, ძალიან პატარა ჯგუფმა ნომენკლატურისა, ფართოდ უნდა გაუხსნას კარი იმ იდეალებს, რომელიც ხალხისთვის მხოლოდ ბედნიერების მომტანია.

**- საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით, ალბათ, ინტერესდებით. როგორ აფასებთ დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკას?**

- ხანდახან მართლაც ვადევნებ თვალყურს საქართველოს ხელისუფლების მოქმედებებს. გულახდილად მოგახსენებთ, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი ქარგა, რასაც აქედან ვხედავ, საკუთარი შეუზღუდავი ამბიციების წარმოჩენა უფროა, ვიდრე სერიოზული მუშაობა საკუთარი ქვეყნისა და ხალხისათვის.

თუმცა, აქვე უნდა ვაღიარო, რომ საქართველოს ხელისუფლების ექსპერტად ამჟამად ნაკლებად გამოვდგები.

ჩემი ხალხისთვის ძნელი იქნება კიდევ ერთი ტყუილის, იმედგაცრუების განცდა. დღეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მომწონს თუ არა მე ეს ხელისუფლება. მთავარია, ერი არ გრძნობდეს იგივეს. მე გულწრფელად მსურს, რომ ამ ხელისუფლებამ ხალხის იმედები გაამართლოს.

**- აჭარიდან რა ინფორმაცია გაქვთ? აჭარის ახალ ხელისუფლებაზე რა აზრის ხართ?**

- აჭარიდან იგივე ინფორმაცია მაქვს, რაც დანარჩენი საქართველოდან. ამ კუთხესთან განსაკუთრებული გრძნობები მაკავშირებს. ვთვლი, რომ ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები ამ კუთხის ხალხთან გავატარე. ეს ხალხი ჩემთვის კეთილშობილი და ვაჟკაცური ბუნების განსახიერებაა. შემიძლია, ხმამაღლა გითხრათ, რომ მე ყველა მიყვარდა და მიყვარს აჭარაში.

აჭარის ამჟამინდელი ხელისუფლების შესახებ არავითარი აზრი არა მაქვს. ისიც კი არ ვიცი, ვინ არის დღეს აჭარის ხელისუფლება. სამწუხაროდ, ინფორმაცია მათ შესახებ ამერიკაში ნაკლებად მოდის.

**- ასლან აბაშიძესთან ურთიერთობას დღემდე ინარჩუნებთ?**

- ასლან აბაშიძე ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანი, რომელმაც ახლოს გამაცნო საქართველოს უმშვენიერესი კუთხე აჭარა. ბატონი ასლანი თავის კუთხეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი გახლდათ. მისი საყვარელი საუბრის თემა საკუთარი კუთხე და საკუთარი ხალხი იყო. მახსოვს, ბავშვივით უხაროდა ნებისმიერი წვრილმანი, რაც ბათუმის, ქობულეთის ან აჭარის სხვა რომელიმე ნაწილის წარმატებას ეხებოდა. პოლიტიკურად ასლან აბაშიძე ჩემთვის წინა ხელისუფლების ერთადერთ ოპოზიციასთან ასოცირდებოდა. გაიხსენეთ წარსული, ეს მართლაც ასე იყო. დღეს, როგორც ვიცი, ბატონი ასლანი მოსკოვშია. სხვა ინფორმაციას მის შესახებ არ ვფლობ.

**- ახალი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელთან თუ გაქვთ ურთიერთობა. ამბობენ, რომ ნინო ბურჯანაძე თქვენი ნათესავია?**

- ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ჩემი შვილის ნათლია და ოჯახის ახლობელია. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდის განმავლობაში მასთან არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. თუმცა, შემიძლია გითხრათ ჩემი აზრი მასზე, როგორც უაღრესად კეთილშობილ და ინტელიგენტ ადამიანზე. ვფიქრობ, თავისი უაღრესად გაწონასწორებული ხასიათით იგი ყველასთვის თანაბრად მისაღებია.

ვისურვებდი, რომ დღეს ბევრი ნინო ბურჯანაძე იყოს საქართველოს ხელისუფლებაში.

**- საქართველოში დაბრუნებაზე არ ფიქრობთ?**

- დაბრუნებას, ჯერჯერობით, არ ვაპირებ. ვფიქრობ, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიყო იქ, სადაც ამ ეტაპზე ჩემი ხალხისთვის უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შემიძლია. გული მწყდება, რომ დღეს ეს ადგილი საქართველო არ არის. ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით კიდევ ერთხელ დიდი სითბოთი მივმართო ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხს. საქართველო აუცილებლად იქნება ძლიერი და აყვავებული ქვეყანა, რადგან ქართველი კაცი არავის მისცემს უფლებას, აბუჩად აიგდოს მისი ნება - იყოს ძლიერი ქვეყნის თავმოყვარე მოქალაქე.

# ბავშვებზე ზრუნვის ალტერნატიული გზების ძიებაში

## რას მოგვიტანს ბავშვთა სახლების "რეორგანიზაცია"?

*2009 წლამდე ბავშვთა სახლებისა და მათი აღსაზრდელების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდება. ბავშვების უმეტესობა ბიოლოგიურ ან მიმღებ ოჯახებს დაუბრუნდება. ამ შეუქცევად პროცესს დეინსტიტუციონალიზაციას უწოდებენ და მას, როგორც ერთ-ერთ რეფორმატულ წამოწყებას, თავისი ოპონენტებიც ჰყავს. თუმცა, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ გუშინდელ შეხვედრაზე, რომელსაც ბავშვთა სახლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორები, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია და პირველი ლედი სანდრა რულოვსი ესწრებოდნენ, ხმამაღალი უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს.*

ირმა კახურაშვილი

2005 წელს საქართველოს მთავრობამ დეინსტიტუციონალიზაცია ერთ-ერთ სახელმწიფო პრიორიტეტად გამოაცხადა და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც ბავშვზე მზრუნველობის სისტემის ძირეულ შეცვლასა და სოციალური მომსახურების ახალი ფორმების დანერგვას გულისხმობს. ძირითადი მიმართულებები ასეთია - ბავშვის დაბრუნება საკუთარ ოჯახში, ინსტიტუციაში მყოფი ბავშვის დროებით ან 18 წლის ასაკამდე განთავსება მიმღებ ოჯახში და ბავშვის ბავშვთა სახლში მოხვედრის თავიდან აცილება.

პილოტური პროექტები საქართველოს ხუთ რეგიონში - თბილისში, თელავში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში ერთდროულად განხორციელდა და წარმატებულიც აღმოჩნდა. სპეციალურად მომზადებული 64 სოციალური მუშაკის დახმარებით სახელმწიფო დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა დაწესებულებებიდან 800 ბავშვი საკუთარ ოჯახში დაბრუნდა ან გაშვილებულ იქნა. პილოტური პროექტები საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდა.

**"ბავშვისთვის საუკეთესო გარემო ოჯახია და ამაში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს. ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე ვიტყვი, რომ დღევანდელი სახით ბავშვთა დაწესებულებები აღარ იარსებებენ. იმ ადამიანებს კი, ვინც წლების განმავლობაში თავისი საქმის ერთგული იყო და მიზერულ საფასურად მუშაობდა, მადლობას ვუცხადებ,"** - განაცხადა ალექსანდრე ლომაიამ. მისი თქმით, ინსტიტუციების აღსაზრდელთა 80 პროცენტს ბიოლოგიური მშობლები ჰყავს. ამიტომ, სახელმწიფო ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ მოზარდმა საკუთარ დედ-მამასთან იცხოვროს.

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მომხიბლველობა მის ეკონომიკურ ეფექტშიცაა. **"დღეისათვის ბავშვთა სახლებში 5 ათასი აღსაზრდელია და მათი მიხედვა რთულია. ბავშვთა დაწესებულებების შემცირების ხარჯზე ამაღლდება ზრუნვის ხარისხი. ასე მივუახლოვდებით ევროპულ სტრანდარტებს,"** - მიაჩნია სანდრა რულოვსს, რომლის ჰუმანიტარულ ორგანიზაცია "SOCO"-ს საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო პროგრამის განვითარებაში.

რაც შეეხება დონორების მიერ გაღებულ ფინანსებს, ისინი ოჯახზე ორიენტირებული მომსახურების ახალი ფორმების განვითარებას - "დღის ცენტრების", მცირე ოჯახური ტიპის სახლების, ბავშვისა და ოჯახის სოციალური სამსახურის საკონსულტაციო ცენტრების შექმნას მოხმარდება. ალექსანდრე ლომაია მიიჩნევს, რომ შესაძლებელია, ბავშვთა სახლების რეორგანიზაციაში მოყოლილი კადრები გადაემზადონ და ამ სფეროში დასაქმდნენ.

პროექტის ერთ-ერთი წარმომადგენლის ეთერ ცხაკაიას აზრით, დეინსტიტუციონალიზაციის წარმატება დღეისათვის ყველაზე მეტად სოციალური მუშაკის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც კასპის ინვალიდ ბავშვთა პანსიონატიდან სოცმუშაკებმა ორი ბავშვი ოჯახს დაუბრუნეს, მაგრამ ერთ-ერთი გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე აქამდე იყო. **"სოცმუშაკებს ვურჩევდი, რომ ბავშვები უფრო ღრმად შეისწავლონ, რათა მეტი ტრავმა არ მიაყენონ,"** - გვითხრა კასპის ინვალიდ ბავშვთა პანსიონატის დირექტორმა ლამარა ფულაძემ.

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს სხვადასხვა კატეგორიის ბავშვთა სახლებისა და სკოლა-დაწესებულებების სიმრავლეც ართულებს. კაჭრეთის ძნელად აღსაზრდელ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრის დირექტორის ჯამლეტ კოტეტიშვილის განცხადებით, დღეს მასთან 75 აღსაზრდელია და უმეტესობას ოჯახი ჰყავს. **"პროექტის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩვენს დაწესებულებაში მისი განხორციელება გართულდება. ჩვენთან ასოციალური ქცევის ბავშვები არიან. მათ დანაშაულისკენ საზოგადოებამ, ზოგჯერ მშობლებმაც კი უბიძგეს. ვიმედოვნებ, რომ თუ სახელმწიფო ამ ბავშვების ოჯახებს ფინანსურად დაეხმარება, მათი რაოდენობაც იკლებს,"** - აცხადებს ჯამლეტ კოტეტიშვილი.

ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო სამოქმედო გეგმით ეს პროცესი 2009 წლისთვის უნდა დასრულდეს.

www.iciparis.ge




პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი. მისამართები: თბილისი, შ. რუსთაველის გამზ.№42. ი. ჭავჭავაძის გამზ.№11. დ. აღმაშენებლის გამზ.№83. ვაჟა-ფშაველას გამზ.№20. კ. გამსახურდიას გამზ.№11. დ. აღმაშენებლის გამზ.№114. შ. რუსთაველის გამზ.№34. ი. ხიზანიშვილის ქ.№6. ვ. ვეკუას ქ№3. (სავაჭრო ცენტრი GTC) შ. რუსთაველის გამზ.№1.
ქუთაისი: თამარ მეფის გამზ.№4.
ისი პარის სილამაზის ცენტრი, მისამართები: თბილისი, ი. აბაშიძის ქ№24. ი. ჭავჭავაძის გამზ.№78. (სამედიცინო გამაჯანსაღებელი ცენტრი "ნაუტილუსი")

Network of perfumery shops, adresses: Tbilisi, 42 Rustaveli Ave. 11 Chavchavadze Ave. 83 Agmashenebeli Ave. 20 Vazha-pshavela Ave. 11 Gamsakurdia Ave.114 Agmashenebeli Ave. 34 Rustaveli Ave. 6 Khizanishvili str. 3 Vekua str.( Shoping center GTC ) 1 Rustaveli Ave.
Kutaisi: 4 Tamar Mepe Ave.
ICI PARIS beauti centers, adresses: 24 Abashidze str. 78 Chavchavadze Ave. (madical reabilitation center Nautilus)

პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი "ისი პარი" უერთდება საქართველოს მოქალაქეთა იმ საყოველთაო სიხარულსა და აღტაცებას, რომელიც ჩვენს სამშობლოში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბატონი ჯორჯ ბუშის ვიზიტს ახლდა.

იწყება განვითარების ახალი ეტაპი ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, ეტაპი საქრთველოს გამთლიანებისა და აღმავლობისა.

# ერთად ვიშრომოთ საქართველოს საკეთილდღეოდ!

*"ისი პარის" დირექცია*

# საქართველოსკენ 200 მილიონი დოლარი მოდის

"ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან" ქართული მხარე ხელშეკრულებას თვენახევარში გააფორმებს. ამის თაობაზე გუშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა განაცხადა. მისი ინფორმაციით, საინვესტიციო პროგრამაზე, რომლის საფუძველზეც საქართველოს, სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად, დაახლოებით 200 მილიონი დოლარი უნდა გამოეყოს, მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. ჩეჩელაშვილის განცხადებით, უახლოეს ხანებში საქართველოში უნდა ჩამოვიდეს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ამ თანხის ფარგლებში სამხრეთ საქართველოში ასაშენებელი გზის დიზაინზე იმუშავებს.

რაც შეეხება 200 მილიონის დანარჩენი ნაწილის ათვისების საკითხს, მინისტრის თქმით, აღნიშნული თანხებით სამხრეთ საქართველოში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და 120 კმ გზის მშენებლობასთან ერთად (რომლითაც საქართველო, კარწახის საბაჟოს გავლით, თურქეთს დაუკავშირდება), დაგეგმილია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი პროექტების განხორციელება და ჩრდილოეთ-სამხრეთი მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია.

ჩეჩელაშვილი განმარტავს, რომ სამხრეთ საქართველოში ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს სატრანზიტო პოტენციალს გააძლიერებს. სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის კი 40-დან 50 მილიონ დოლარამდე დაიხარჯება და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები ამოქმედდება.

რაც შეეხება უკანასკნელ კომპონენტს - მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციას, ის საინვესტიციო პროგრამაში მოგვიანებით შევიდა და მან გენერაციის ობიექტების დაფინანსების კომპონენტი ჩაანაცვლა.

"ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ხელისუფლებამ პროგრამით დასაფინანსებელი ობიექტების პრივატიზება გადაწყვიტა," - აკონკრეტებენ "მილენიუმის პროგრამის" საქართველოს წარმომადგენლობაში.

ფინანსთა მინისტრის თქმით კი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის" პროექტზე ჯერ ხელი არ მოუწერია, ამერიკელების მიერ უკვე გამოყოფილია 4,1 მილიონი დოლარი, რათა ამერიკელი სპეციალისტები საქართველოში უკვე ჩამოვიდნენ და სამხრეთ საქართველოში საგზაო კომუნიკაციების დიზაინი შეიმუშაონ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დღეს, 11.00 საათიდან 14.00 საათამდე, სანზონის დასახლებას ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდება. როგორც "ინტერ-პრესს" კომპანია "თბილგაზში" განუცხადეს, "თბილგაზი" მილსადენზე მომხდარი ავარიის ლიკვიდაციის სამუშაოებს ახორციელებს. ამიტომ, საჭიროა გაზმომარაგების დროებით შეწყვეტა. "თბილგაზი" მომხმარებლებს აფრთხილებს, უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაზის ონკანები დაკეტონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 46,8 მლნ. ლარით იზრდება. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გოზეჯიშვილმა განაცხადა, ამ თანხით მოხდება იმ შეიარაღების განბაჟება, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ შეიძინა. "თანხა ბიუჯეტში აისახება, როგორც საბაჟო დეპარტამენტის შემოსავალი," - განაცხადა გოზეჯიშვილმა. მისი თქმით, თუ სამინისტროს განბაჟებისთვის 46,8 მილიონი ლარი სჭირდება, განბაჟებისთვის კი განხორციელებული შესყიდვის 33 პროცენტია საჭირო, გამოდის, რომ სამინისტრომ 180 მილიონი ლარის მოცულობის შეიარაღება შეიძინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთში "პრივატიზაციის არასაბიუჯეტო ფონდი" მოქმედებს, რომლის მმართველობაც სეპარატისტულმა სოხუმმა გადაირჩია. ფონდის ახალი თავმჯდომარე პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში გახდა, მმართველობის წევრები კი გახდნენ პარლამენტის სპიკერი ნუგზარ აშუბა, პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე დაურ ტარბა და ორი პარლამენტარი, აგრეთვე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარას" და "ერთიანი აფხაზეთის" წარმომადგენლები. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნავთობსადენის კომპანიამ, რომლის ოპერატორიც "ბრიტიშ პეტროლიუმია", სანგაჩალის (აზერბაიჯანი) მთავარი საქაჩი-სატუმბი სადგურიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის შევსება დაიწყო. მიმდინარეობს მილსადენის გამოცდა. 1770-კილომეტრიანი მილსადენის შესავსებად 10 მილიონი ბარელი ნავთობია საჭირო. ეს ნავთობი "აზერის", "ჩირაგისა" და "გიუნეშლის" საბადოებში მოიპოვება. ნავთობით მილსადენის მთელი მარშრუტის ეტაპობრივ შევსებას ექვს თვეზე მეტი დრო სჭირდება, ხოლო ჯეიჰანის პორტში პირველი ტანკერის ნავთობით დატვირთვას 2005 წლის მეოთხე კვარტალში მოელიან. **მედიანიუსი**

# "მადნეული" 8-ობიექტიან "თაიგულში" იყიდება

### მისი გაყიდვით ბიუჯეტი, მინიმუმ, 40 მილიონ დოლარს მიიღებს

*ორ კვირაზე ცოტა მეტი დრო დარჩა იმ დღემდე, როცა საბოლოოდ გაირკვევა იმ კომპანიების ვინაობა, რომლებიც სს "მადნეულის" მფლობელობაზე აცხადებენ პრეტენზიას. მართალია, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ამ დროისთვის ჯერ არც ერთი განაცხადი არ არის შესული, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მალე ამ სახელმწიფო საწარმოთი ძალიან ბევრი უცხოელი დაინტერესდება.*

ეთერ მამულაშვილი

ამის წინაპირობა კი, როგორც საწარმოს ხელმძღვანელობა ირწმუნება, დღეს უკვე არსებობს. გაზრდილი შემოსავლები და შემცირებული დავალიანება - ეს არის ის ძირითადი ფაქტორები, რომლის საშუალებითაც "მადნეულის" დირექტორატი ინვესტორების მოხიბლვას ცდილობს.

საწარმოს კორპორატიული დირექტორის, აკაკი ჩარგელიშვილის თქმით, პირველად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, შარშანდელი წელი "მადნეულმა" მოგებით დაასრულა, რომლის მოცულობამ 4 მილიონ ლარს ოდნავ გადააჭარბა. რაც შეეხება საწარმოს კრედიტორულ დავალიანებას, კორპორატიული დირექტორის თქმით, მისი მოცულობა ამ დროისთვის 5 მილიონ ლარს აღწევს. თუმცა, ამის გარდა, ფინანსთა სამინისტრო საწარმოს ხელმძღვანელობას 42 მილიონ ლარს ედავება, რომლის გადახდასაც ეს უკანასკნელი არ აპირებს. აკაკი ჩარგელიშვილი "24 საათთან" საუბრის დროს ამბობს, რომ ეს წლების განმავლობაში არასწორად დარიცხული საგადასახადო ვალდებულებაა, რომელიც საწარმოს ძველი დირექტორის დროს არის დარიცხული.

ასეა თუ ისე, ამ შემთხვევაში სიმართლის გარკვევა, ალბათ, უკვე იმ კერძო კომპანიას მოუწევს, რომელიც "მადნეულში" ყველაზე ბევრს გადაიხდის და, თანაც, საქართველოს ხელისუფლებას უკეთეს პირობებს შესთავაზებს.

პირველი და უმთავრესი ის არის, რომ "მადნეულით" დაინტერესებულმა მყიდველმა ამ საწარმოს ბალანსზე არსებული ყველა ობიექტი მასთან ერთად უნდა შეიძინოს. ასეთი კი რვაა. ოთხ მათგანში სახელმწიფო წილი 100-100 პროცენტია, დანარჩენ ოთხში კი - 50 პროცენტი. მათ შორის ყველაზე მსხვილი შპს "კვარციტია", რომლის 50 პროცენტს ავსტრალიური კომპანია "გლენკორი" ფლობს. არაოფიციალური ინფორმაციით, რომელიც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ავსტრალიელებმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ყველა ობიექტის ცალ-ცალკე გაყიდვა მოსთხოვეს და ეს გასაგებიც არის, რადგან "გლენკორს" მთელი ამ საწარმოდან მხოლოდ ოქროს შემცველი მადნის კარიერი იზიდავს.

**"მადნეული იყიდება ყველაფერთან ერთად. მაქსიმუმ, შესაძლოა, ჩვენ დათმობაზე წავიდეთ და ცალკე გავყიდოთ ის ობიექტები, რაც ამ საწრმოსთვის არაპროფილურია. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "სიონი,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს სამინისტროს პრივატიზების სამმართველოს უფროსმა ილია გოცირიძემ.



"გლენკორზე" ამბობენ, რომ მას მხოლოდ კარიერები აინტერესებს.

"მადნეული" საოკეანო-სანაოსნოს შემდეგ მეორე მსხვილი სახელმწიფო საწარმოა, რომლის გაყიდვა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონკურსის ფორმით აქვს გადაწყვეტილი. თუ რამდენი მილიონი ლარით გამდიდრდება ბიუჯეტი ამ საწარმოს გაყიდვის შემდეგ, ამის თქმა სამინისტროში ამ ეტაპზე ძალიან უჭირთ. თუმცა, ერთი რამ წინასწარ ცხადია - ეს ბევრად ნაკლები იქნება, ვიდრე საოკეანო-სანაოსნოში ბრიტანელების მიერ გადახდილი თანხა. მინისტრი ლექსო ალექსიშვილი ვარაუდობს, რომ მინიმუმი, რაც შესაძლოა, ინვესტორმა მადნეულში გადაიხადოს, ეს 40 მილიონი აშშ დოლარია. **"ბოლო პერიოდში მიღწეული დიდი წარმატების მიუხედავად, ამ საწარმოში ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დიდი მოცულობის ინვესტიციების, დაახლოებით 50-100 მილიონი აშშ დოლარის დაბანდებაა საჭირო,"** - განაცხადა ალექსიშვილმა გუშინ, "მადნეულის" დათვალიერების შემდეგ. უფრო კონკრეტულად, საჭიროა ახალი მანქანა-დანადგარების შემოტანა და ეტაპობრივად საწარმოს სრული ტექნიკური გადაიარაღება. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია ახალი საბადოების ათვისებაც, სადაც მოპოვება დღეისთვის არ ხორციელდება. საწარმოს დღევანდელი ხელმძღვანელობის თქმით, საუბარია "ბალიჭისა" და "ახალსოფლის" საბადოების ათვისებაზე, რომლებიც თავიანთი მადნებით ძალიან პერსპექტიულია.

**"ჩვენ საპრივატიზაციო პაკეტში გავითვალისწინებთ ლიცენზიის და ნებართვის გაცემას ამ საბადოებზე მადნის მოპოვებისთვის. ეს საკითხი გარემოს დაცვის სამინისტროში უახლოეს პერიოდში გადაწყდება,"** - განაცხადა ალექსიშვილმა. იმ შემთხვევაში, თუ გარემოს დაცვის სამინისტრო საწარმოს განაცხადს ლიცენზიის თაობაზე დააკმაყოფილებს, აკაკი ჩარგელიშვილის თქმით, "მადნეულის" ღირებულება კიდევ უფრო გაიზრდება.

როგორც "მადნეულის" გენერალურმა დირექტორმა კობა ნაყოფიამ ჩვენთან საუბრის დროს განაცხადა, საწარმოს მიმართ ინტერესი ძალიან დიდია - "მადნეულის" დასათვალიერებლად სულ ცოტა ხნის წინათ ბოლნისში ჩასულები იყვნენ ავსტრიული, ინგლისური, უკრაინული, ყაზახური და რუსული კომპანიები. თუმცა, არც ერთ მათგანს სამინისტროსთვის შესაბამისი განაცხადით ჯერ არ მიუმართავს.

ცნობისათვის: ამჟერად სახელმწიფო საკუთრებაში "მადნეულის" აქციების 97.25 პროცენტია. დანარჩენს კი საწარმოს 2000-კაციანი კოლექტივი ფლობს, რომელთა საშუალო ხელფასი 300-დან 400 ლარამდე მერყეობს.

"მადნეულზე" ინვესტორებისგან ინტერესის გამოხატვასა და საინვესტიციო წინადადებებს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო 31 მაისამდე ელის.

# მთავრობას სტიქიასთან ბრძოლაში მსოფლიო ბანკი დაეხმარება

*საქართველომ მსოფლიო ბანკისგან სტიქიური უბედურების შედეგების აღმოსაფხვრელად, შესაძლოა, 3 მილიონი დოლარის კრედიტი და 2 მილიონი დოლარის გრანტი მიიღოს. ფინანსთა მინისტრის ვალერი ჩეჩელაშვილის თქმით, ამის თაობაზე მსოფლიო ბანკთან მოლაპარაკებას, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, საგზაო დეპარტამენტი და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აწარმოებენ. აღნიშნული თანხები ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებას და გზების რეაბილიტაციას მოხმარდება.*

სტიქიის შიშით, საქართველოს პარლამენტში გუშინ გამოცხადებული ოფიციალური დასვენების დღის მიუხედავად, ოთხი საპარლამენტო კომიტეტი 2005 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტს განიხილავდა. ცვლილებების პროექტით, მთავრობა სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარებასა და სტიქიით მიყენებული ზარალის აღმოფხვრას გეგმავს. პარლამენტს ბიუჯეტში ცვლილებების პროექტით მთავრობამ მიმართა. პროექტი სტიქიით გამოწვეული ზარალის ლიკვიდაციისთვის 20 მილიონი ლარის გამოყოფას ითვალისწინებს. კერძოდ, 15 მლნ. ლარით იზრდება საგზაო დეპარტამენტის ხარჯების მოცულობა, 5 მლნ. ლარით კი მთავრობის სარეზერვო ფონდი მოიმატებს.

თუმცა, 2005 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტს ადამიანის უფლებების დაცვის საპარლამენტო კომიტეტი მთავრობის მიერ ხარჯების დეტალურად გაშიფვრამდე მხარს არ დაუჭერს. კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძემ გუშინ საბიუჯეტო ცვლილებების პროექტის საკომიტეტო მოსმენაზე განაცხადა, რომ 20 მილიონი ლარის სამართლიანად განაწილებისთვის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატებმა ხარჯვის მონიტორინგი უნდა განახორციელონ.

ადამიანის უფლებების დაცვის საპარლამენტო კომიტეტის დასკვნის ანალოგიური იყო საპარლამენტო ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარების" შეფასება. როგორც თერჯოლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბეჟან ბუცხრიკიძემ განაცხადა, ფრაქცია ცვლილებების განხილვის 15 დღით გადავადებას მოითხოვს, რადგან ამ დროისთვის ზუსტად დადგინდება დასავლეთ საქართველოში მიმდინარე თვეს კოკისპირული წვიმებით გამოწვეული ზარალის ოდენობა.

სტიქიის შედეგად დაზარალებული რეგიონებისთვის თანხების გაცემა გუშინ, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის განხილვის თემაც იყო. ისინი ამ თანხების გაცემაზე ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის დაწესებას ითხოვენ. კომიტეტის ინიციატივით, თანხები დაზარალებული რაიონების მაჟორიტარი დეპუტატების მიერ შექმნილი კომისიის მონაწილეობით უნდა გაიცეს. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა განაცხადა, თანხები უნდა გამოიყოს არა რაიონების მიხედვით, არამედ შეიქმნას ერთიანი სია დაზარალებული ოჯახებისა და თანხები სწორედ ამ პრინციპით დარიგდეს.

გუშინვე დიდი ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ ვახტანგიშვილი რეგიონში გასულ ზაფხულს ქართული საჯარისო შენაერთების შეყვანის დროს დაზიანებული სახლების აღსადგენად სახსრების გამოყოფას ითხოვდა. როგორც პარლამენტარმა განაცხადა, ზაფხულის მოვლენების დროს ხეობაში 200-300 სახლი დაზიანდა, რომელთა აღდგენაზე ვალდებულება მთავრობამ აიღო. **"ამ დროისათვის გაცემულია 435 ათასი ლარი, ხოლო გასაცემი თანხა 266 ათას ლარს შეადგენს,"** - განაცხადა ვახტანგიშვილმა. ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მთავრობას რეგიონში დაზიანებული სახლების აღდგენისთვის 700 ათასი ლარი აქვს გათვალისწინებული, თუმცა აღნიშნული თანხის განაწილება მხოლოდ შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის და სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას აპარატების პრეროგატივაა.

*24 საათი*

# არასამთავრობოები სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამას წარმატებულად აფასებენ

საქმე, რომელსაც ვემსახურებით

21 მაისს ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" და მისი ექვსი ადგილობრივი პარტნიორი სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის (CAP) ფარგლებში სამოქალაქო ინტერესების დაცვის თემაზე გამართავენ კონფერენციას. ამავე დღეს მოეწყობა პროგრამის ძირითადი შედეგების პრეზენტაცია; დაგეგმილია საზოგადოებრივი ორგანიზაციების პირველი გამოფენა-ფორუმის ამსახველი დოკუმენტური ფილმის ჩვენება; გაიმართება დისკუსია მიღებული გამოცდილებისა და სამომავლო რეკომენდაციების შესახებ და სხვა. კონფერენციის დასასრულს მოეწყობა სოციალური პროექტების ბირჟის პრეზენტაციაც.

სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა სამი წელია, რაც არსებობს. მისი მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობათა გაუმჯობესებას და შექმნას ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ ამ ორგანიზაციებმა შეძლონ მოქალაქეთა ინტერესების ეფექტურად დაცვა და ლობირება.

როგორც პროგრამაში მონაწილე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიაჩნიათ, პროგრამა თავისი არსით უნიკალურია და მისი მიზანი - ქვეყანაში სამოქალაქო ინტერესების დაცვის სტიმულირება და მისი დემონსტრირება კონკრეტული მაგალითებით - მიღწევადი აღმოჩნდა.

პროგრამა 4 კომპონენტისგან შედგებოდა: საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტიმულირება, რათა დაიცვან მოქალაქეთა კონკრეტული ჯგუფების ინტერესები; სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამართლებრივი ბაზის სრულყოფა და მათი ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებასთან უკუკავშირის გაძლიერება.

აღსანიშნავია, რომ ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვების" ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებს წარმოადგენენ საქართველოს გაეროს ასოციაცია, პარტნიორები-საქართველო, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი, სამოქალაქო განვითარების ცენტრი "ალტერნატივა", სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.

"2002 წლის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) დაიწყო სამოქალაქო საზოგადოებისათვის პროექტის დაფინანსებაზე მომზადება, რიც შედეგადაც გამოაქვეყნა საპროექტო კონკურსი. ჩვენ, "გადავარჩინოთ ბავშვები" (Save the Children) ჩავერთეთ კონკურსში მონაწილეობის პროცესში, გავეცანით თითქმის ყველა გამორჩეულ და ძლიერ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას. შერჩეული 6 ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია უკვე ჩამოყალიბებული იყო ერთობლივად კოალიციის სახით, თუმცა არაოფიციალურად და არარეგისტრირებულად. მათ გააჩნდათ ერთად მუშაობის გამოცდილება და საერთო ხედვა. ამიტომ ჩვენსა და მათ შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება ბუნებრივად მოხდა. რამდენიმე პარტნიორის ნაცვლად, მივიღეთ 6 ორგანიზაციისგან შემდგარი ერთი კოალიციური ჯგუფი. ყველაფერი ეს დაგვირგვინდა ძალიან მნიშვნელოვანი პროექტით "სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა" (CAP), რომელიც 2002 წლის აგვისტოში დამტკიცდა" - პროექტის დაბადების დეტალებს იხსენებს ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვების" წარმომადგენელი ინდირა ამირანაშვილი.

"ეს პროგრამა მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ პროგრამის მართვაში ჩართული იყვნენ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც კოალიციის სახით მონაწილეობდნენ აღნიშნულ პროგრამაში. პროგრამის მიმდინარეობისას თითოეული მათგანი სრულუფლებიან გადაწყვეტილებას იღებდა მმართველი საბჭოს მოქმედების ფარგლებში, რომელიც პროგრამის მენეჯმენტს ახორციელებდა. ფაქტობრივად, ასეთი სისტემა აქამდე საქართველოში არ არსებობდა", - პროექტის მნიშვნელობაზე საუბრობს საქართველოს გაეროს ასოციაციის დირექტორი რამაზ აფციაური.

გარდა ამისა, პროექტი გამორჩეული იყო იმითაც, რომ დაიწერა ერთობლივად, ადგილობრივი პარტნიორი საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილებაზე დაყრდნობით. "ყველა ის მიმართულებები და ამოცანები, რომლებიც ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს დაიგეგმა 2002 წელს, დღესაც ემსახურება თავის საქმეს და საკმაოდ აქტუალურია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა" - აღნიშნავს ინდირა ამირანაშვილი.

პროგრამის განხორციელებისას 4 მიმართულებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარება, რაც პროგრამაში მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციების გათვლებით მიღწევადი აღმოჩნდა. "სხვადასხვა სფეროებში ჩატარდა ტრენინგები, კერძოდ, სამოქალაქო ინტერესების დაცვის, ფონდების მოძიების, მასმედიასთან ურთიერთობის, სტრატეგიული დაგეგმარების, გამგეობების განვითარების, მოხალისეების მოზიდვის, ადმინისტრაციული, ფინანსური მართვის გაუმჯობესების მიზნით. ტრენინგები ჩაუტარდათ როგორც CAP-ის ფარგლებში დაფინანსებულ, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. გარდა ამისა, ჩვენი ერთ-ერთი კომპონენტი იყო სამოქალაქო ინტერესების დაცვის კამპანიების დაფინანსება. ამის ფარგლებში ჩვენ დავაფინანსეთ არანაკლებ 3 ორგანიზაციისგან შემდგარი 8 კოალიცია, მთლიანობაში 40-ზე მეტი ორგანიზაცია. ისინი სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან მუშაობდნენ", - განმარტავს ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვების" წარმომადგენელი.

"ოზურგეთის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენდა არა მხოლოდ ბოლო 10 წლის განმავლობაში, რადგან თვითონ რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა ქმნიდა ამ პრობლემას. სამოქალაქო ინტერესების დაცვის კამპანია მიზნად ისახავდა ქალაქისა და რეგიონის მიერ საკმარისი თანხების გამოყოფას წყლის უწყვეტი მიწოდების აღდგენისათვის. ოზურგეთში არსებული 5-წევრიანი კოალიციის მეშვეობით აღნიშნული პრობლემა დარეგულირდა. გარდა ამისა, ქუთაისში ორგანიზაციათა კოალიცია მუშაობდა მერიასთან და საკრებულოსთან, რათა მოქალაქეებთან ერთად განხორციელებულიყო ქალაქის სტრატეგიული დაგეგმარება, გარკვეული პრიორიტეტების გამოყოფა და აღნიშნული პრიორიტეტების დაფინანსება, იგულისხმება ინფრასტრუქტურის განვითარება, ჯანდაცვისა და განათლების სფეროს, ენერგო-სექტორის სტიმულირება", - პროექტის შედეგებზე საუბრობს გაეროს ასოციაციის დირექტორი.

ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვების" წარმომადგენლის ინდირა ამირანაშვილის გათვლებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წარმატებული აღმოჩნდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობა სოციალურად დაუცველ ფენებთან. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და მათი კოალიციის მიზანი იყო, მონაწილეობა მიეღოთ საკრებულოსა და გამგეობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუ რამდენად მიზნობრივად დაიხარჯებოდა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სოციალური დახმარებები, მრავალშვილიანთა და ინვალიდთა შემწეობები. შემდგომში აღნიშნული პროექტი ისე განვითარდა, რომ ბიუჯეტის მიღების პროცესი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში გადავიდა ანუ თბილისის თითოეული განყოფილება, დეპარტამენტი, რომლებიც სოციალურ სფეროებზე იყო ორიენტირებული, ვალდებული გახდნენ მოემზადებინათ წლიური ბიუჯეტი კონკრეტული ციფრებით და კონკრეტული შედეგებით. ფაქტობრივად, ბიუჯეტი შედგება მინი-პროექტისგან. ეს აღმოჩნდა პროცესის გაკონტროლების ძალიან კარგი ხერხი. საკრებულოს მიეცა საშუალება, მონიტორინგი ჩაეტარებინა საქმიანობის მსვლელობასა და მისი შედეგების მიზნობრიობაზე. ამ მოდელის პრეზენტაცია მოხდა ქუთაისში და ბათუმში, სადაც იგეგმება ამ მიდგომის გადმოღება. კამპანიის დასრულებისას (2005 წ. მაისი) მსგავსი პრეზენტაციები ჩატარდება სხვა მსხვილ ქალაქებში და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ ბიუჯეტის ამ ძალიან კარგ და გამჭირვალე დაგეგმარების მოდელს დანერგავენ მთელი საქართველოს მასშტაბით.

მნიშვნელოვანი იყო კანონმდებლობის გაუმჯობესება არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. კანონები არსებობდა, თუმცა, ამავე დროს, ძალიან ბევრ ხარვეზს შეიცავდა. ეს არის ეგრეთ წოდებული არასამეწარმეო სამართალი.

"ჩვენი ორგანიზაციის როლს წარმოადგენდა სამართლებრივი გარემოს სრულყოფა. პროცესი შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად: პირველი - შევარდნაძის პერიოდი, როდესაც გვიხდებოდა არსებული სამართლებრივი გარემოს დაცვა, როდესაც ერთ წელიწადში ხელისუფლებისგან 7 სხვადასხვა დონის ინიციატივა წამოვიდა, რომელიც მკვეთრად აუარესებდა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკანონმდებლო გარემოს. ჩვენი ძალისხმევით, შვიდივე ინიციატივა დაიბლოკა. ამასთან, გრანტების შესახებ კანონში შედიოდა ცვლილება, როდესაც სამეწარმეო იურიდიულ პირებს ეძლეოდათ გრანტის გაცემის უფლება, რაც სისტემას მთლიანად ანგრევდა. მართალია, მოვახერხეთ, რომ ეს უფლება ქართულ სამეწარმეო პირებს არ მიეცეს, მაგრამ სამწუხაროდ, ეს დებულება სახელმწიფომ უცხოურ სამეწარმეო პირებზე მაინც გაიტანა. საქმიანობის მეორე ნაწილი მიმართული იყო უკვე არსებული საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებაზე. მივაღწიეთ მნიშვნელოვან წარმატებებს: ახალ საგადასახადო კოდექსში გაჩნდა საქველმოქმედო საქმიანობის რეგულირების მექანიზმები, კერძოდ, საქველმოქმედო კანონის მუხლები და შესაბამისად, ამოქმედდა ახალი საგადასახადო შეღავათები ასეთი სპონსორი/დონორი ორგანიზაციებისათვის. ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიეცათ საშუალება, დააინტერესონ ბიზნეს-სექტორი, ანუ თუ ბიზნესის წარმომადგენელი გადაწყვეტს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქველმოქმედებას, ის გარკვეული საგადასახადო რეჟიმით ისარგებლებს, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ადგილობრივი დაფინანსების წყაროების განვითარებას და შეამცირებს არასამთავრობო ორგანიზაციების დამოკიდებულებას უცხოურ დონორებზე. ჩვენი ორგანიზაცია მუშაობს ფინანსთა სამინისტროსთან. შეიქმნება რეესტრი, სადაც რეგისტრირდება ყველა ქველმოქმედი სტატუსის მქონე ორგანიზაცია და საქველმოქმედო საქმიანობისათვის გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი" - აღნიშნავს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვაჟა სალამაძე.

პროგრამაში მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციები დაუსრულებლად საუბრობენ პროექტის მნიშვნელობაზე და მის წარმატებებზე. მაგრამ ამასთან, მიაჩნიათ, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასარეგულირებელი მესამე სექტორის განვითარებისა და საქმიანობის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია კიდევ ერთი დეტალი, საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა ორიენტაცია შეიცვალეს და პრიორიტეტად სახელმწიფოს დახმარება აღიარეს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობისათვის და მათი საქმიანობის გასაგრძელებლად საჭირო ხდება ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოძიება. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ალტერნატიულ პარტნიორად კი ბიზნეს-სექტორი მიაჩნიათ, რომელთან თანამშრომლობაც უკვე დაწყებულია.

# ბერეზოვსკის ფულის წარმომავლობით ფრანგი სამართალდამცველები დაინტერესდნენ



ფრანგმა სამართალდამცველებმა ბერეზოვსკის ვილა გაჩხრიკეს.

ოთხშაბათს საფრანგეთის მსხვილ ფინანსურ დანაშაულებთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს (OCRGDF) თანამშრომლებმა გაჩხრიკეს სკანდალური რუსი ოლიგარქის, ამჟამად პოლიტემიგრანტის სტატუსით საზღვარგარეთ მცხოვრები ბორის ბერეზოვსკის სასახლე, რომელიც ლაჟვარდოვან სანაპიროზე, ქალაქ ანტიბში მდებარეობს.

ფრანგული საინფორმაციო სააგენტო AFP, "გამოძიებასთან დაახლოებულ წყაროზე" დაყრდნობით, იუწყება, რომ ჩხრეკა ჩატარდა იმ გამოძიების ფარგლებში, რომელიც იკვლევს ბერეზოვსკის შესაძლო კავშირს ფულის გათეთრებასთან. თავდაპირველად სხვა დეტალები არ ხმაურდებოდა. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ჩხრეკის ჩატარებაზე ნებართვა მარსელის სასამართლომ გასცა. თავად ბერეზოვსკიმ გაზეთ "კომერსანტთან" საუბრისას დაადასტურა ჩხრეკის ფაქტი, თუმცა კი აღნიშნა, რომ მიზეზების შესახებ არაფერი იცის. მისივე თქმით, პოლიციელები დანიშნულების ადგილას ვერტმფრენებით, შეიარაღებულნი მივიდნენ. ბერეზოვსკი არ გამორიცხავს, რომ სამართალდამცველი ორგანოების გააქტიურება საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკისა და ვლადიმირ პუტინის ცოტა ხნის წინანდელ მოსკოვურ შეხვედრას უკავშირდებოდეს.

თავად ბერეზოვსკი ჩხრეკის დროს ოჯახთან ერთად ლონდონში იმყოფებოდა. სამართალდამცველებს შინ მხოლოდ ბერეზოვსკის დედა და საქმეთა მმართველი დახვდათ. ჩხრეკას არ დასწრებიან არც ბერეზოვსკის ადვოკატები. თავად ოლიგარქის განმარტებით, პოლიციას სრული უფლება აქვს, ჩხრეკა ადვოკატების გარეშე ჩაატაროს.

ჩხრეკისა და, საერთოდ, გამოძიების დეტალები ფრანგმა სამართალდამცველებმა მხოლოდ გუშინ გაახმაურეს.

AFP-ის ცნობით, ჩხრეკა ჩატარდა იმ თანხის წარმომავლობის დადგენისთვის, რომლითაც 1997 წელს შეძენილ იქნა ლაჟვარდოვან სანაპიროზე ყველაზე მდიდრულად მიჩნეული მამული "შატო დე ლა გარუპი" და მეზობლად მდებარე ვილა "კლოშე დე ლა გარუპი". არსებული მონაცემების თანახმად, ერთიცა და მეორეც ბორის ბერეზოვსკიმ 1997 წელს უცხოური კომპანიის დახმარებით 22 მილიონ ევროდ შეიძინა. თუმცა კი, ფორმალურად ის მხოლოდ ამ საკუთრების არენდატორად ირიცხება, მაშინ, როცა მესაკუთრისა და მმართველის სტატუსით რეგისტრირებულია "საფრანგეთის უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანია".

AFP იხსენებს, რომ ვილებისა და მამულის შესყიდვის გარემოებებით ფრანგი სამართალდამცველები ჯერ კიდევ 2002 წელს, საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროს იმ სპეციალური ქვედანაყოფიდან მიიღებული შეტყობინების საფუძველზე დაინტერესდნენ, რომელიც ფულის გათეთრების ოპერაციების გამოვლენაზე სპეციალიზდება. ამ შეტყობინების საფუძველზე, ლაჟვარდოვან სანაპიროზე, საკუთრების შეძენის გზით ფულის გათეთრების ეჭვის არსებობის გამო, მარსელის მოსამართლემ ბეატრის დელ ვოლგომ ოფიციალური გამოძიების დაწყების განკარგულება გასცა.

მსხვილ ფინანსურ დანაშაულებთან ბრძოლის მთავარ სამმართველოში, სადაც ამ საქმეს იძიებენ, არ გამორიცხავენ, რომ ვილების შეძენისას, შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო "აეროფლოტთან" დაკავშირებული ფინანსური მაქინაციების შედეგად მიღებული ფული.

ფრანგული საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ამოიღეს სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია, რომელიც, შეიძლება, გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

*24 საათი*

# შსს-მ ავტომანქანების ბაზრობაზე რეიდი ჩაატარა





*არსებობს ინფორმაცია, რომ მანქანები განუბაჟებელია და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებშია მოპარული.*

შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ ავტომანქანების ბაზრობებზე - "არაგვსა" და ე.წ. დიღმის ავტომანქანების ბაზრობაზე რეიდი ჩაატარეს. სამართალდამცველთა განცხადებით, მოულოდნელი შემოწმების მიზეზი ოპერატიული ინფორმაცია გახდა, რომლის მიხედვითაც, ბაზრობაზე საქართველოში სხვადასხვა საეჭვო გზით შემოყვანილი მოპარული მანქანები იყიდება.

შსს-ს დეპარტამენტის თანამშრომლები ყველა ავტომანქანის ინდივიდუალურ კოდს ამოწმებდნენ. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ 50-მდე მანქანას საიდენტიფიკაციო კოდი ან საერთოდ წაშლილი ჰქონდა, ან - გადაკეთებული. სამართალდამცველები შეამოწმებენ საეჭვოდ მიჩნეული მანქანების წარმომავლობას. შსს-ს ინფორმაციით, არსებობს ინფორმაცია, რომ მანქანები განუბაჟებელია, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებშია მოპარული და საქართველოში სომხეთიდანაა გასაყიდად ჩამოყვანილი.

ერთ-ერთი ბაზრობის მფლობელმა, ფირმა "მათე მოტორსის" დამფუძნებელმა, გელა ბარკალაიამ სააგენტო "ინტერ-პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შსს-ს ღონისძიება ყველა ავტომანქანის შემოწმებას ისახავდა მიზნად, იმის დასადგენად, ხომ არ ხდება ქვეყანაში ავტომანქანის არალეგალური გზით შემოყვანა. **"ჩვენ ამგვარ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მივესალმებით, რადგან საქართველოში, მართლაც, შემოდის განუბაჟებელი, საეჭვო წარმომავლობის ავტომანქანები, რომელთა რეალიზებაც გაცილებით დაბალ ფასში ხდება. ფირმის წარმომადგენლები სამართალდამცველი უწყებების ნებისმიერ ამგვარ ღონისძიებას ხელს შეუწყობენ,"** - აღნიშნა მან.

ბარკალაიას მტკიცებით, "მათე მოტორსში" ყველაფერი წესრიგშია. თუმცა, ამავე ავტოსადგომზე დგას ავტომობილები, რომლებიც კერძო პირების მიერ არის შემოყვანილი და, საეჭვო გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში, სამართალდამცველები მათ მფლობელებს დაუკავშირდებიან.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დღემდე გრძელდება სომხეთში გატაცებული და გამოძალული ავტომანქანების საქართველოში შემოყვანა.

სამართალდამცველებმა დიღმის ავტობაზრობა, შემოწმების მიზნით, ერთი კვირით დალუქეს. მყიდველებს ავტომანქანების შერჩევის საშუალება ექნებათ, თუმცა შეძენას ერთი კვირის განმავლობაში ვერ შეძლებენ.

*24 საათი*

# ქართული საგანძურის საქართველოში დაბრუნება არც XXI საუკუნეშია იოლი

*მეფე ერეკლე მეორის სასმისი, ბაგრატიონთა ოჯახის უნიკალური ფოტო და დოკუმენტური არქივი, ბაგრატიონთა ორი დიდი ინკრუსტირებული ლარნაკი, რომის პაპის მიერ ნაჩუქარი ვერცხლის ჯვარცმა წარწერით "ნიკო ბურისათვის" და იმავე წარწერით ტრანსვალია ორანჟის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ნაჩუქარი ოქროს საათი, ნიკო ბურის ვერცხლის ხმალი და საგვარეულო ხანჯალი, ვიჟე ლებრენის ნახატი "მადამ რიბოპიერ" - ეს საგანძურის ის მცირე ნაწილია, რომელიც საფრანგეთში გადასახლებულ ცნობილ ქართველ მოღვაწეს ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანელს - ბურს ეკუთვნოდა. დღეს დასახელებული ნივთები პარიზში, ნიკო ბურის ქალიშვილის გერების სახლშია და მათი პირდაპირი მემკვიდრე, ნიკო ბურის შვილიშვილი, საქართველოში მცხოვრები თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი წლების მანძილზე უშედეგოდ ცდილობს მილიონებად შეფასებული უნიკალური ნივთების სამშობლოში დაბრუნებას.*

თამარ კაციტაძე

**"2000 წელს ნიკო ბურის ქალიშვილმა ირენ ბაგრატიონ-მუხრანელმა საქართველოს ხელისუფლებას წერილი გამოუგზავნა, რომლითაც ითხოვდა, მუხრანში, მათ საგვარეულო სახლში ნიკო ბურის მუზეუმი გახსნილიყო. ბურის ქალიშვილს სურდა, მამის კუთვნილი ყველა ნივთი სამშობლოში დაბრუნებულიყო, მაგრამ მუზეუმის გაკეთება დღემდე ვერ მოხერხდა. ამასობაში ირენ ბური გარდაიცვალა და ყველა საგვარეულო ნივთი მის გერებს დარჩათ, რომლებიც ბაგრატიონ-მუხრანელების მემკვიდრეებად ვერაფრით ჩაითვლებიან. სხვათა შორის, ნივთების გადაცემაზე არც ანდერძი არსებობს,"** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ბურების კანონიერი მემკვიდრის ადვოკატმა ლაზო ლაზარეიშვილმა.

რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველი მემკვიდრე და მისი ადვოკატი უშედეგოდ ცდილობენ, ნიკო ბურის პირადი ნივთები საქართველოში დააბრუნონ. თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი დღემდე ცდილობს ნიკო ბურის მუზეუმის გახსნას. როგორც ლაზარეიშვილმა აღნიშნა, 2003 წელს იგი, საფრანგეთში საქართველოს საკონსულოს მიწვევით, პარიზში ჩავიდა და უნიკალური ნივთების დასაბრუნებლად ყველა საჭირო დოკუმენტი შეაგროვა.

**"თავდაპირველად ირენ ბაგრატიონ-მუხრანელის გერი თანახმა იყო, რომ ნივთები ქართული მხარისთვის გადმოეცა, მაგრამ ცოტა ხანში ისიც გარდაიცვალა. დღეს ამ ნივთებს მისი მეუღლე განაგებს, რომელიც მიხვდა მათ ღირებულებას და დაბრუნებაზე უარს ამბობს,"** - ამბობს ლაზარეიშვილი.

იმისათვის, რომ ბურების საგვარეულო ნივთები საქართველოში ჩამოიტანონ, უკვე საჭირო გახდა კანონიერი ანუ სასამართლოს გზით ბრძოლა.

**"საფრანგეთის და საქართველოს კანონმდებლობა ყველანაირ საშუალებას გვაძლევს, რომ უნიკალური ნივთები კანონიერ მემკვიდრეს და ქვეყანას დაუბრუნდეს, მაგრამ ამის საშუალებას არ გვაძლევს ქართული ბიუროკრატია,"** - განაცხადა ადვოკატმა, რომელმაც გუშინდელი პრესკონფერენცია სწორედ აღნიშნული ბარიერის გასარღვევად გამართა.

ლაზარეიშვილის მტკიცებით, რვა თვეა, რაც იგი საქართველოს საკონსულო დეპარტამენტს საფრანგეთში გამგზავრების ნებართვას უშედეგოდ სთხოვს.

**"რვა თვის მანძილზე ერთი სტრუქტურიდან მეორეში მგზავნიან - საკონსულო დეპარტამენტი საგარეო საქმეთა სამინისტროსკენ იშვერს ხელს, ისინი კულტურის სამინისტროში მაგზავნიან, ერთი ჩინოვნიკი მეორეს მახვედრებს, მეორე - მესამეს და ასე გრძელდება თვეების განმავლობაში,"** - ამბობს ლაზარეიშვილი.

სხვათა შორის, საკონსულო დეპარტამენტის წარმომადგენელს ადვოკატი ტელეფონით პრესკონფერენციის დაწყებამდეც ესაუბრა, მაგრამ საიმედო ინფორმაცია ვერც ამჯერად მიიღო.

**"იმის გამო, რომ ჩვენი კანონიერი მოთხოვნა თვეების განმავლობაში ვერ მოვაგვარეთ, იძულებულები გავხდით, სასამართლოს მივმართოთ და მართლმსაჯულების გზით მოვიპოვოთ საფრანგეთში გამგზავრების და საქართველოს კუთვნილი სიმდიდრის დაბრუნების უფლება,"** - ასეთია ადვოკატის გადაწყვეტილება, რომელიც დარწმუნებულია, რომ საქართველოს მოქალაქის კანონიერ უფლებას - გაემგზავროს ნებისმიერ ქვეყანაში და იბრძოლოს ეროვნული ღირსშესანიშნაობების დასაბრუნებლად - მართლმსაჯულების გზით მაინც მოიპოვებს.

# ევროსასამართლომ აბდულა ოჯალანის პროცესი უსამართლოდ ცნო

*ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ უსამართლოდ ცნო 1999 წელს თურქეთში ჩატარებული პროცესი, რომელზეც ქურთების მუშათა პარტიის ლიდერის საქმე განიხილეს. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ამ გადაწყვეტილებით ევროსასამართლო თურქეთს აიძულებს, ოჯალანი ხელახლა გაასამართლოს.*

როგორც ცნობილია, ქურთების პარტიის ლიდერი აბდულა ოჯალანი კენიაში დააკავეს. 1999 წლის ივნისში თურქეთის სასამართლომ იგი სამშობლოს ღალატში, კერძოდ, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში პარტიზანული ომის წამოწყებასა და ქურთების მუშათა პარტიასა და თურქეთის უსაფრთხოების ძალებს შორის შეტაკებისას 30 ათასი ადამიანის დაღუპვაში დაადანაშაულა და სიკვდილი მიუსაჯა. თუმცა, განაჩენის გამოტანიდან სამი წლის შემდეგ თურქეთში, რომელიც ევროკავშირში გაერთიანებისთვის იღვწის, სიკვდილით დასჯა გაუქმდა და აბდულა ოჯალანსაც სასჯელის უმაღლესი ზომა სამუდამო პატიმრობით შეეცვალა.

ოჯალანის ადვოკატებმა ევროსასამართლოს ჯერ კიდევ პირველი განაჩენის გამოტანის შემდეგ მიმართეს. გუშინ კი ევროსასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, თურქეთმა ოჯალანის პატიმრობაში ყოლისას, მისი სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და სიკვდილის მისჯისას დაარღვია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ევროკონვენციის რიგი მუხლები. სტრასბურგის სასამართლოს აზრით, ამ დარღვევების აღიარება უკვე საკმარისი კომპენსაციაა მოსარჩელისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. სამაგიეროდ, ოჯალანის ადვოკატებისთვის თურქეთის ხელისუფლებას 120 ათასი ევროს გადახდა მოუწევს.

ევროსასამართლოს ეს გადაწყვეტილება ოჯალანთან მიმართებაში თურქეთის ხელისუფლებას, ფაქტობრივად, არაფერს ავალდებულებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლოა, ბევრი პრობლემა შეუქმნას. **"თუ თურქეთს ევროკავშირში გაწევრიანება სურს, მან ქვეყანაში არსებული სიტუაცია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ნორმებს უნდა შეუსაბამოს,"** - ასეთი გახლავთ ექსპერტთა მოსაზრება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ თურქებს აბდულა ოჯალანის ხელახლა გასამართლება მოუწევთ.

ბი-ბი-სი-ს ცნობით, თურქების უმეტესობას ოჯალანი სძულს და მათ ისიც კი აშფოთებთ, რომ მას კიდევ ერთხელ მიეცემა საშუალება, საჯაროდ მიმართოს თავის მომხრეებს.

რაც შეეხება თურქეთის ხელისუფლებას, მისმა წარმომადგენელმა ჯემილ ჩიჩეკმა უკვე განაცხადა, რომ თურქეთი მზად არის, "გააკეთოს, რაც საჭიროა" - ანუ გადახედოს ოჯალანის საქმეს. თურქი მოსახლეობის მკვეთრად უარყოფითი განწყობის გათვალისწინებით, მან, ასევე, მოუწოდა საზოგადოებას, ნდობით მოეკიდონ სახელმწიფოსა და ოჯალანის სასამართლო პროცესს. მისივე თქმით, შიში იმისა, რომ ოჯალანი, შესაძლოა, გაათავისუფლონ, სრულიად უსაფუძვლოა.

თავად ოჯალანი სასჯელს სრულ იზოლაციაში, სტამბოლის მახლობლად, კუნძულ იმრალის ციხეში იხდის. მისი ადვოკატების თქმით, ამგვარ პირობებს "ფსიქიკურ წამებად" მიიჩნევენ.

ქურთთა შრომის პარტია თურქეთში, კარგა ხანია, აკრძალულად გამოცხადდა. რაც შეეხებათ ოჯალანის თანამებრძოლებს, მეზობელ ერაყს შრომის პარტიის 5000-მდე მებრძოლი აფარებს თავს და დროდადრო თურქეთის საზღვარსაც კვეთენ. ორი დღის წინაც - ოთხშაბათს თურქეთის უსაფრთხოების ძალების მიერ თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციაში თუნჯელიში სამი მათგანის ლიკვიდაცია მოხდა.

*24 საათი*

# კონტრაბანდული სიგარეტი დააკავეს

ხაშურში დააკავეს თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოში მცხოვრები, 38 წლის ნინო მჭედლიშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა 757 ლარის ღირებულების 730 კოლოფი უაქციზო სიგარეტი. მასალები ფინანსურ პოლიციას გადაეგზავნა.

შიდა ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა რაზმის თანამშრომლებმა კი გორის რაიონის სოფელ ბიცში დააკავეს სოფელ მარანში მცხოვრები, 50 წლის დავით ტატიშვილი, სოფელ ტყვიავში მცხოვრებნი - 45 წლის დავით სარქისიანი და 45 წლის თამაზ რაზმაძე, რომლებსაც ცხინვალიდან გორში გადაჰქონდათ 894 ლარის ღირებულების 580 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

ტვირთი ფინანსურ პოლიციას გადაეცა. საპატრულო პოლიციამ მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარში დააკავა მიკროავტობუსი "ფორდ-ტრანზიტი", რომლის მძღოლს, მცხეთის რაიონის სოფელ დიღომში მცხოვრებ, 31 წლის ზვიად ბროლაძეს ყაზბეგიდან თბილისში უსაბუთოდ გადაჰქონდა 2500 ლარის ღირებულების 35 ყუთი ხორცის კონსერვი.

ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავთან კი დააკავეს ავტომანქანა "კამაზი", რომლის მძღოლს, გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში მცხოვრებ, 27 წლის თამაზ იაშვილს რუსთავიდან ახალქალაქში უსაბუთოდ გადაჰქონდა 5440 ლარის ღირებულების 20 ტომარა ამონიუმის გვარჯილა.

ორივე ავტომანქანა ტვირთიანად გადაეცა ფინანსურ პოლიციას.

*მედიანიუსი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........

საკონტაქტო ტელეფონი..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. [illegible]

[illegible]

# სამეცნიერო სასწაული თუ რეალური რეფორმები?

ანდრია როგავა

საქართველოს მომავალი განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიზნად სრულიად მართებულადაა გამოცხადებული ევროკავშირთან თანმიმდევრული ინტეგრაცია. თუკი ეს მისწრაფება რეალობად გვინდა ვაქციოთ, აუცილებელია, სრულად გავიაზროთ ევროპის დღევანდელობის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი: *ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების* (knowledge-based society) მშენებლობის პროცესი. ასეთ საზოგადოებაში მეცნიერება არა მარტო მისი პრაქტიკული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტია, არამედ კულტურის განუყოფელი ნაწილიცაა. მეცნიერება საზოგადოების აქტივობის საკმაოდ ძვირადღირებული ფორმაა, მაგრამ საზოგადოებას გაცილებით უფრო ძვირად უჯდება მეცნიერების იგნორირება. ქვეყანა, რომელშიც მეცნიერებას ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა, განწირულია მისი უმაღლესი განათლების სისტემის თანმიმდევრულ დეგენერაციაზე, რაც, თავის მხრივ, საშუალო განათლების სისტემის განვითარების შანსებსაც სპობს. ეს დამღუპველია ნებისმიერი და მით უმეტეს კი, საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის, რომელიც არც ისე მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. *ასეთი სახელმწიფოს მთავარი სიმდიდრე მისი ხალხის ცოდნაა.* ცოდნა და მეცნიერება ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებული ცნებებია. ამდენად, მეცნიერების იგნორირება ცოდნაზე უარის თქმას და უიმედო მომავალზე დათანხმებას ნიშნავს.

ამ ბოლო დროს საქართველოში ბევრი ითქვა და დაიწერა მეცნიერების ორგანიზების, მართვის და ფინანსირების ძირეული რეფორმის აუცილებლობის შესახებ. ხშირია საუბარი ამა თუ იმ "მოდელზე". საგულისხმოა, რომ მსჯელობისას ერთი და იგივე ავტორები ხშირად არცთუ თანმიმდევრულები არიან: გარკვეული დეტალები მათ "ამერიკული" მოდელიდან მოსწონთ, სხვა "ევროპულიდან"... იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასეთი მიმართებების მიზანი არც იმდენად რაციონალური და საუკეთესო გზის პოვნაა, რამდენადაც "პრეცედენტით" საკუთარი მოსაზრების განმტკიცების სურვილი. ჩნდება კითხვა: რამდენადაა შესაძლებელი ამა თუ იმ მოდელის ჩვენს ნიადაგზე გადმონერგვა? ალბათ, უპირველესი კრიტერიუმი ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული თავისებურებანი და მსგავსება-განსხვავებანი უნდა იყოს და არა ჩვენი, გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი სურვილები. უპირველეს ყოვლისა, ალბათ, იმ ქვეყნებს უნდა მივაპყროთ მზერა, რომლებიც ახლო წარსულში ჩვენს მსგავს პირობებში იმყოფებოდნენ, მაგრამ გონივრული რეფორმების გზით იარეს და პროგრესის წარმატებული მაგალითი გვაჩვენეს.

საქართველომ დამოუკიდებლობა დაახლოებით 15 წლის წინ დაიბრუნა. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრება ამ 15 წელიწადში სხვადასხვანაირად განვითარდა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს, ცხადია, გარეგანი და შინაგანი, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გავლენით ხდებოდა და ამდენად გასაკვირიც არაა, რომ დღეს, 15 წლის შემდეგ, ამ 15 სახელმწიფოში განსხვავებული ცხოვრების დონე და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაა. ბუნებრივია, ერთობ განსხვავებული იყო და არის მეცნიერების და მეცნიერთა ბედიც. პირველ რიგში, ალბათ, იმ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მაგალითით უნდა დავინტერესდეთ, რომლებიც, ჩვენს მსგავსად, არ გამოირჩევიან მატერიალური რესურსების სიმდიდრით, მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, შეძლეს წარმატებული და დროული რეფორმების გატარება მეცნიერების და განათლების სფეროში და უკვე მოახერხეს ის, რაზეც ჩვენ ჯერ მხოლოდ ვოცნებობთ: ევროპულ და მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება.

უდავოა, რომ სამმა ბალტიისპირულმა რესპუბლიკამ ამ მიმართულებით ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია. მათი მიღწევები იმდენად ცალსახა და შთამბეჭდავია, რომ თანამედროვე ***ბიბლიომეტრიკაში*** (მეცნიერების თანამედროვე დარგში, რომელიც მეცნიერული კვლევის ეფექტურობას და პროდუქტიულობას სწავლობს) ასეთი ტერმინიც კი დამკვიდრდა - ***"ბალტიური სამეცნიერო სასწაული".*** ამ სტატიაში ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ ამ "სასწაულის" ფესვები, დიალექტიკა და შედეგები და ამის საფუძველზე ვივარაუდოთ, თუ რა შეიძლება გამოგვადგეს მათი გამოცდილებიდან.

ბიბლიომეტრიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ "ბალტიისპირული სამეცნიერო სასწაული" არც ერთგვაროვანი ყოფილა თავისი ბუნებით (რეფორმების ტემპი და წარმატებულობა განსხვავებულია ამ სამ ქვეყანაში) და არც "სასწაულებრივად უნიკალო" - თუნდაც იმიტომ, რომ მათ წინსვლაშიც იყო გარკვეული წარუმატებელი ნაბიჯები, რომლებიც ჩვენმა ბალტიისპირელმა კოლეგებმა მათთვის ესოდენ ჩვეული (და ჩვენთვის ესოდენ უცხო) თვითკრიტიკულობით უკვე გააანალიზეს და გაითვალისწინეს. ამდენად, სასურველია ვისწავლოთ არა მხოლოდ მათ მიღწევებზე, არამედ მათ შეცდომებზეც და არ დავემსგავსოთ იმ ქრესტომათიულ სულელს, რომელიც მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე სწავლობდა. *ბიბლიომეტრიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველაზე წარმატებულად სამეცნიერო რეფორმები* ***ესტონეთში*** გატარდა. ამიტომ ჩვენი ანალიზი ძირითადად სწორედ ესტონურ გამოცდილებას დაეფუძნება (1-4) და ლიტვისა და ლატვიის მაგალითები მხოლოდ შედარებითი ანალიზისთვის იქნება გამოყენებული.

## რეფორმების 10 წელი - რა მოხდა ესტონეთში?

ესტონეთში მოხდა ის, რაც, სამწუხაროდ, არ მომხდარა საქართველოში: მისმა სამეცნიერო საზოგადოებრიობამ ქვეყნის დამოუკიდებლობისკენ სვლის *პირველივე* ეტაპზე გაიაზრა მეცნიერული რეფორმის აუცილებლობა და იმთავითვე მეთოდური მუშაობა დაიწყო ამ მიმართულებით. მათ მიერ თავიდანვე მკაფიოდ იყო დასახული ოთხი ძირითადი მიზანი:

- **სამეცნიერო კვლევის საკანონმდებლო ბაზისის შექმნა;**
- **დაფინანსების პრინციპების გარდაქმნა;**
- **ინსტიტუციონალური სტრუქტურის რეფორმა;**
- **სამეცნიერო კვლევის და საუნივერსიტეტო განათლების ინტეგრაცია.**

რეფორმატორული პროცესის დასაწყისად **1989** წელს *ესტონეთის მეცნიერთა ასოციაციის* შექმნა იქცა. მისმა სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა საკმარისად მოკლე დროში მოამზადა კანონპროექტები, რომლებიც დამოუკიდებელ ესტონურ სახელმწიფოში განათლებისა და კვლევითი მეცნიერების გარდაქმნის მექანიზმებს განსაზღვრავდნენ.

უკვე მომდევნო, **1990** წელს *სამი* მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა: ა) შეიქმნა ესტონეთის მთავრობის მრჩეველთა სპეციალური ორგანო სამეცნიერო პოლიტიკის დარგში - *ესტონეთის სამეცნიერო საბჭო*; ბ) დაარსდა მეცნიერების გრანტული დაფინანსების საფუძველი: *ესტონეთის სამეცნიერო, ინფორმატიკული და ინოვაციური ფონდები*; გ) შეიცვალა აკადემიურ ხარისხთა საბჭოური იერარქია (მეცნიერებათა კანდიდატის და დოქტორის ხარისხები) და შემოღებული იქნა ორ (მაგისტრი-დოქტორი) საფეხუროვანი აკადემიური ხარისხების სისტემა. ხარისხთა მინიჭების პროცედურა მთლიანად უნივერსიტეტთა პრეროგატივა გახდა. მოგვიანებით, **1995** წელს, სპეციალური საუნივერსიტეტო კანონით განისაზღვრა სამსაფეხუროვანი (ბაკალავრი-მაგისტრი-დოქტორი) სისტემა.

**1991** წელს ესტონეთის სამეცნიერო ფონდმა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მან თხოვნით მიმართა შვედეთის სამეფო აკადემიას და შვედეთის კვლევის საბჭოს, რათა მათ ესტონეთის მეცნიერების საფუძვლიანი შეფასება ჩაეტარებინათ საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. ეს გაკეთდა 1991-1992 წლებში და მეცნიერების რეფორმატორები დამოუკიდებელი ექსპერტიზის სასარგებლო შედეგებით შეაიარაღა. მალევე დანარჩენმა ორმა ბალტიის რესპუბლიკამაც არ დააყოვნა და ანალოგიური ექსპერტიზები ჩაატარებინა დანიის კვლევის საბჭოს (ლატვიამ) და ნორვეგიის კვლევის საბჭოს (ლიტვამ).

**1993** წელს ესტონეთის სამეცნიერო საბჭო გარდაიქმნა *ესტონეთის კვლევისა და განვითარების საბჭოდ*. მომდევნო ორი წლის განმავლობაში ამ საბჭომ კიდევ ერთხელ ჩაატარა კვლევითი ინსტიტუტების შემდგომი, შიდა შეფასება. როგორც საგარეო ასევე შიდა შეფასებათა საფუძველზე გამომუშავდა რეკომენდაციათა ნუსხა და მომზადდა მნიშვნელოვანი კანონი "კვლევის ორგანიზაციის აქტი" (Organization of Research Act), რომელიც Riigikogu-მ (ესტონეთის პარლამენტმა) **1994** წლის დეკემბერში მიიღო. ყველაზე პრინციპული დებულება ახალი კანონისა იმაში მდგომარეობდა, რომ **კვლევითი ინსტიტუტები განთავისუფლდნენ ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის დიქტატისგან, მიიღეს დამოუკიდებელი, ე.წ.** ***"სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტების"*** **(State Research Institutes) სტატუსი და პირდაპირ დაექვემდებარნენ ესტონეთის განათლების სამინისტროს.** დაწესდა, რომ მეცნიერების დონის შეფასება უნდა მომხდარიყო რეგულარული, შვიდწლიანი ციკლიურობით. ***ესტონეთის მეცნიერებათა აკადემია პერსონალურ საზოგადოებრივ ორგანიზაციად გარდაიქმნა.*** პარალელურად მოხდა მეცნიერების დაფინანსების *ძირეული რეფორმა*: დაკანონდა, რომ ***სახელმწიფოსგან მეცნიერებას ფული ფინანსირების სამი ძირითადი არხით მიეწოდებოდა: 1. გრანტული, 2. მიზნობრივი და 3. ინფრასტრუქტურული.*** პირველი ორი არხის მართვა მოხდებოდა ესტონეთის სამეცნიერო ფონდის მიერ, ხოლო ინფრასტრუქტურული ფინანსირება (შენობების შენახვა და მინიმალური ადმინისტრაციული ხარჯები) მოხდებოდა სამინისტროს მიერ. რეალურად მიზნობრივი და ინფრასტრუქტურული დაფინანსება 1998 წლამდე ინსტიტუტთა საბაზო დაფინანსების ნაწილებად დარჩა.

**1995** წელს ესტონეთის პარლამენტმა მიიღო ზოგადი *კანონი უნივერსიტეტების შესახებ* და სპეციალური კანონი ქვეყნის უძველესი და ყველაზე სახელოვანი - ტარტუს უნივერსიტეტის - შესახებ. უნივერსიტეტები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად გამოცხადდა და ავტონომიის უფრო დიდი ხარისხი მოიპოვა. ამავე წლის ბოლოს მოხდა თავად ესტონეთის მთავრობის სტრუქტურის რეორგანიზაცია, რომელიც განისაზღვრა სპეციალური კანონით. ამ კანონმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ესტონეთის განათლების სამინისტრო იყო პასუხისმგებელი ქვეყანაში მეცნიერების განვითარებაზე.

**1997** წელს ესტონეთის პარლამენტმა კიდევ ერთი ეტაპური კანონი მიიღო: *"აქტი კვლევის და განვითარების ორგანიზაციის შესახებ"*. ამ კანონმა ადრე მიღებულ კანონებში რამდენიმე საგულისხმო ცვლილება შეიტანა:

- ესტონეთის სამეცნიერო ფონდი გარდაიქმნა ორგანიზაციად, რომლის მიზნად მხოლოდ მეცნიერების გრანტული დაფინანსება განისაზღვრა;
- განათლების სამინისტრო მთლიანად პასუხისმგებელი გახდა როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე მიზნობრივ დაფინანსებაზე. დაფინანსების ამ ორმა არხმა მთლიანად შეცვალა ე.წ. *საბაზო ბიუჯეტები*. მიზნობრივი დაფინანსება განისაზღვრა, როგორც ინსტიტუციონალური დაფინანსების ციკლიური, ხუთწლიანი ფორმა;
- განისაზღვრა სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან ინტეგრაციის პროცედურა. ადრე ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ ინსტიტუტთა წინასწარი თვითლიკვიდაციის გზით.

იმავე წლის აპრილში მიღებული იყო ახალი კანონი *"ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის აქტი"*, რომლითაც ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციას კვლავ მიეცა უფლება, ჰქონოდა თავისი კვლევითი ინსტიტუტები. ყოფილ აკადემიურ ინსტიტუტებს მიეცათ ექვსთვიანი ვადა, რათა თავად განესაზღვრათ თავისი ბედი. სხვადასხვა მიზეზების გამო არც ერთმა ინსტიტუტმა არ მოინდომა აკადემიასთან ხელახლა შეერთება, თუმცა კი რამდენიმე მათგანმა აკადემიასთან "ასოცირების ხელშეკრულება" (association agreement) გააფორმა. ბევრი ინსტიტუტი კვლავ სხვადასხვა სამინისტროების დაქვემდებარებაში დარჩა.

**1998** წელს ესტონეთის პარლამენტმა მიიღო "აქტი ქიმიური ფიზიკის და ბიოფიზიკის ინსტიტუტის შესახებ". ***ეს ყოფილი აკადემიური ინსტიტუტი გადაიქცა პირველ, ნაციონალური სტატუსის მქონე, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად ესტონეთში.*** იგი გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, ისევე როგორც უნივერსიტეტები და აკადემია.

ესტონური სამეცნიერო რეფორმების ეს დეკადა დაგვირგვინდა **1999** წელს, როდესაც ესტონეთი, სრულუფლებიანი წევრის სტატუსით, ოფიციალურად შეუერთდა ევროგაერთიანების სამეცნიერო პროგრამას.

## მეცნიერების ორგანიზაცია ესტონეთში

**ინფრასტრუქტურა:**

რეფორმების ათწლეულის შედეგად ესტონეთში თანამედროვე და მოქნილი სამეცნიერო ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბდა. ესტონეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა. Riigikogu-ს (პარლამენტის) კულტურის საქმეთა კომისია (The Cultural Affairs Committee) 11 წევრისგან შედგება და საკანონმდებლო ბაზის განვითარებაზე მუშაობს. მეცნიერებისა და განვითარების დარგში ესტონეთის მთავრობას საკონსულტაციო დახმარებას უწევს 23 წევრისგან შემდგარი "კვლევისა და განვითარების საბჭო" (Research and Development Council). მისი წევრები არიან: ესტონეთის პრემიერ-მინისტრი (საბჭოს თავმჯდომარე), განათლების და ეკონომიკის მინისტრები, უნივერსიტეტების, ფონდების, მეცნიერებათა აკადემიის და ესტონეთის ბანკის წარმომადგენლები.

განათლების სამინისტრო (კერძოდ, მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების დეპარტამენტი) პასუხისმგებელია მეცნიერებისა და განათლების ორგანიზებაზე. ამ სამინისტროსთან არსებობს 9 წევრისგან შემდგარი *"სამეცნიერო კომპეტენციის საბჭო"* (Science Competence Council), რომელიც ფუნქციონირებს, როგორც სამინისტროს მრჩეველთა ორგანო მიზნობრივი და ინფრასტრუქტურული დაფინანსების დარგში.

მეცნიერების გრანტული დაფინანსების პოლიტიკას არეგულირებს *"ესტონეთის სამეცნიერო ფონდის საბჭო"* (The Council of Estonian Science Foundation). გადაწყვეტილებანი გრანტების გაცემის შესახებ ემყარება ფონდის მიერ ორგანიზებულ კონკურსებს, მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული საერთაშორისო რეფერირების სისტემას, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს შეფასების მიუკერძოებას და ობიექტურობას. ფონდის 14 წევრიან მმართველ საბჭოში შედიან სამინისტროს, ტარტუს, ტალინის ტექნიკური და ესტონეთის აგრიკულტურული უნივერსიტეტების, მეცნიერებათა აკადემიის და მეცნიერთა ასოციაციის თითო წარმომადგენელი. დანარჩენი რვა ადგილი საბჭოში უკავიათ ექსპერტთა საბჭოების (Expert Boards) რვა თავმჯდომარეს.

მთლიანობაში ესტონეთის სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემას განსაზღვრავს ***ექვსი საჯარო (ყოფილი სახელმწიფო) უნივერსიტეტი*** და ***ორმოცამდე კვლევითი ინსტიტუტი***, რომლებიც უნივერსიტეტებთან და სხვადასხვა სამინისტროებთან არიან დაკავშირებული. რასაკვირველია, ქვეყანაში არის კერძო უნივერსიტეტებიც და კერძო კვლევითი ცენტრებიც.

## ფინანსირების სტრუქტურა:

მეცნიერების საბიუჯეტო დაფინანსების დინამიკამ ესტონეთში საინტერესო ევოლუცია განიცადა. თავდაპირველად, 90-იანი წლების დასაწყისში, მეცნიერებაზე განკუთვნილი ფულადი სახსრების განაწილება მთლიანად ესტონეთის სამეცნიერო ფონდის მიერ ხდებოდა. თანდათან კონტროლის საკმაოდ დიდი ნაწილი განათლების სამინისტროს ხელში გადავიდა და მეცნიერებაზე გამოყოფილი თანხების განაწილების რამდენიმე არხი გამოიკვეთა. მიზნობრივი და ინფრასტრუქტურული დაფინანსების ზრდა ბოლო წლებში სჭარბობდა გრანტული დაფინანსების ზრდას. 1998 წელს შეიქმნა ძალიან მნიშვნელოვანი *"პოსტდოქტორალური პროგრამა"*, როგორც ახალგაზრდა მეცნიერთათვის სამეცნიერო კარიერის ამ მნიშვნელოვანი ეტაპის ფინანსური უზრუნველყოფის ფორმა, რომელიც მიზნობრივი დაფინანსების ნაწილი გახდა.

შეიცვალა ფინანსირების როგორც ფორმა, ასევე შინაარსი. გადაწყვეტილებანი ამა თუ იმ პროექტის დაფინანსებაზე უფრო და უფრო მეტად საერთაშორისო რეცენზირების შედეგად შეფასებულ მათ სამეცნიერო ღირსებებს დაეფუძნა. ამას მოჰყვა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება: ფულისთვის მეცნიერებს და მეცნიერთა ჯგუფებს ახლა უკვე უშუალოდ დამფინანსებელი ფონდებისა და სამინისტროთა შესაბამისი სამსახურებისთვის უნდა მიემართათ და არა ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოებისა და დირექტორების მიერ განკარგული საბაზისო ბიუჯეტებისთვის. ამით, ერთი მხრივ, გაიზარდა გადაწყვეტილებათა მიღების ობიექტურობის ხარისხი; ხოლო მეორე მხრივ შეიზღუდა ინსტიტუტთა დონეზე მიკერძოების და დიქტატის ალბათობა. მთლიანობაში ამას საერთო სამეცნიერო კლიმატის გაჯანსაღება და დებიუროკრატიზაცია მოჰყვა.

ესტონეთში მეცნიერების დაფინანსების პროგრესულ ზრდაზე და დაფინანსების სტრატეგიის რეფორმაზე კარგ წარმოდგენას იძლევა 1992, 1996 და 2000 წლის მონაცემების შედარება. 1992 წელს მეცნიერების საბაზისო ბიუჯეტი 57.8 მილიონ ესტონურ კრონს შეადგენდა (15.64 კრონი = 1 ევროს), ხოლო გრანტულ დაფინანსებაზე მოდიოდა სულ რაღაც 3.0 მილიონი კრონი. 1996 წელს, როდესაც დაფინანსების სტრუქტურული რეფორმა მოხდა, საბაზო დაფინანსების ადგილი დაიკავა მიზნობრივმა (93.8 მილიონი) და ინფრასტრუქტურულმა (34.0 მილიონი) დაფინანსებამ, ხოლო გრანტული დაფინანსების ოდენობა გაიზარდა დაახლოებით ოცჯერ და 58.4 მილიონი კრონი შეადგინა. სამი წლის შემდეგ, 1999 წელს, ეს ციფრები უკვე შეადგენდა, შესაბამისად 172.5 (მიზნობრივი), 57.3 (ინფრასტრუქტურული) და 71.1 (გრანტული) მილიონ კრონს.

ამ ციფრებიდან ჩანს, რომ რეფორმები მიდიოდა მეცნიერებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების განუხრელი ზრდის ფონზე. უკვე 2000 წელს *საერთო შიდა ხარჯების წილი კვლევაზე და განვითარებაზე* (ე.წ. Gross Domestic Expenditure on R&D, ანუ GERD მაჩვენებელი) ესტონეთისთვის შეადგენდა 0.75% (ლიტვისთვის, იმავე წელს, ეს მაჩვენებელი იყო 0.60%, ხოლო ლატვიისთვის კი 0.40%). საშუალო ევროპული მაჩვენებელი იმავე წელს დაახლოებით 2% უდრიდა, თუმცა კი განსხვავება საკმაოდ დიდი იყო სხვადასხვა ქვეყნებისთვის: შვედეთისთვის და ფინეთისთვის GERD, შესაბამისად, 3.7% და 3.3% შეადგენდა, ხოლო პორტუგალიისთვის და საბერძნეთისთვის კი 0.78% და 0.51%. ბალტიისპირელ მეცნიერებს ჯერ კიდევ აქვთ პრეტენზიები მათი პოლიტიკური ელიტის მიმართ, რომელიც მეცნიერებაზე საშუალო ევროპულ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით სამჯერ-ხუთჯერ ნაკლებ ფულს იძლევა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მათი ქვეყნები უკვე აკმაყოფილებენ ევროპულ სტანდარტებს. ესტონეთი, მაგალითად, მეცნიერებაზე GERD-ს დაახლოებით ისეთსავე ნაწილს ხარჯავს როგორც საბერძნეთი და პორტუგალია.

## კვლევითი ინსტიტუტების და უნივერსიტეტების ინტეგრაცია:

რეფორმების პირველივე წლებიდან აღებული იყო კურსი აქტიურად მომუშავე მეცნიერების უმაღლეს სკოლებში სწავლების პროცესში აქტიურად ჩაბმაზე. ამ მიზნით დაარსდა *უნივერსიტეტთა და კვლევით ინსტიტუტთა ერთობლივი საპროფესორო ადგილები (პროფესურები)*. ამ ნოვაციამ შესანიშნავი შედეგები მოიტანა: უმაღლესებში მოიმატა ასპირანტთა რაოდენობამ, სწავლების დონე გაიზარდა. პირველ ეტაპზე მთავრობამ არ დაუთმო ჯეროვანი ყურადღება უმაღლესების და კვლევითი ინსტიტუტების ასეთ ნოვატორულ კოოპერაციას. უნივერსიტეტთა ბიუჯეტები უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ინსტიტუტებისა, უნივერსიტეტები უფრო ნაკლებად აღმოჩნდნენ დაინტერესებული მეცნიერთა მოწვევით ინსტიტუტებიდან და ერთობლივი პროფესურების რიცხვი თითქმის ნულამდე დავიდა. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 1997 წელს, როცა კანონმა კვლევით ინსტიტუტებს საშუალება მისცა, შეერთებოდნენ უნივერსიტეტებს. იმავე წელს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი ფიზიკის ინსტიტუტი შეუერთდა ტარტუს უნივერსიტეტს; სხვა ოთხი აკადემიური ინსტიტუტი ტალინის პედაგოგიურ უნივერსიტეტს შეუერთდა; შვიდი - ტალინის ტექნიკურ უნივერსიტეტს და კიდევ ექვსი კი - აგრიკულტურულ უნივერსიტეტს. ეს არ იყო ადვილი პროცესი, რადგან ინსტიტუტთა უმეტესობა ზედმეტად დიდი იყო ასეთი შერწყმისათვის, მათ ყველა თანამშრომელს არ ჰქონდა პედაგოგიური გამოცდილება და დაწესებულებათა გეოგრაფიული დაშორებაც პრობლემურ ფაქტორს წარმოადგენდა. საბოლოო ჯამში ეს მაინც წარმატებული პროცესი აღმოჩნდა. უნივერსიტეტებმა მათთან შეერთებულ ინსტიტუტებს ავტონომიის დიდი ხარისხი დაუტოვეს. შეერთების ამ პროცესმა გააუმჯობესა ინსტიტუტებში მომუშავე მკვლევარ-მეცნიერთა სოციალური მდგომარეობა და, ამავე დროს, უნივერსიტეტებს სწავლების ხარისხის ზრდის დიდი პოტენციალი შესძინა.

## მეცნიერთა სოციალური სტატუსი:

აუცილებელია, უფრო დაწვრილებით შევეხოთ მეცნიერთა სოციალურ სტატუსს ესტონეთში. აღსანიშნავია, რომ რეფორმების დაწყებისას, 1989 წელს, მკვლევარ მეცნიერთა სრული რიცხვი ესტონეთში 7100 უდრიდა. 1996 წლისთვის ეს რიცხვი 4.5-ჯერ შემცირდა და 1570-მდე გახდა. ეს უკვე კრიტიკული დონე იყო, რადგან მეცნიერთა რიცხვის შემდგომი შემცირება ნიშნავდა კვლევის შეჩერებას მთელი რიგი მიმართულებებით და ცალკეული ინსტიტუტების დახურვას. ახალმა კანონმდებლობამ არ დაუშვა ამ არასახარბიელო პერსპექტივის რეალიზაცია. 1997 წლის შემდეგ მეცნიერთა რიცხვის დაცემა შეწყდა და ზრდის მკაფიო ტენდენცია გამოიკვეთა.

უნდა ითქვას, რომ *პერმანენტული პოზიციები* (მუდმივი სამუშაო ადგილები) მკვლევარ მეცნიერთათვის ესტონეთში არ არსებობს. მეცნიერი შეიძლება აირჩეს სამუშაოზე როგორც *მკვლევარი* (researcher) ან *უფროსი მკვლევარი* (senior researcher) მაქსიმუმ ხუთი წლით. ბუნებრივია, ამ ხუთი წლის გასვლის შემდეგ მას კვლავ აქვს შესაძლებლობა (საკონკურსო წესით) დაიკავოს მსგავსი ან უფრო მაღალი ვაკანსია. ინსტიტუტის დირექტორის არჩევა ხდება ხუთი წლით და თან არა უმეტეს ორი ხუთწლიანი ვადით - ამდენად, ერთი პიროვნება ინსტიტუტის დირექტორი შეიძლება იყოს არაუმეტეს 10 წლისა. უნივერსიტეტებში კანონით იკრძალება რეგულარულ ან ასისტენტ პროფესორად მუშაობა მათთვის, ვისი ასაკიც 65 წელს აღემატება. მეცნიერთათვის არაა გათვალისწინებული რაიმე დამატებითი პენსია, გარდა მეცნიერებათა აკადემიის წევრებისა და იმ პროფესორებისა, ვინც პენსიაზე გასვლასთან ერთად შესაბამისი უნივერსიტეტიდან *პროფესორ ემერიტუსის* წოდება მიიღო.

ცალკე საინტერესო თემაა მეცნიერთა ხელფასები (ესტონეთში ყველა ხელფასი იბეგრება 26 პროცენტიანი გადასახადით). მაგალითისთვის მოვიყვანოთ ისევ 1999 წელი. პროფკავშირებმა მაშინ მოითხოვეს 5000 კრონი მკვლევარისთვის და 7000 კრონი უფროსი მკვლევარისთვის. საბიუჯეტო შეზღუდვებმა ყველა უნივერსიტეტს და ინსტიტუტს არ მისცა საშუალება, ამ დონეზე დაედგინათ ხელფასები თავისი პერსონალისთვის. ყველაზე დიდი ხელფასები ტარტუს უნივერსიტეტში იყო: 12000 კრონი უფროსი მკვლევარისთვის და 9000 კრონი მკვლევარისთვის. საშუალოდ კი მკვლევართა ხელფასი მერყეობდა 3500 და 5000 კრონს შორის და უფროს მკვლევართა კი - 5000 და 9000 კრონს შორის თვეში. შედარებისთვის, საშუალო ხელფასი იმავე წელს ესტონეთში იყო 4500 კრონი თვეში. ისიც ერთობ საგულისხმოა, რომ ესტონეთის პარლამენტის სპიკერის ხელფასი განისაზღვრება როგორც საშუალო ხელფასზე ექვსჯერ, ხოლო რიგითი პარლამენტარისა კი - როგორც ოთხჯერ მეტი.

**რა მოხდა ლატვიაში?**

შედარებისთვის მოკლედ შევეხოთ სამეცნიერო რეფორმების დინამიკას ლატვიაში. სამწუხაროდ, რეფორმები აქ არ იყო ისეთი წარმატებული, როგორც ესტონეთში და ლიტვაში. არადა 90-იანი წლების დასაწყისში ლატვია ყველაზე პროდუქტიული იყო ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობის თვალსაზრისით. რეფორმების ათი წლის შემდეგ ლატვიელ მეცნიერთა პუბლიკაციების რაოდენობა მხოლოდ 10 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა მათი ლიტველი და ესტონელი კოლეგების პუბლიკაციათა რაოდენობა გაორმაგდა. რა იყო ამის მიზეზი? ამ შედარებითი წარუმატებლობის ანალიზმა აჩვენა, რომ აქ ძირითადად სამმა არასწორმა ფაქტორმა იმოქმედა: ორგანიზაციულმა, სოციალურმა და ფინანსურმა:

1. დიდი ***ორგანიზაციული*** შეცდომა იყო 100 პროცენტიანი გრანტული დაფინანსების შემოღება და საბაზისო (თუნდაც ინფრასტრუქტურული და მიზნობრივი არხებით) დაფინანსებაზე უარის თქმა. ამ ნაბიჯმა ფაქტობრივად დაანგრია ლატვიაში არსებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურა.

2. პირველმა მიზეზმა გამოიწვია მეორე - ***სოციალური:*** მეცნიერთა რაოდენობა ქვეყანაში რამდენჯერმე დაეცა. 2002 წელს ლატვიაში მეცნიერთა რიცხი 1000 მოქალაქეზე 11.1-ს შეადგენდა და დაახლოებით ორჯერ ჩამოუვარდებოდა ანალოგიურ მაჩვენებელს ლიტვისთვის (21.6) და ესტონეთისთვის (21.2). ეს ორი მიზეზით მოხდა: მეცნიერთა დიდმა ნაწილმა უბრალოდ დაკარგა სამუშაო და სხვა საქმეს მოჰკიდა ხელი. დაახლოებით 1000 ლატვიელი მეცნიერი კი უცხოეთში გადავიდა სამუშაოდ. *"ტვინების გადინების"* (brain drain) ამ პროცესის ფასი საზოგადოებისთვის დაახლოებით 100 მილიონი ამერიკული დოლარით შეფასდა. გარდა ამისა, უაღრესად შემცირდა მეცნიერული კადრების განახლების ტემპი: 2000 წელს, მაგალითად, ლატვიაში მხოლოდ 22-მა ახალგაზრდა მეცნიერმა დაიცვა PhD ხარისხი.

3. ბოლოს კი წმინდა ***ფინანსური*** მიზეზი: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერების დაფინანსებაზე გამოყოფილი სახსრები არათუ არ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა. იმავე 2000 წელს, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, GERD მაჩვენებელმა ლატვიაში მხოლოდ 0.41 პროცენტი შეადგინა.

*დასასრული შემდეგ ნომერში - თემა: "რა უნდა მოხდეს საქართველოში?"*

ბულდოზერელი



B2

ჯეიმს ტონი ტიტულს რინგს მიღმა კარგავს



B5

"ბეიბი ასტონი" "პორშეს" კონკურენტი ხდება



B6

# "საბა" - 2005

## ლიტერატურული პრემიის ფოტოისტორია

2003



"საბას" პირველი გამარჯვებულები



გაგა ნახუცრიშვილი და რატი ამაღლობელი



გიო ახვლედიანი (აკა მორჩილაძე)



ვახუშტი კოტეტიშვილი და დათო ტურაშვილი




2004



"საბა" 2004-ის ლაურეატები



ლაშა ბაქრაძე და რატი ამაღლობელი



ბესიკ ხარანაული, ირაკლი სამსონაძე და ოთარ ჭილაძე



ლაშა ბუღაძე და ზალიკო სამადაშვილი



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
ფრანსუა ლოლოს სახ. ჩასაბერ საკრავთა V
საერთაშორისო კონკურსის საზეიმო დახურვა
ფრანსუა ლოლო (ჰობოი, საფრანგეთი), ლიზა ბათიაშვილი (ვიოლინო),
ერვე ჟულენი (ვალტორნა, საფრანგეთი), გია ქობულაშვილი (ჰობოი),
იენს-ბიორნ ლარსენი (ტუბა, დანია)
ბილეთების ფასი: 4-7 ლარი.
დას. 19.00

**სპორტის სასახლე**
გიგა მიქაბერიძის სოლო კონცერტი
დას: 19:00 სთ.

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"ლომისი - 10"
საიუბილეო კონცერტები
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ნანა ჯანელიძე
"საჩუქარი დიდებს, როცა პატარები იყვნენ"
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დასაწყისი: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"ზამთრის ღამის სიზმარი"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
(ოტია იოსელიანის "ექვსი შინაბერასა და ერთი მამაკაცის" მიხედვით)
ფასი: 2-3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"აქ, ამ სავანეში..."
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნოს სამი ერთმოქმედებიანი პიესა
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ილია"
კოტე მახარაძის სპექტაკლი (ვიდეოჩვენება)
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"სამყარო"
ავტორი და რეჟისორი: დ. შალიკაშვილი.
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"მძევალი"
დას: 12:00 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 11:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"დაიკიდე"
დას: 14:00 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 11:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
ევროპის კულტურული კონვენციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პლაკატების გამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

**ქარვასლა**
"ბავშვები მშვიდობისთვის"

**ჰობი**
ედმუნდ კალანდაძის ნამუშევრების გამოფენა
"რჩეული ნამუშევრები"

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
"ევროპა-საქართველო"

**ეროვნული გალერეა**
"წინა საუკუნის ქართველები"
(ნინო ფურცხვანიძე - ფოტო;
სოფო ტაბატაძე - ინსტალაცია).

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ბულდოზერელი

## ოთარ ჩხარტიშვილის შედევრები

ია ვეკუა

1974 წლის 17 სექტემბერს მოსკოვის "იზმაილოვოს პარკში" საბჭოთა სისტემისთვის ჩვეული "სანახაობა" გაიმართა: თოვლის ასაღები რამდენიმე ბულდოზერი იმ პერიოდის ნონკონფორმისტული ხელოვნების გასანადგურებლად დაგეშეს. ნამუშევრების დიდი რაოდენობა განადგურდა, თუმცა, იდეა, რომელმაც დისიდენტი მხატვრები ამ აქციაზე შეკრიბა, თოვლივით არ გამქრალა. მოგვიანებით გამოფენას "ბულდოზერული" ეწოდა, მისი მოქმედი გმირები ხელისუფლებისთვის ნომერ პირველ მტრებად, მომავალი თაობისთვის კი შეურიგებლობის სიმბოლოდ იქცნენ. მათ შორის იყო ქართველი მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი, რომლის პერსონალური გამოფენა გალერეა "ვერნისაჟში" გაიხსნა.

ოთარ ჩხარტიშვილი, ალბათ, ყველაზე საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ქართველი მხატვარია. მის დოსიეში რამდენჯერმე ნახსენები სიტყვები: "გარიცხეს", "არასანქცირებული", "რეპრესირებული", "კონტრკულტურა".

ხატავს ზედმიწევნით რეალისტურად, თითქმის ანარეკლური ეფექტით, თითქოს ეშინია, ერთი დეტალიც არ გამორჩეს და ცდილობს, მნახველს ნებისმიერი სურვილი დაუკმაყოფილოს. ამავდროულად, საკუთარი დასკვნის გაკეთების საშუალებასაც უტოვებს, რადგან არც ერთ ნამუშევარს არ ასათაურებს. **"თქვენ რაც გინდათ, ის უწოდეთ. თუმცა, ყველა ნახატი თავად ამბობს საკუთარ სახელს"**.

დახვეწილი რეალიზმის პარალელურად ოთარ ჩხარტიშვილის მხატვრობა სიმბოლოების ნაკრებია. "ვერნისაჟში" გამოფენილ ტილოებს შორის გამორჩეულია გაზეთ "იზვესტიაში" გახვეული წვრილი თევზები. "რა ნაგავიც ქვეყანა იყო, იგივე იყო მისი შიგთავსიც, რომელიც დროთა განმავლობაში თევზივით დალპა და აყროლდა. ბროწეულების ხატვა კი განსაკუთრებით მიყვარს, ღმერთის ამ მშვენიერი ქმნილების ყურება ყოველთვის მახარებს. ისინი ჩემთვის მშვიდობისა და სიცოცხლის სიმბოლოა", - გვიხსნის მხატვარი.



*ოთარ ჩხარტიშვილს პროტესტის გრძნობა არსებული სისტემისადმი ბავშვობიდანვე განუვითარდა*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

შემდეგ ერთ-ერთი ნამუშევრისკენ გვიხმობს და ბავშვური აღტაცებით ამბობს: "ეს ჩემი შედევრია!". ნახატი პირობითი სახელწოდებით "თეთრი საფარი", ერთი შეხედვით, სიმარტივისა და სინაზის ერთგვარი აქციაა. არადა, მხატვარს მის შესაქმნელად მთელი ერთი წელიწადი, უამრავი ენერგია და საღებავი დასჭირვებია. მარტო ფონი 30-ჯერ გადაღება, ხოლო საფარის მინიატიურულ ნაქარგებში მთელი თავისი ხელოვნება ჩადო. ალბათ, ამიტომაც აწერია ამ ნამუშევარს ფასი "1000". თუმცა, ვალუტას არ აკონკრეტებს - ესეც ერთგვარი აქციაა, ავტორს მისი გაყიდვა სულაც არ უნდა, უბრალოდ, ასე ულირს. **"მინდოდა, ისეთი ნამუშევარი შემექმნა, რომელიც ერთადერთი იქნებოდა და ვერავინ შეძლებდა მის გამეორებას".**

"ვერნისაჟში" გამოფენილი ტილოები მხატვრის სხვადასხვა პერიოდის ნამუშევრებია. იგი მაქსიმალურად შეეცადა, ის ნახატები შეერჩია, რომლებიც ავანგარდულ მხატვრობასთან იქნებოდა ახლოს და არასდროს დაავიწყებდა იმ წლებს.

ოთარ ჩხარტიშვილი სამხატვრო აკადემიიდან სამჯერ გარიცხეს და სამჯერვე აღადგინეს. პირველად აკადემიის რისხვა მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლაზე უარის თქმისთვის დაიმსახურა, შემდეგ სამხედრო კათედრაზე გამოუცხადებლობისა და პაციფისტური იდეებისთვის შერაცხეს. ერთ ამბავს სკოლის პერიოდიდანაც იხსენებს: "მეხუთე კლასში ვიყავი. სკოლაში დაგვიანებით მივედი. მთელი სკოლა ეზოში იყო შეკრებილი და ტიროდა. თურმე სტალინი მომკვდარა. ამის გაგონებაზე გამეცინა, რადგან მამაჩემი მთელი ცხოვრება ამ დღეზე ოცნებობდა".

მისი ოჯახის რამდენიმე წევრი გაკულაკებული იყო და ანტისაბჭოთა განწყობა ოჯახურ ტრადიციასავით შეისისხლხორცა. მამა პიონერის ყელსახვევისა და კომკავშირელის ნიშნის გაკეთებას უკრძალავდა. რა გასაკვირია, რომ ახალგაზრდა მხატვარი საბჭოთა ნონკონფორმისტთა რიგებში აღმოჩნდა.

1974 წლის სექტემბერში დაგეგმილი გამოფენის მოსაწვევები ყველა საელჩოს წარმომადგენელმა მიიღო. მხატვარ ოსკარ რაბინისა და კოლექციონერ ალექსანდრე გლეზერის მიერ ორგანიზებული გამოფენა, რომელიც საბჭოთა სოცრეალიზმის წინააღმდეგ გამოსვლას ემსახურებოდა, დილის ხუთ საათზე დაიწყო. მოსკოვის ალმასკომს შეატყობინეს, რომ მხატვრები შაბათობას აწყობდნენ, თან საკუთარ ნამუშევრებსაც გამოფენდნენ. დაახლოებით 12 საათზე ალმასკომში შეტყობინება მივიდა, რომ "იზმაილოვოს პარკში" "საბჭოთა ხალხის მტრებმა ამაზრზენი ნახატები გამოფინეს". ბულდოზერებმა რამდენიმე წუთში იქაურობა გაანადგურეს. აღსანიშნავია, რომ მოსკოვის მთავრობა უშიშროების კომიტეტისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, მხოლოდ ბულდოზერების შეტევით არ დაკმაყოფილდებოდნენ.

ამის შემდეგ მხატვრები გლეზერის სახლში ჩუმად იკრიბებოდნენ. მანვე გამართა შარშან "ბულდოზერული გამოფენის" საიუბილეო გამოფენა. ოსკარ რაბინი კი საბჭოთა კავშირიდან საფრანგეთში გააძევეს.

ოთარ ჩხარტიშვილი იმ წლებს მხოლოდ იხსენებს, მაგრამ მხატვრობით აღარ ეხმიანება: **"ავანგარდი გვერდზე გადავდე, ხმალი დავასვენე. მხოლოდ საკუთარ თავს საგნებში ავსახავ".**

# ის, რაც ევრორემონტს გადაურჩა

თეონა ჯაფარიძე

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ძველი თბილისური ეზოების რკინის ჭიშკრების, სადარბაზოების კიბის მოაჯირებისა თუ დაკიდებული პატარა რკინის აივნების ორნამენტები და შტრიხები იუგენდ სტილს განეკუთვნება. სოლოლაკში თუ პლეხანოვზე დღეს შავად გადაღებილი ძველი სახლების ეს აქსესუარები თავის დროზე (მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20-ის დასაწყისში) ფერადი ან სულაც მოოქროვილი ყოფილა და მაშინდელ თბილისურ არქიტექტურაში მოდერნის ნიუანსები დაუმკვიდრებია. თუ რესტავრატორი მათი თავდაპირველი ფერის დადგენას გადაწყვეტს და აღებულ ფენას მიკროსკოპით ნახავს, შესაძლოა, საღებავის რამდენიმე შრეც გამოარჩიოს. თუ ეზო ან სადარბაზო რომელიმე მდიდარი და ახალი მეპატრონისგან ევრორემონტს გადაურჩა და მისი პატრონი საღებავების ფენების საფუძვლიანი გადაფხეკის ნაცვლად უბრალო, იაფფასიან გადაღებვას დასჯერდა, შესაძლოა, კარგმა პროფესიონალმა ჯერ კიდევ შეძლოს ამ სიმდიდრის გადარჩენა. მაგრამ არის კიდევ ერთი ხელშემწყობი ნიუანსი იმისათვის, რომ ჩვენი ქალაქის არქიტექტურაში გასული საუკუნეების ევროპული სტილის ეს ნაკვალევიც გაქრეს: ეს ლითონის რესტავრატორთა სკოლის არარსებობაა.

**გოგი ოქროპირიძე** ლითონით და იუგენდ სტილითაა გატაცებული. ათ წელიწადზე მეტია, ამ სტილის საუკეთესო ნიმუშებს ავსტრიის დედაქალაქში სწავლობს და **ელიზაბეტ კრეპსის** სახელოსნოდან აკვირდება. სახელოსნო მე-12-დან მე-20 საუკუნემდე ლითონის ობიექტების რესტავრაციაზე მუშაობს. ავსტრიელები უფრთხილდებიან ვენის ძველი აივნებისა და ჭიშკრების ორნამენტსა თუ თავდაპირველ ფერს. მოდერნისა თუ ბაროკოს სტილი აქ პროფესიონალების მიერ შენარჩუნებული და დაცულია. მათ შორის კრეპსის სახელოსნოს 6 რესტავრატორიც, შესაბამისად, ხან ბაროკოს პერიოდის მოჭედილი აივნის აღდგენაზე მუშაობს და ხანაც ვენის პარლამენტის თავზე მოთავსებულ ბრინჯაოს ქანდაკებას, ან სულაც მინიატიურულ უძველეს ბეჭედს განაახლებს. "რესტავრაციამდე ჩვენ ობიექტის თავდაპირველ ფერსა და მასალას ვადგენთ. შესწავლის შემდეგ სამუშაო, შესაძლოა, სხვა სახელოსნოს ან სხვა რესტავრატორს გადავცეთ ხოლმე", - ხაზს უსვამენ სამუშაოს შესრულებისას თავიანთ სკრუპულოზურობას.



*ქართულ ჭიშკრებს მოვლა სჭირდება*

გასული წლის ნოემბერში თავად ელიზაბეტ კრეპსი და რამდენიმე რესტავრატორი თბილისში ჩამოვიდა. გოგი ოქროპირიძემ ისინი თბილისის ძველ ქუჩებში გაიყვანა. "2000-მდე ფოტო გადავიღეთ. აქაური იუგენდ სტილი განსხვავებულია ევროპულისგან. ამდენ მდიდრულ ორნამენტში ძნელია, გამოყო რომელიმე მათგანი", - უხსნიდა გუშინ თბილისში უკვე მეორედ ჩამოსული ელიზაბეტ კრეპსი უცხო ენების უნივერსიტეტის ავსტრიულ ბიბლიოთეკაში შეკრებილ საზოგადოებას და თან ფოტოსლაიდების საშუალებით თბილისური რკინის ძველი ჭიშკრებისა თუ კიბის მოაჯირების ევროპულისგან განსხვავებულ ნიუანსებსა და ორნამენტებზე მიუთითებდა.

ელიზაბეტ კრეპსის მეორე ვიზიტი უკვე კონკრეტულ პროექტს უკავშირდება: - "ჩაუტარდეს რესტავრაცია ერთ რომელიმე კონკრეტულ ობიექტს და მუშაობის პროცესში კვალიფიკაცია მიიღოს რესტავრატორთა ახალმა თაობამ, რადგან საქართველოში კონკრეტულად ლითონის რესტავრატორთა სკოლა არ არსებობს." - როგორც ხედავთ, პროექტს ორმაგი დატვირთვა აქვს. ამჯერად ის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ დააფინანსა, თანამშრომლობა კი ავსტრიულ მხარეს სამხატვრო აკადემიის ახლად გახსნილი რესტავრაციის ფაკულტეტის ხელმძღვანელმა, ხელოვნებათმცოდნე **ნანა კუპრაშვილმა** და ახალგაზრდა რესტავრატორებმა გაუწიეს.

ავსტრიულ-ქართულმა ჯგუფმა სარესტავრაციოდ რამდენიმე ობიექტი ამოარჩია კუფტინის ქუჩაზე, ბამბის რიგში და ტაბიძის ქუჩაზე. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ტაბიძის ქუჩის ერთი ჭიშკარი და სადარბაზო, მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებლები რესტავრაციაზე უარს ამბობენ და სახლის მთლიან აღდგენას მოითხოვენ.

"შარშან, ნოემბერში რომ ჩამოვედით, მარჯანიშვილის თეატრში ვნახეთ, როგორ აცლიდნენ ქიმიური ხსნარით კიბის ჩუქურთმებს თავდაპირველ ფირუზისფერს. კარგია, რომ ჯერჯერობით აქ ბევრი შენობა ევრორემონტს გადაურჩა და ამ ძველი სიმდიდრის გადარჩენა კიდევ შეიძლება", - გვეუბნება ქალბატონი ელიზაბეტ კრეპსი და სლაიდებით ისევ ავსტრიულ მოდერნს უბრუნდება: - "ეს საზოგადოებრივი ტუალეტია. სტილი მოდერნია, რესტავრირებული და დაცული..."

# თავადები და კუდიანები სარდაფიდან

## ჯიუტი რეჟისორის მოკრძალებული ამბიციები

სოფო კილასონია

*თეატრალურმა სარდაფმა რუსთაველზე 11 მაისს პრემიერა წარმოადგინა. ლეო ქიაჩელის "თავადის ქალი მაია" ის ნაწარმოებია, რომლითაც ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი სავანელი დაინტერესებულა. ამიტომაც საკუთარ სადიპლომო ნამუშევარზე მუშაობა განაგრძო და სპექტაკლი სარდაფის სცენაზე გადაიტანა.*

*"შეშინებული დაფინო ნაპირისკენ უკან მოუხედავად გაიქცა. დასტაცა ხელი თავსაფარს, მაგრამ არსად ჩანდა თავადის ქალი მაია". - ამ სიტყვებით მთავრდება დრამა, რომელსაც თითქოს მრავალი მიზეზი უნდა ჰქონდეს: გულგატეხილი ქალის სიყვარული, სოციალური მდგომარეობა, ცხოვრებისეული უსამართლობა და კიდევ ბევრი სხვა რამ. "თავადის ქალი მაიას" და, საერთოდ, ლეო ქიაჩელის სხვა ნაწარმოებებს ალბათ თავის დროზე არაერთხელ მოუხდენია შთაბეჭდილება, თუმცა, რაც შეეხება შეკითხვებს კითხვის დამთავრების შემდეგ, ვეჭვობ, რომ ბევრს დაბადებოდეს. შეკითხვები კი მხოლოდ იმიტომ გამახსენდა, რომ ინსცენირებული კლასიკური ნაწარმოების შემთხვევაში, თუ იგი განსაკუთრებულ და განსხვავებულ თეატრალურ ფორმებს არ მოითხოვს, თეატრში მხოლოდ იმიტომ მივდივარ, რომ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ გაჩენილ შეკითხვებზე შესაძლო სანდო პასუხები რეჟისორმა შემომთავაზოს და კიდევ ის ღირსება წარმოაჩინოს კარგად, რაც ამა თუ იმ ნაწარმოებს აქვს. ამ შემთხვევაში მე ნამდვილად სუბიექტური ვარ. ასე თუ ისე, ორი დღის წინ პრემიერა იყო და მხოლოდ ამიტომაც ღირდა ერთი საათი ჩაბნელებულ სარდაფში ჯდომა და სინათლისა და წარმოდგენის დაწყების ლოდინი.*

სპექტაკლი სულ საათნახევარს გრძელდება. მოქმედი პირი სულ ოთხია. ამიტომ არაფრით არ იღლები, მშვიდად და გულმოდგინედ უყურებ სპექტაკლს და ელოდები. ელოდები ან ამაღელვებელ მონოლოგ-დიალოგებს, ან ცეკვებს, ან სიმღერებს, უკეთეს შემთხვევაში, ახლად არანჟირებულ ძველ მელოდიებს. ეს უკვე "მოდერნია". მოკლედ, ელოდები ეფექტებსა და სიტუაციებს, რომ აგეტიროს. ძირითადად ამას ველოდებით ჩვენი თეატრების წარმოდგენებისგან და თუ ვიღებთ, ე.ი. სპექტაკლი კარგია. სარდაფის პრემიერაზე ცოტ-ცოტა ყველაფერი იყო, უკვე შესისხლხორცებულ მოთხოვნებს სპექტაკლმა უპასუხა და ამიტომაც ნამუშევარი "ზომიერად კარგია".

გიორგი სავანელმა სულ ახლახან დაამთავრა თეატრალური უნივერსიტეტი. იგი საკუთარ თაობაში მართლაც გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მონდომებით, აზროვნებით. ამიტომ მას საინტერესო მომავალს უწინასწარმეტყველებენ, თუმცა, ნამდვილად ვერ გავიგე, სადიპლომო ნამუშევრისთვის ნაწარმოების არჩევანში პედაგოგები მედეა კუჭუხიძე და გოჩა კაპანაძე მას თუ დაეთანხმნენ.

ალეგორიებითა და მეტაფორული ხერხებით საკმაოდ დატვირთული საპრემიერო სპექტაკლი ნანა კალანდარიშვილის სცენოგრაფიით არის გაფორმებული. მუსიკალური გაფორმება თავად რეჟისორს ეკუთვნის. სპექტაკლი "კოლხურ ესთეტიკაშია" გადაწყვეტილი. სიუჟეტური მსვლელობისას წინა პლანზე კუდიანების ღიმილისმომგვრელი ცეკვებით რაღაც არამიწიერი ძალების მოქმედება იკვეთება. თავადის ქალი მაია სპექტაკლში ჯერ ამორძალი ქალბატონის სახეს იღებს, შემდეგ კი - გულგატეხილი მიტოვებული ქალისა. სპექტაკლის ამგვარად წარმართვამ და აგებულებამ პირველივე სცენებიდან რეჟისორის პედაგოგის გოჩა კაპანაძის ყველაზე წარმატებული სპექტაკლი "მედეა" მომაგონა და არც შევმცდარვარ. მსგავსება და გარკვეულწილად მიბაძვა არც მოწაფემ დამალა და პედაგოგიც დამეთანხმა: "ესთეტიკა შეიძლება ჰგავდეს, მაგრამ გიორგის მაინც აქვს თავისებური ხედვა. სარეპეტიციოდ ცოტა დრო იყო, პრემიერამდე ოთხი საათი არ იყო შუქი. ამან თავისებური დაღი დაასვა წარმოდგენას. მე, როგორც პედაგოგს, მაქვს რაღაც შენიშვნები... საკმაოდ ჯიუტი რეჟისორი იზრდება, თუმცა, ხანდახან ჯობია, სხვასაც დაუჯეროს. ნიჭიერი ადამიანია, მშრომელი, მოაზროვნე. ფუნდამენტური ცოდნა აქვს მიღებული. ვფიქრობ, ცოტა ხანში ქართულ თეატრს ნიჭიერი რეჟისორი შეემატება. სამომავლოდ კი უფრო უნდა გაიფართოოს დიაპაზონი, დასავლეთევროპული პიესებით დაინტერესდეს. მგონია, რომ მასთან ფსიქოლოგიური თეატრი უფრო ახლოსაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ ერთი ჟანრით შემოიფარგლოს, ერთი ფორმით შეიზღუდოს. ვფიქრობ, საინტერესოდ იზრდება, ყოველ შემთხვევაში, ვისაც ადრეული სპექტაკლები აქვს ნანახი, აშკარად შეამჩნევდა ზრდას. მინდა, რომ მან სხვადასხვა ჟანრში სცადოს თავი. იმედი მაქვს, ასეც მოხდება." - მითხრა ბატონმა გოჩამ, თუმცა, როგორც თავად გიორგი სავანელმა გამიმხილა, შემდეგი ნამუშევარი ისევ კლასიკური რეპერტუარიდან იქნება. ამას არაერთი მიზეზით ხსნის. მისი თქმით, კლასიკური პიესა მეტი გამოცდილების მიღების საშუალებას აძლევს და, საერთოდ, ის მსახიობისთვის თუ რეჟისორისთვის ბევრად უფრო მომგებიანია. ამაში, შესაძლოა, დავეთანხმოთ, თუმცა, გააჩნია, მომგებიანი რა თვალსაზრისით. ერთი სიტყვით, საინტერესო იქნება, თუ ახალგაზრდა რეჟისორი ახალი თეატრალური ფორმების ძიებით დაინტერესდება და მოკრძალებული პროფესიული ამბიციებით არ შემოიფარგლება. ოვაცია და აპლოდისმენტები კი ხარისხთან ერთად აუცილებლად მოვა.

# ერთი ი-მეილის გამო

## ცალკეულ სიტყვათა ერთობლიობა, რომელიც ზაფხულის დადგომამ დამაწერინა

თამარ ბუაძე

და კიდევ ერთხელ ჰენესისა და მაურისის შესახებ. დაიბენით? მაშინ ასე - და კიდევ ერთხელ H&M-ის შესახებ. ორიოდე დღის წინ მათგან ი-მეილი მივიღე. მათ ვებ-გვერდზეც იმიტომ შევიარე და იმიტომ გადავირიე...

თუმცა, თემას ჯერ შორიდან უნდა მოვუარო და გავარკვიოთ, რაშია საქმე: ჩემი კუდაბზიკობის გადამკიდეს, სრულიად ნებაყოფლობით სრულიად არასაჭირო იმეილების მთელი დასტა მომდის ხოლმე. რეგისტრაციას ყველგან და ყველაფერში გავდივარ და მერე გამომცემლობა "პინგვინი" ერთგულად მატყობინებს, ლონდონის რომელ მაღაზიასა თუ კლუბში რომელი მწერლის საჯარო კითხვა იგეგმება, რომელი ავტორის ახალი წიგნი გამოდის. ბარსელონის თანამედროვე კულტურის ცენტრიდან კი ტერეზა როიგი მეხმიანება ყოველკვირას და ახალ გამოფენებზე მეპატიჟება. ი-მეილებს ვიღებ ვიქტორია და ალბერტის მუზეუმიდან, ჟურნალ "ფორბსიდან"... ამას წინათ დამვიწყებია, U2-ის ოფიციალურ საიტზე რომ დავრეგისტრირებულვარ და საფოსტო ყუთის გახსნისას ახალ წერილებში ერთი ბონოსგანაც რომ დამხვდა, ელდა მეცა.

ელდა არანაკლები იყო, როცა ჩემგან დავიწყებულ კიდევ ერთ ადრესატს გავახსენდი - ავიაკომპანია KLM-ს. ის იყო, ფანტასტიკის ჟანრიდან წამოსულმა იმედმა გამკრა, ალბათ, ლატარიაში ბილეთი მოვიგე-მეთქი, რომ წერილის სათაურმა ალტკინება ჩამიცხრო: ახალი ამბების ჩვეულებრივი ბიულეტენი იყო... ვინ მეტყვის, რაში მჭირდება KLM-ის სიახლეების ცოდნა? ჩემთვის რამე იცვლება იმით, ამიერიდან მგზავრებს თვითმფრინავში ჩაჯდომისთვის რიგში დგომა რომ აღარ სჭირდებათ და შეუძლიათ, რეგისტრაცია ინტერნეტითაც გაიარონ? ანდა, რაში გამომადგება იმის ცოდნა, რომ ამსტერდამი-ნიუ იორკი ახლა 400 ევროდ დაფრინავს?

...უკომენტაროდ დამტოვეთ და ისევ ჩემს საფოსტო ყუთში შემოიხედეთ, სადაც 11 მაისს, 13 საათსა და 47 წუთზე მოვიდა წერილი სწორედ ზემოთ ხსენებული ჰენესისა და მაურისისგან. გამოგიტყდებით, დაბნევამ KLM-ისგან წერილით მიღებულ შოკს გადააჭარბა. აქ რაღა ჯანდაბა მინდოდა-მეთქი, გავიფიქრე. ცოტა შემეშინდა, იქნებ თავისით მომაგნეს, აი, მაშინ ციურიხში, H&M-ში ჟაკეტი რომ ვიყიდე-მეთქი; ხო ნამდვილად გადავიხადე-მეთქი (კი, თუ გიჟი ხარ, ასეთი ფიქრებიც მოსულა)... რაღაცნაირი შიშით გავხსენი წერილი და ისევ ის ჩვეულებრივი ბიულეტენი დამხვდა. ანა-კარინ ბიორნი მწერდა, აგერ ჩემი ი-მეილი, აგერ ტელეფონი, თუ დამატებითი კითხვა გაგიჩნდეს, შემატყობინე და ყველაფერში გაგარკვევო. მანამდე კი მიამბობდა ერთი დიდი სიახლის შესახებ. 2005 წლის შემოდგომის სეზონისთვის ახალ კოლექციას სტელა მაკარტნი შეკერავსო. და მაშინ გამახსენდა, რატომ მომწერეს H&M-იდან. როცა "შანელის" სახლის მთავარი დიზაინერი კარლ ლაგერფელდი "დავიდა" მასების დონეზე და კოლექცია ექსკლუზიურად H&M-ისთვის შეკერა, მათ ვებ-მისამართს სწორედ მაშინ ვეწვიე. მახსოვს, მოვიხიბლე სარეკლამო რგოლით. მაღალი წრის ქალი თავის ულამაზეს აპარტამენტებში, რომელიც მუზეუმს უფრო ჰგავდა, გამწარებული დარბოდა, იტალიურად ილანძღებოდა, მერე აღებდა ძვირფასი ხის კარადის მასიურ კარს, იატაკზე ყრიდა კიდევ უფრო ძვირფას ტანსაცმელს, ფეხით თელავდა ყველაფერს, იქვე მდგომი თეთრწინსაფრიანი მოახლე კი გაოცებული უყურებდა ამ ელიტურ ისტერიკას; ისტერიკას, რომლის მიზეზიც "შანელის" მთავარი დიზაინერის კარლ ლაგერფელდის H&M-ში წასვლა გახლდათ.

ქვეტექსტი ასეთი იყო: როგორ, ლაგერფელდი, რომელიც ელიტურ და ძვირფას მოდელებს ქმნის ჩემთვის, ახლა მასებისთვის, თანაც, თინეიჯერთა მასებისთვის ქმნის კოლექციას, რომელიც მერე იაფად გაიყიდება?

თუმცა, ეს კოლექცია, მდიდარი ქალბატონების ისტერიკის მიუხედავად, მაინც შეიქმნა და თვალის დახამხამებაში გაიყიდა. თანაც, "შანელისგან" განსხვავებით, ძალიან იაფად. და ახლა ანა-კარინ ბიორნი მწერდა, რომ ლაგერფელდის შემდეგ სუპერპოპულარულ შვედურ მაღაზიათა ქსელი ცნობილ ბრიტანელ დიზაინერს პოლ მაკარტნის ქალიშვილს სტელა მაკარტნის მასპინძლობდა.

უფრო სწორად, სტელა მაკარტნის უმასპინძლებს. ქალების კოლექციას, რომელიც 40-ნაირი მოდელისგან დაკომპლექტდება, ასე ერქმევა: "სტელა მაკარტნი H&M-ისთვის". ეს იქნება ერთჯერადი პროექტი, ტანსაცმელი კი მაღაზიებში ნოემბერში გამოჩნდება, ევროპაშიც და ჩრდილოეთ ამერიკაშიც.





H&M გვირჩევს, რომ ზაფხულში მოვეშვათ, დავისვენოთ და მხოლოდ გართობაზე ვიფიქროთ

დიზაინერი ამბობს: "H&M-ისთვის კოლექციის შექმნა შესანიშნავი საშუალებაა, რომ ქალთა ფართო საზოგადოებას მივაწვდინო ხმა".

H&M-ის დიზაინის განყოფილების პრეზიდენტი მარგარეტა ვან დენ ბოში კი აცხადებს: "სტელა მაკარტნისთან მომავალი თანამშრომლობით აღფრთოვანებული ვართ. მისი დიზაინი თანამედროვე, გაწონასწორებული, მოდური და, ამავე დროს, კლასიკურია. მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგადაც დავრწმუნდით, რომ მის სავაჭრო ნიშანს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს".

მერე ანა-კარენი იმასაც მახსენებდა, რომ სტელა მაკარტნის დებიუტი 2001 წელს შედგა, "გუჩისთან" თანამშრომლობით. დღეს კი მას უკვე რამდენიმე წარმატებული ხაზი აქვს: ქალის მზა ტანსაცმელი, აქსესუარები, სუნამოები, სათვალეები და "ადიდასთან" ერთად დამზადებული კოლექცია. სტელა მაკარტნის სავაჭრო ნიშანი 43 ქვეყანაში ვრცელდება, მისი სახელობის მაღაზიები კი ლონდონში, ნიუ იორკსა და ლოს ანჯელესშია.

რაც შეეხება H&M-ს, ის 1947 წელს შვედეთში ერლინგ პერსონმა დააარსა. ალბათ, ეს ერთადერთი მსოფლიო მნიშვნელობის ნოვაციაა, რომელსაც ეს სკანდინავიური ქვეყანა პლანეტას სთავაზობს. თავდაპირველად მაღაზია, რომლის დევიზიც იყო - ხარისხი და დაბალი ფასი - მხოლოდ ქალებისთვის გაიხსნა. მაღაზიას ასე დაარქვეს - "მისთვის". ეს სიტყვა კი შვედურად ზუსტად ასე წარმოითქმება: Hennes ("ჰენეს") და ნიშნავს მდედრობით სქესს. შემდეგ პერსონმა მონადირეების მაღაზია "მაურის ვინდფორსი" იყიდა და ის "ჰენესის" შეუერთდა. ასე გამოვიდა "ჰენესი და მაურისი" ქალებისა და კაცებისთვის.

სავაჭრო ნიშნის გარშემო მაშინვე ატყდა აჟიოტაჟი. სტოკჰოლმში გახსნილ მაღაზიასთან კილომეტრიანი რიგი დადგა. საქმეში საგზაო პოლიცია ჩაერია. H&M მაღალ მოდას ფეხდაფეხ მიჰყვება, ყველა ნოვაცია გადმოაქვს და ხან ელვის პრესლისა და როკ-ენროლის ფასეულობებს ავრცელებს, ხან - ბრიჯიტ ბარდოს, ხანაც - ჯეკი კენედის. თუმცა, ტრადიციები მაინც ტრადიციებად რჩება და 1969 წლამდე მაღაზიის გამყიდველებს უფლება არა აქვთ, შარვალი ჩაიცვან. მერე კი ყველაფერი იცვლება. H&M მთელ ევროპას ედება და მასებამდე ყველა დიდი სიახლე მიაქვს - პანკ-როკიც, "შაბათი ღამის ციებ-ცხელებაც", პირველი კომპიუტერული თამაშიც, პირველი კომპაქტ-დისკიც, მადონას ტურნეც - Like a Virgin, რეტრო მოდერნიც, ინტერნეტიც... მოკლედ, ყველაფერი. დღეს H&M ცალ-ცალკე არსებობს ქალებისთვის, მამაკაცებისთვის, თინეიჯერებისთვის, მოზარდებისთვის. ცალკეა კოსმეტიკაც. ამ ქსელისთვის საკუთარი დიზაინერები კერავენ კოლექციებს. კომპანიაში მუშაობს 45 ათასი თანამშრომელი და მათი 1100 მაღაზია 21 ქვეყანაშია განთავსებული.

მოკლედ, ასე. აი, რა შორს წამიყვანა ერთმა უწყინარმა ი-მეილმა ჩემი საფოსტო ყუთიდან და რა შორს წამაყვანინა თქვენი თავიც. მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდება. ზევით გითხარით, გადავირიე-მეთქი და ეს გადარევა მაშინ დამეწყო, როცა H&M-ის ვებ-გვერდზე ალმოვჩნდი. თქვენც გირჩევთ, შეიაროთ. დიდი ხანია, მსგავსი სიღრმით გააზრებული კონცეფცია არ მინახავს. აი, სად ვიგრძენი, რომ ზაფხული მოვიდა. პირველივე გვერდზე ლურჯი წყლით სავსე თეთრი აუზი დამხვდა, გასაბერ ლეიბებზე გაწოლილი გოგოებით და ბიჭებით. მერე ერთი ღილაკი მომიწოდებდა, დააჭირე და უფრო ახლოს გაეცანი ჩვენს გარემოსო. მეც დავაჭირე და კიდევ უფრო ღრმად შევტოპე საზაფხულო სამოთხეში. აუზი უკვე შორიდან ჩანდა. მას ორი შეერთებული ასოს H-სა და M-ის ფორმა ჰქონდა, ლურჯი წყალი ძველებურად ლივლივებდა, ოღონდ თან წყალში H&M-ის ლოგოც გარკვევით ჩანდა. გარშემო შეზლონგები, ზაფხულის სიცხის შთაბეჭდილება, წყლის წვეთების ეფექტი კომპიუტერის მონიტორზე, პალმები, ფილებიანი გზა და გრძელფეხება, გარუჯული მოდელები, რომელთაც H&M-ის საცურაო კოსტიუმები მოსავთ. ერთი სიტყვით, სრული საზაფხულო ეიფორია დამემართა, რომელმაც მალდივის კუნძულებზე თუ არა, მახინჯაურში ყოფნა მაინც მომანდომა.

ამიტომაც შეგაწუხეთ ასე. შეგაწუხეთ და მეტი არაფერი. ახლა ისევ ჩავჩუმდები, ჩავცხრები და ხვალ კვლავ შევამოწმებ საფოსტო ყუთს, რომელშიც ჩემი ტერეზა როიგი მაინც შემატყობინებს რამე ახალს ბარსელონადან. რა, გგონიათ, იქ არ მინდა?

# პირველი სტუმარი ფეხსაცმლის დიზაინიდან

## ირაკლი ბოჭორიშვილის სახელოსნო - tata-naka-ს ნდობით აღჭურვილი თბილისში

ვერა ნეფარიძე

*გალერეა "თაგის არტს" გუშინ განსაკუთრებული დღე ჰქონდა. ზუბალაშვილების 37 ნომერში გუშინ პირველად უმასპინძლეს ფეხსაცმლის დიზაინერს. თავის მხრივ, მნიშვნელოვანი იყო ახალი კოლექციის გუშინდელი ჩვენება მისი ავტორისთვისაც, რადგან რიგით მეორე გამოფენაზე, სახელოსნოს არსებობიდან მესამე წელიწადს, ირაკლი ბოჭორიშვილმა პირველად მისცა თავს უფლება, ეჩვენებინა არა ის, რაც პატარა ქალაქის ვიწრო წრის აღფრთოვანებას გამოიწვევს მხოლოდ, არამედ თავისუფალი, შეუზღუდავი ფანტაზიით შეექმნა ისეთი კოლექცია, რომელიც ფეხსაცმლის კერვასა და ხელოვნებას შორის მეტ კავშირს აჩვენებდა. რამდენად ახლოსაა ეს კოლექცია ხელოვნებასთან, გამოფენის გუშინდელმა დამთვალიერებელმა გადაწყვიტოს.*





*"ამ კოლექციაში ბევრი რამაა გამოყენებული. ძველი პალტოთი დაწყებული, დაიჭრა აზიური ხალათი, ძვირფასი ჰალსტუხები... ეს ყველაფერი, იშვიათად, რომ თბილისში გამოიყენებოდეს.*

დამთვალიერებელი კი ნამდვილად არ აკლდა "თაგის არტს", სადაც გუშინ პირველად ვიყავი და უმალ მივხვდი, რომ გალერეას მუდმივი სტუმრების გარკვეული წრე ჰყავს. ეს ადამიანები თითქმის ერთნაირი ინტენსივობით ესწრებიან "თაგის არტის" (ამავე სახელწოდებას ატარებს ორგანიზაციაც) ორგანიზებულ ღონისძიებებს: გამოფენებს, მუსიკალურ საღამოებსა თუ ჩვენებებს. რაც შეეხება გალერეას, ის ზუბალაშვილების 37-ში ხუთი წლის წინათ დაბინავდა. მისი მესვეურები ერთგვარი სიამაყითაც აღნიშნავენ, რომ დიდი რეკლამისა და განსაკუთრებული სპონსორების გარეშეც, მათი ღონისძიებები ყოველთვის წარმატებულია, რისი მიზეზიც, მათივე თქმით, ხუთ წელიწადში შექმნილი გალერეის რეპუტაციაა. "როდესაც გალერისტი ხარ და რამეს იწყებ, როგორც მასპინძელმა, ყველაზე კარგად უნდა იცოდე, რაზეა ლაპარაკი, რამდენად მნიშვნელოვანია დღეს ამ საზოგადოების შეკრება", - ამბობს ანი ლაღიძე და იმ რამდენიმე მიზეზზე მიანიშნებს, რის გამოც "თაგის არტმა" გუშინ პირველად დაუთმო სივრცე დიზაინერ ირაკლი ბოჭორიშვილს. "ძალიან ბევრია ფეხსაცმლის დიზაინერზე დამოკიდებული; ჩემი აზრით, როდესაც მუშაობს, მან უნდა გაითვალისწინოს ადამიანის გემოვნება, თვისებები, შეხედულებები სამყაროზე, რაც მე დავინახე ირაკლი ბოჭორიშვილის წარმოდგენილ კოლექციაში. ამიტომაც გავუღეთ კარი ამ დიზაინერს. მასთან ხარისხი გადამწყვეტია და, რაც მთავარია, ირაკლი ბევრს მუშაობს".

ხარისხისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე თავად დიზაინერიც საუბრობს, თუმცა, დამისახელეთ თუნდაც ყველაზე ცუდი დიზაინერი, რომელიც იგივეს არ ამტკიცებდეს. ამ შემთხვევაში ავტორის ნათქვამის შემოწმება არც ისე ძნელია - გამოფენაც ხომ ამიტომ გაიმართა. გემოვნებით მოწყობილი ექსპოზიცია ნამდვილად იძლევა საშუალებას, თავად შეამოწმოთ ხარისხი. პირადად მე კი ამ კოლექციითა და მისი ავტორით მაშინ დავინტერესდი, როდესაც შევიტყვე, რომ ირაკლი ბოჭორიშვილის სახელოსნოსთან აქტიურად თანამშრომლობს თათა-ნაკას დუეტი. მეორე წელიწადია, თბილისურ სახელოსნოს ენდობიან ლონდონში მოღვაწე ტყუპები, რომელთა ესკიზების მიხედვითაც კერავენ ქართველი ოსტატები. თუმცა, ის, რაც ამ დღეებში "თაგის არტში" იქნება გამოფენილი, სულაც არაა ტყუპების შემოქმედების ასლები.

ირაკლი ბოჭორიშვილის სახელოსნოს კოლექციის გამოფენა წელიწადნახევრის წინ პირველად გაიმართა. მაგრამ მაშინ, როგორც დიზაინერი ამბობს, გათვლილი იყო ადგილობრივი მომხმარებლის ინტერესები; ანუ, გამოფენას კომერციული დატვირთვა ჰქონდა. ამჟამად გამოფენილი კოლექციიდან, ირაკლის თქმით, ნახევარიც არ არის გასაყიდად განსაზღვრული: "სამაგიეროდ, თავს უფლება მივეცი, განმეხორციელებინა დიდი ხნის ნაფიქრი. ამ კოლექციაში ბევრი რამაა გამოყენებული. ძველი პალტოთი დაწყებული, დაიჭრა აზიური ხალათი, ძვირფასი ჰალსტუხები... ეს ყველაფერი, იშვიათად, რომ თბილისში გამოიყენებოდეს. პრინციპში, ეს კოლექცია მცდელობაა, რომ ფეხსაცმელი ხელოვნებასთან დავაახლოოთ".

ირაკლი ბოჭორიშვილის სახელოსნო (დიზაინერი ხაზს უსვამს, რომ მის სამუშაო ადგილს სახელოსნო ჰქვია და არა სალონი ან საამქრო) მესამე წელიწადია, არსებობს. თავად დიზაინერმა, განათლებით მხატვარ-ფერმწერმა, ეს საქმიანობა "ქართუში" მუშაობისას შეისწავლა. მიაჩნია, რომ არაჩვეულებრივი პრაქტიკა გაიარა: საბჭოთა მეთოდებით მიღებული ცოდნა იტალიელმა ოსტატებმა გაუფართოვეს. როგორც ამბობს, მუშაობის დროს უპირატესობას ანიჭებს გარკვეულ, მის მიერვე შექმნილ ჩარჩოებში მოქცეულ თავისუფალ ფანტაზიას. ამიტომაც მისი ფეხსაცმელი გამდიდრებულია სხვადასხვა, ჩვენთან ჯერ დაუმკვიდრებელი ელემენტებით, იქნება ეს სხვადასხვა ქსოვილი თუ ძვირფასი ქვები. რაც შეეხება ასოციაციებს ეპოქასთან - ზოგადად, კოლექცია იწვევს გასული ათწლეულების გარკვეულ ნოსტალგიას, მაგრამ ამის გამო დროში არ იკარგება, იოლად მიხვდებით, რომ ის თანამედროვეა. თუმცა, თავად განსაჯეთ.

მოკლედ

### ვან დერ ვაარტმა "რომასთან" მოლაპარაკება დაიწყო

"აიაქსის" ნახევარმცველის რაფაელ ვან დერ ვაარტის აგენტმა განაცხადა, რომ მან მოლაპარაკება დაიწყო იტალიურ კლუბ "რომასთან" მისი კლიენტის გადასვლასთან დაკავშირებით. ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმაც დაადასტურა ის ფაქტი, რომ რომში გადასვლის შესაძლებლობა განიხილა დანიელ პრადესთან, რომელიც ივნისში "რომას" სპორტულ დირექტორად დაინიშნება. გარდა ამისა, ვან დერ ვაარტმა განაცხადა, რომ მის მიმართ ინტერესს ამჟღავნებენ ასევე "არსენალი", "ლივერპული" და "იუვენტუსი". რაც შეეხება "რომას", იგი მზადაა, ჰოლანდიელ ფეხბურთელში, რომელსაც "აიაქსთან" 2006 წლის ზაფხულში გასდის კონტრაქტის ვადა, 3,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

### ლარსონი მოედანზე ბრუნდება

"როიტერსის" ცნობით, "ბარსელონას" თავდამსხმელი ლარსონი მალე დაბრუნდება სათამაშო მოედანზე. უახლოეს დღეებში იგი სრულფასოვან ვარჯიშს დაიწყებს. შეგახსენებთ, რომ ლარსონმა ესპანეთის ჩემპიონატში "რეალთან" მატჩის დროს მიიღო მუხლის ტრავმა. შეხვედრა შარშან ნოემბერში გაიმართა.

### რობერტო კარლოსი ნანობს

მადრიდის "რეალის" მცველს რობერტო კარლოსს გული სწყდება იმის გამო, რომ თავისი მაისურა კლუბის რადიკალურად განწყობილ გულშემატკივართა დაჯგუფება Ultra Sur-ის ერთ-ერთ ლიდერს აჩუქა. ამ ეპიზოდის შემდეგ რამდენიმე წუთში გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე ნაცისტური შინაარსის მქონე ტრანსპარანტები გაშალეს.

"იმ მომენტში მაისურის ჩუქება დიდი შეცდომა იყო, მაგრამ მე არაფერი ვიცოდი იმ მოვლენებზე, რომელიც თამაშის დროს ხდებოდა", - თავი გაიმართლა რობერტო კარლოსმა.

### ჯილარდინო თანხის დაკლებას მოითხოვს

"პარმას" თავდამსხმელი ალბერტო ჯილარდინო, რომელიც მიმდინარე სეზონის ბოლოს გუნდიდან წასვლას აპირებს, ვარაუდობს, რომ "პარმას" ხელმძღვანელობა ძალიან დიდ თანხას ითხოვს. ამ კვირას კლუბის ხელმძღვანელმა ლუკა ბარალდიმ განაცხადა, რომ ჯილარდინოს 35 მილიონ გირვანქა სტერლინგზე ნაკლებად არ გაყიდის. ფორვარდის აზრით, ეს თანხა აუცილებლად დააფრთხობს პოტენციურ მყიდველებს.

"არ ვიცი, მოახერხებს თუ არა ვინმე ჩემს შეძენას. შეიძლება ეს "მილანი" იყოს. არც "იუვენტუსია" გამორიცხული. ეს გუნდები არა მხოლოდ იტალიური, არამედ მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები არიან. დიდი სიამოვნებით გავხდები რომელიმე ამ გუნდის წევრი. თუმცა, ამისთვის მათ ფულის დახარჯვა მოუწევთ. მეეჭვება, რომ ჩემს გამო, ისინი ასეთ ფინანსურ დანაკლისზე წავიდნენ", - აღნიშნა ჯილარდინომ.

### აშშ-ს ტურნე ფერდინანდისა და რუნის გარეშე ჩაივლის

Sky Sports-ის ცნობით, მაისის ბოლოს დაგეგმილ აშშ-ს ტურნეში ინგლისის ეროვნული ნაკრები "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელების რიო ფერდინანდისა და უეინ რუნის გარეშე გაემგზავრება. ფერდინანდს დრო სჭირდება მტკივანი მუხლის მოსაშუშებლად, უეინ რუნი კი უარს დაღლილობით ხსნის. გაზეთის ვერსიით, ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს სვენ-გორან ერიქსონს "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა სთხოვა, ამ ფეხბურთელების წაყვანაზე უარი ეთქვა.

28 მაისს ჩიკაგოში ინგლისელები ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ აშშ-ს ეროვნულ ნაკრებთან, 31 მაისს კი კოლუმბიელებს შეხვდებიან.

### "ლიონი" ესიენს არ გაყიდის

Soccerway-ის ცნობით, საფრანგეთის ჩემპიონის "ლიონის" ხელმძღვანელობამ უარი უთხრა ლონდონის "ჩელსის" თავისი ვარსკვლავი ნახევარმცველის მაიკლ ესიენის გაყიდვასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელის მიმართ ინტერესს ამჟღავნებს მრავალი ევროპული გუნდი. ამის მიუხედავად, კლუბის პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლასი აცხადებს, რომ ის არ იყიდება.

"ერთადერთი, ვინც ამ ზაფხულს გუნდიდან წავა, ეს სიდნეი გოვუა. დანარჩენი ფეხბურთელები ჩვენთან რჩებიან. გოვუმ თავად განაცხადა, რომ გუნდის შეცვლა უნდა და ამის სრული უფლება აქვს. ვფიქრობ, ეს დანაკლისი საკმარისი იქნება. ჩვენ ევროპის საუკეთესო ნახევარმცველები გვყავს (დიარა, ესიენი, ჟუნინიო). მათ გამო ძალიან ამაყი ვარ", - განაცხადა ოლასმა L'Equipe-სთან ინტერვიუში.

### "ბაიერნი" ხუთ ფეხბურთელს თმობს

"ბაიერნის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მიმდინარე სეზონის ბოლოს ხუთ ფეხბურთელს შეელიოს. ბუნდესლიგის ჩემპიონის წარმომადგენლის თქმით, გუნდს დატოვებენ მცველები რობერტ კოვაჩი, სამუელ კუფური და ტომას ლინკე, ასევე თავდამსხმელი ვახიდ ჰაშემიანი და ალექსანდრ ციკლერი. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებენ ეს ფეხბურთელები კარიერას.

### პირსი "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი გახდა

სტიურტ პირსი უკვე ოფიციალურად დანიშნეს "მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. კონტრაქტი ორ წელიწადს ითვალისწინებს. კევინ კიგანის წასვლის შემდეგ პირსი გუნდს ეროვნულ ჩემპიონატში გამართული უკანასკნელი ცხრა მატჩის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. საწვრთნელ შტაბში ცვლილებების შემდეგ "სიტი" კვლავაც ჩაერთო ევროპის თასზე ადგილისთვის ბრძოლაში და უკანასკნელ ოთხ მატჩში წარმატებას მიაღწია.

### "არსენალი" მზადაა, გლებში შვიდი მილიონი გადაიხადოს

ლონდონის "არსენალის" ხელმძღვანელობა მზადაა, გერმანული "შტუტგარტის" ნახევარმცველში ალექსანდრ გლებში 7 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

ინგლისის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, თავად გლები ამ ზაფხულს გერმანიიდან წასვლას გეგმავს. ფეხბურთელს ევროპის ერთ-ერთ წამყვან გუნდში უნდა თამაში.

### ბლატერმა მოურინიო და რუნი გააკრიტიკა

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამხმელი უეინ რუნი და "ჩელსის" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო მიმდინარე სეზონზე შეუფერებელი საქციელის გამო გააკრიტიკა.

"მათ ვთხოვ, თავი ხელში აიყვანონ და ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნონ. ისინი ვარსკვლავები არიან, ამიტომაც პასუხი უნდა აგონ გულშემატკივრების წინაშე თავიანთ საქციელზე. რუნი მწვრთნელებმა უნდა დააწყნარონ. რაც შეეხება მოურინიოს, ის სკამზე თავს მშვიდად გრძნობს, აი, მატჩის შემდეგ კი ზედმეტებს ამბობს. "ლივერპულთან" მატჩის შემდეგ მან ბენიტესს მიულოცა, პრესკონფერენციაზე კი მსაჯები გააკრიტიკა. მან ღირსეულად უნდა მიიღოს არა მხოლოდ გამარჯვება, არამედ მარცხიც", - განაცხადა ბლატერმა.

### სუნესის შემცვლელად შირერს ასახელებენ

"ბიბისის" ცნობით, "ნიუკასლის" ხელმძღვანელმა ფრედი შეფერდმა განაცხადა, რომ მისი სურვილია, მთავარი მწვრთნელის პოსტზე გრემ სუნესი ალან შირერმა შეცვალოს.

"სუნესმა განაცხადა, რომ თავისი წასვლის შემდეგ სურს, მისი საქმე ალან შირერმა გააგრძელოს. ამ მოსაზრებას იზიარებენ გულშემატკივრები და მეც ეს მინდა", - განაცხადა შეფერდმა.

### მაკარტი მზადაა, "ჩელსიში" გადავიდეს

"პორტუს" ფეხბურთელი ბენ მაკარტი ამ ზაფხულს "ჩელსიში" გადასვლა აპირებს. ლონდონელთა მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო კარგად იცნობს ამ ფეხბურთელის შესაძლებლობებს. ისიც იცის, რომ მისი კონტრაქტის ერთ პუნქტში წერია: მაკარტის კლუბის დატოვება შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ მასში ექვს მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდიან.

### ჰიუზმა ისლამი მიიღო

ინგლისის პრემიერლიგის კლუბის "ვესტ-ბრომვიჩის" ყოფილმა თავდამსხმელმა ციხეში ყოფნისას რწმენა შეიცვალა - ისლამი მიიღო.

ჰიუზმა გადაწყვიტა, რომ უარი ეთქვა თავისი ადრინდელი ცხოვრების სტილზე, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ნარკოტიკები და ალკოჰოლი წარმოადგენდა.

შეგახსენებთ, რომ 29 წლის ფეხბურთელი მანქანას გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა და მან ადამიანი იმსხვერპლა.

ფეხბურთი

# 1981 წლის 13 მაისი - როცა ჩვენ ბედნიერები ვიყავით



*1981 წლის 13 მაისი - თბილისის "დინამო" დიუსელდორფის რაინშტადიონზე თასების მფლობელთა თასით ხელში.*

ლაშა გოდუაძე

...სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, რამდენი წლის ვიყავი - ასე, ცხრა-ათის. შინ ვთამაშობდი და მამაჩემის წიგნებში ვიქექებოდი. ძალიან მიყვარდა უფროსების წიგნების თვალიერება და მაშინაც ამ საქმით გახლდით გართული.

ფეხბურთზე ზოგადი წარმოდგენა მქონდა. მამას სტადიონზე დავყავდი და ვიცოდი, რომ ტაიმებს შორის ლატარია თამაშდებოდა. ისიც ვიცოდი, რომ "დინამო" ჩემი საყვარელი კლუბი უნდა ყოფილიყო, ამ გუნდის ფეხბურთელები კი, უბრალოდ, უნდა მყვარებოდა.

და რადგან რამდენიმე მოთამაშის სახელი გაგონილი მქონდა, თაროდან გადმოვარდნილმა წიგნმა, რომელზეც ახალგაზრდა კაცის სურათი იყო გამოსახული წარწერით "ვიტალი დარასელია", უმალ მიიპყრო ჩემი ყურადღება.

გადავათვალიერე. თბილისის "დინამოს" რამდენიმე გუნდური ფოტო იყო. უმალ მაკრატელი მოვიმარჯვე და სურათები ამოვჭერი. საქმიანობას რომ მოვრჩი, სულ ბოლოს წავიკითხე - ვიტალი დარასელიას გოლს "დინამოსთვის" რაღაც თასი მოუტანია.

როცა მომდევნო წიგნი გადმოვიღე თაროდან, რომელიც სწორედ ხსენებულ გამარჯვებას ეძღვნებოდა და რომელსაც "დიუსელდორფის რაინშტადიონზე" ერქვა, უსაზღვროდ გავიხარე. მაშინ იმ გამარჯვების მნიშვნელობა ზუსტად ისევე მქონდა გათვითცნობიერებული, როგორც ფეხბურთის არსი. სწორედ ამიტომ ის წიგნიც ჩემს მაკრატელს "ემსხვერპლა".

როცა გავიზარდე და დიუსელდორფში მოგებული თასის მნიშვნელობას მივხვდი, ვინანე, რომ ორი, მართლაც ისტორიული წიგნი შინ აღარ მქონდა. ნაცნობ-მეგობრებში კი დავეძებდი, მაგრამ ამ წიგნების პოვნის ყველა ცდა 90-იანი წლების დასაწყისის თბილისში ამაო გამოდგა.

...1993 წელს თბილისის "დინამო", რომელსაც იმ დროს უკვე ალალად ვქომაგობდი და რომელიც იმ დროისთვის ჩემი ყველაზე საყვარელი კლუბი იყო, ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაერთო. ჩრდილოირლანდიურ "ლინფილდთან" მატჩის წინ ტელევიზიით "ლივერპულთან", "ვესტ ჰემ იუნაიტედთან" (ლონდონში), "ფეიენოორდთან" და "კარლ ცაისთან" დინამოელთა ბრწყინვალე გამარჯვებები გვიჩვენეს. მაშინ კიდევ ერთხელ ვინანე ბავშვური ანცობის გამო.

დღეს, დიუსელდორფში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებიდან ოცდაოთხი წლის შემდეგ, ორივე წიგნი მაქვს, მაგრამ მათ დათვალიერებას ვერიდები. ვიცი, გადავშლი წიგნებს და გული სევდით ამევსება - დიდი "დინამო" აღარაა, ჩვენს შორის აღარ არიან ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, საუკუნის გამარჯვების სულისჩამდგმელი ნოდარ ახალკაცი...

ამ წიგნების თვალიერებისას ეჭვი მიპყრობს - ნუთუ ასე ძლიერნი ვიყავით, რომ ევროთასის მფლობელნი გავხდით? ახლა, როცა ბებერი კონტინენტის საფეხბურთო გრანდთა თამაშებს ვუყურებ, მეშინია კიდეც - ვფიქრობ, რომ ჩემი "დინამო" მთავარ ჯილდოებს არათუ მოიგებს, ვერასდროს მიუახლოვდება და თასთა თასი ერთადერთ საერთაშორისო გამარჯვებად დაგვრჩება.

რაოდენ ძნელი სათქმელიც უნდა იყოს, მგონია, რომ თანამედროვე ფეხბურთი ისე წინ გაგვექცა, მისი დაწევა ლამის ირეალური გახდა. მიჭირს ამაზე ფიქრი, მაგრამ სიმართლე ხშირად არაა ისეთი, როგორიც გვინდა რომ იყოს.

არადა, "დინამო" მართლაც ძალიან ძლიერი იყო! "დინამო" იყო ის გუნდი, რომელიც ევროგრანდებს ტოლ-სწორად ეთამაშებოდა, "ბაიერნსა" თუ "ბენფიკას" კუდით ქვას ასროლინებდა, "ლივერპულს" მიწასთან ასწორებდა, "ფეიენოორდს" გაანადგურებდა და ყველაფერ ამას დიდი გამარჯვებით - თასების მფლობელთა თასის მოგებით დააგვირგვინებდა!

ის, რაც 1981 წლის 13 მაისს თბილისელებმა დიუსელდორფის "რაინშტადიონზე" მოახერხეს, ბევრმა დიდმა კლუბმა ვერ შეძლო. თასების მფლობელთა თასი ისე ჩაბარდა ევროფეხბურთის წარსულს, მისი მოგება თვით მადრიდის "რეალმა" ვერ მოახერხა. აღარაფერს ვამბობ "ინტერზე", "ლივერპულზე", "ბენფიკასა" და სხვა სახელოვან კლუბებზე.

თბილისის "დინამომ" კი შეძლო. შეძლო იმიტომ, რომ ის "დინამო" ბრწყინვალე გუნდი იყო, დიდებული და მართლაც ევროპული დონის!

ჩვენი ფეხბურთელებიც ვარსკვლავები იყვნენ ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით - ალექსანდრე ჩივაძეს, დავით ყიფიანს, რამაზ შენგელიას, თენგიზ სულაქველიძეს, ვლადიმერ გუცაევს, ვიტალი დარასელიას და სხვა დიდებულ მოთამაშეებს სიამოვნებით გადაიბირებდნენ იგივე "რეალი" თუ "ბაიერნი", "ბარსელონა" თუ "ლივერპული". მაგრამ სხვა დრო იყო - ბნელი და ჩაკეტილი.

1981 წლის 13 მაისს ჩვენმა "დინამომ" შეუძლებელი შეძლო - თასების მფლობელთა თასის მოგებით ჩვენი ფეხბურთელები სამუდამოდ შევიდნენ არა მარტო ქართული, ზოგადად, ფეხბურთის ისტორიაში.

თუ 1964 წელს "დინამომ" პირველად დაიპყრო საბჭოთა ფეხბურთის ოლიმპი, 1981 წელს გუნდმა ევროპული მწვერვალი დალაშქრა. მსგავსი წარმატებით საბჭოთა ფეხბურთის ფლაგმანები მოსკოვის "სპარტაკი" თუ "დინამო" ვერ დაიკვეხნიდნენ. ეს ფაქტი ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იყო!

სხვათა შორის, ევროთასების ისტორიაში "დინამო" დღემდე ყველაზე აღმოსავლური გუნდია, ვისაც კი ოდესმე მოუგია თუნდაც ერთი ჯილდო. ესეც მეორე სასიამოვნო ფაქტი!

...1980 წლის 5 ნოემბერს თბილისის "დინამომ" თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალში ადვილად დაამარცხა ირლანდიური "უოტერფორდი" 4:0 და მეოთხედფინალში გავიდა. კენჭისყრამ დინამოელებს სახელგანთქმული ინგლისური კლუბი "ვესტ ჰემ იუნაიტედი" არგუნა მეტოქედ. თბილისელებს სერიოზული გამოცდა უნდა ჩაებარებინათ.

ლონდონის "აპტონ პარკზე" დინამოელთა თამაშმა ფეხბურთის ყველა გულშემატკივარი აღაფრთოვანა - თბილისელები შეუდარებელნი იყვნენ, მოწინააღმდეგეს სჯობნიდნენ და გოლი გოლზე გაჰქონდათ.

დაუვიწყარია საშა ჩივაძის შემართება, დათო ყიფიანის საოცარი პასები...

"დინამომ" 4:1 მოიგო და არა მარტო ნახევარფინალში გასვლაზე განაცხადა პრეტენზია, თასთა თასსაც სერიოზულად შეუტია.

ინგლისელთა შემდეგ იყო როტერდამის "ფეიენოორდი", არანაკლებ სახელგანთქმული და ამბიციური ჰოლანდიური კლუბი.

1981 წლის 8 აპრილს თბილისში "დინამომ" მეტოქეს 3:0 სძლია - თენგიზ სულაქველიძის შეჩერება ჰოლანდიელებმა ვერ შეძლეს. მიუხედავად იმისა, რომ საპასუხო შეხვედრაში მეტოქე ყველანაირად ეცადა "დინამოს" ძლევას, თუნდაც ავსტრიელი მსაჯის დახმარებით, დიუსელდორფში თამაშის უფლება მაინც "დინამომ" მოიპოვა.

ეს უკვე წარმატება იყო!

მაგრამ ჩვენ გაცილებით დიდი სიხარული გველოდა - 1981 წლის 13 მაისის ღამე!

გახსოვთ ის ღამე?

წუთი წუთს მისდევს, დრო გადის და ფინალიც ახლოვდება...

მეგობრებთან იკრიბებით ან ისინი მოდიან თქვენთან...

ქუჩაში მოძრაობა კლებულობს, ნერვიულობა კი, პირიქით - მატულობს...

ვერც კი ამჩნევთ, რომ ყველაფერი დავიწყებას ეძლევა, გარდა ერთისა - დღეს ფინალია, თასთა თასის ფინალი!

აივანზე გადიხართ და სიგარეტს აბოლებთ, ბოლთას სცემთ...

სავარძელში მოკალათებული, ტელეეკრანს თვალს არ აშორებთ და დინამოელების დანახვაზე გრძნობთ, რომ გულისცემა ძალიან მატულობს...

თვალებს ხუჭავთ და ნატრობთ, რომ ეს სასიამოვნო ტანჯვა მალე დამთავრდეს, ოღონდ დამთავრდეს ისე, როგორც თქვენ გინდათ, როგორც უნდა მამას, დედას, შვილს, მეზობელს, მეგობარს, თანამშრომელს, უბნელს, ყველას, ვისაც ქართველი ჰქვია და ვინც გულშემატკივრობს "დინამოს"...

გაისმის იტალიელი მსაჯის რიკარდო ლატანცის სასტვენის ხმა და ბრძოლა იწყება:

"დინამო" თუ "კარლ ცაისი"?

ჩვენ თუ ისინი?

კოტე მახარაძე აუღელვებლად, დინჯად საუბრობს, მეტოქეთა შემადგენლობას ჩვეული არტისტიზმით გვამცნობს...

არა, ოღონდ ეს არა - უსიამოვნო ფიქრებს უკუაგდებთ და რჩებით თქვენ, ტელეეკრანი და თამაში, რომელიც თავისთავად ხდება ისტორიის კუთვნილება...

"დინამომ" უნდა მოიგოს! ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ! სხვანაირად არ შეიძლება - ეს გამარჯვება ჩვენ უფრო გვჭირდება, ვიდრე გერმანელებს...

პირველი ტაიმი უგოლოდ მთავრდება...

კვლავ აივანი, დაცარიელებული ეზო თუ ქუჩა და ვინ იცის, მერამდენე სიგარეტი...

მეზობელიც შეფიქრიანებულია, თვალებით უგებთ ერთმანეთს...

თბილისი დუმს...

თხუთმეტი წუთი სწრაფად გარბის და ისევ თავიდან იწყება ყველაფერი - ნერვიულობა და სიგარეტი, სიგარეტი, სიგარეტი...

63-ე წუთზე ოთარ გაბელიას კარში გოლი გადის - "კარლ ცაისის" შეტევა ზუსტი დარტყმით მთავრდება. ჩვენებს ჰოპე სჯის - 0:1...

ოთხ წუთში ვოვა გუცაევი რამაზ შენგელიას გარჯას უფასებს - უძლიერესი დარტყმა და 1:1!

საქართველოში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ყველგან, სადაც ქართველია, ათასობით ფანჯარა იღება და ქუჩებში ქომაგთა გულებში დაგუბებული ემოცია იღვრება:

გოოოოოოოოოოოლ!

გული მკერდიდან ამოვარდნას ლამობს!

"დინამოს" უპირატესობა მატულობს, ჩვენები იენელებს აწვებიან...

დრო იწურება, ანგარიში კი 1:1-ია...

და მაშინ, როცა დამატებით დროზე დავფიქრდით, დათომ ბურთი ვიტალის გადააწოდა, დარასელია ერთს გასცდა, მეორეც მოატყუა და დაარტყა...

გოლია! გესმით, გოლია! ჩვენ გავიტანეთ!

ისევ აივსო ქუჩები ემოციით, ისევ გაივსო გულები სიყვარულით!

ჩვენ ვტირით, ვიცინით, ვხტით, ვყვირით, ვღრიალებთ, გვინდა, ბოლომდე დავიცალოთ ემოციისგან, მაგრამ ის უსაზღვროა და ულევი...

თბილისი ფეთქდება და სიჩუმეს ნთქავს...

სამ წუთში ლატანცი თამაშს... თუმცა, რა თამაშს? ეს ხომ ფინალია, ეს ხომ ოქროს, საუკუნის მატჩია!

მსაჯი საუკუნის მატჩს ამთავრებს: 2:1 და თასების მფლობელთა თასი ჩვენია!

გაბიტაშვილი და მოპარული ბურთი...

ხიზანიშვილის ჰაეროვანი კოცნა...

ემოციისგან დაცლილი ფარსადანოვიჩი...

ზღვა ემოცია, ზღვა სიხარული...

ცრემლები, ცრემლები, ცრემლები...

ზეიმი თბილისში და გათენებული 14 მაისის ღამე...

გადაჭედილი აეროპორტი და "სალამი ლომკაცებს"...

ოთარი, თამაზი, საშა, ნოდარი, გია, ვიტალი, ზაური, ნუკრი, თენგიზი, ვოვა, დათო, რამაზი, შოთა, ვაჟა, გიორგი, დათო, გია, რევაზი, ვახტანგი, კონსტანტინე, გურამი...

და, რა თქმა უნდა, ნოდარ ახალკაცი!

ჩვენ ბედნიერები ვიყავით!

ჩვენ ბედნიერები უნდა ვიყოთ!

ინფოთეკა

### ბაროში "ლივერპულში" ყოფნით უკმაყოფილოა

ჩეხმა თავდამსხმელმა მილან ბაროშმა აღიარა, რომ უკმაყოფილოა იმ დროით, რასაც სათამაშო მოედანზე ატარებს. თუმცა, ამავე დროს, ევრო 2004-ის საუკეთესო თავდამსხმელი უარყოფს, რომ გუნდის მთავარ მწვრთნელთან რაფაელ ბენიტესთან უსიამოვნება აქვს.

"სიმართლეს არ შეესაბამება ის ფაქტი, რომ ბენიტესთან კონფლიქტი მაქვს. თუმცა, არ უარვყოფ: ნამდვილად უკმაყოფილო ვარ. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ფორმაში ვარ, უმეტეს დროს მოედანს მიღმა, სათადარიგო სკამზე ვატარებ. ხანდახან ბენიტესს მაშინ გავყავარ შეცვლაზე, როცა ენერგია ბოლომდე აღდგენილი არ მაქვს. მუდმივად თამაში მინდა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებ დავიხვეწო, როგორც ფეხბურთელი", - განაცხადა ბარომშა Pravo-სთან ინტერვიუში.

ბაროში არ გამორიცხავს კლუბიდან წასვლის შესაძლებლობას. თუმცა, იმასაც ამბობს, რომ არავითარ შემთხვევაში დაბალი დონის კლუბში არ გადავა.

"ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, რომ "ლივერპულიდან" წავალ", - ამბობს ფეხბურთელი.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

### პარასკევი. 13 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 ლიბერტადორესის თასი. "პალმეირასი" (ბრაზილია) - "სერო პორტენო" (პარაგვაი)
14:05 უკრაინის ჩემპიონატი. "ზაკარპატიე" - "შახტარი"
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 "ფეხბურთი ჭრილში"
16:35 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
17:05 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:05 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
18:35 "FUTBOL MUNDIAL"
19:05 უეფას თასი. ნახევარფინალური მატჩების მიმოხილვა
19:35 თავისუფალი დარტყმა
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 რუსეთის თასი. ნახევარფინალი. "ზენიტი" - ცსკა. პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:50 "საფეხბურთო კლუბი"
22:35 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "დინა"
23:50 ლიბერტადორესის თასი. "პალმეირასი" (ბრაზილია) - "სერო პორტენო" (პარაგვაი)
01:45 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:10 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:30 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში
13:15 პროგრამა. "მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ექო"
13:45 "მოტოვებული კვირა"
14:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
15:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
15:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
16:15 როდეო. "Bull Riders"
17:00 ტაილანდური კრივი
17:55 სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი ევროპულ სეკვეიუში და რუსეთის დიდი პრიზი ევროპული პროგრამით
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 მძლეოსნობა. დიდი პრიზი ყატარში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:45 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
23:30 კარატე. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში. პირადი პირველობა კატასა და კუმიტეში. ფინალები
00:20 ახალი ამბები
00:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
01:15 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში. მეოთხედფინალი

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსზე
11:00 ბადმინტონი. საერთაშორისო ასპარეზობა ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 ველორბოლა - იტალიის ტური
17:00 ველორბოლა - იტალიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში. მეოთხედფინალი
21:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
21:30 ფიტნესი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში
22:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსზე
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 თავგადასავალი. LFX
02:00 ახალი ამბები
02:15 მსოფლიოს უძლიერესი ადამიანები. ფინეთი
03:15 ახალი ამბები

ჩოგბურთი

# წყალს ჩოგბურთი ჩამოჰქონდა



აგასიმ და ფედერერმა თებერვალში არაბეთის კოშკზე ითამაშეს, ახლა კი ფედერერი ჰაასს მდინარე ელბაზე შეხვდა

გიგა გურასაშვილი

*ჰამბურგში მიმდინარე ორმილიონიიანი მასტერსის სერიათა ტურნირი იქით იყოს და, მისმა მონაწილეებმა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა და გერმანელმა ტომი ჰაასმა მასტერსის კორტებს მიღმა ერთობ უჩვეულო სანახაობა შესთავაზეს როგორც ჩოგბურთის მოყვარულებს, ისე ქალაქის მცხოვრებლებს - მათ მოცურავე კორტზე გააჩაღეს ჩოგბურთი. ბარჟაზე ჩაბმული ტივტივა კორტი კი მდინარე ელბას მიუყვებოდა. საგულისხმოა, რომ ელბაზე ჩოგბურთის თამაში ჰამბურგის ყურის 816 წლისთავს დაემთხვა.*

ძლიერი ქარისა და ღელვის მიუხედავად, ჩოგბურთელები დაახლოებით 20 წუთს თამაშობდნენ. ამბობენ, 30-მეტრიან ტივზე გაშლილ კორტზე მიმდინარე უჩვეულო მატჩს ელბის ნაპირებიდან 15 ათასი ცნობისმოყვარე ადევნებდა თვალსო.

"მხიარული მატჩი გამოგვივიდა. ტომისთან თამაშით დიდი სიამოვნება მივიღე, - შთაბეჭდილებებს გვიზიარებს როჟე ფედერერი. - ვგრძნობდით ტალღებს, კორტი კი ფეხქვეშ ერთთავად ტორტმანებდა. ქარიც იყო. მიუხედავად ამისა, საყურებლად 15 ათასამდე ადამიანი მოვიდა. სრული ფანტასტიკა იყო".

თავის მხრივ, ტომი ჰაასმა დასძინა, რომ ასეთ ექსტრემალურ პირობებში პირველად მოუხდა თამაში: "იმედი მაქვს, რომ ბოლო არ იქნება, რადგან ნამდვილად კარგი რამ გამოვიდა".

ჰაასისგან განსხვავებით, ფედერერისთვის უჩვეულო პირობებში თამაში უცხო არ იყო. თებერვლის ბოლოს შვეიცარიელმა არაბეთის გაერთიანებული სახალიფოს ერთ-ერთი სასტუმროს თავზე განთავსებულ შვეულმფრენის მოედანზე მინიტურნირი ითამაშა ამერიკელ ანდრე აგასისთან.

ფედერერისა და აგასის მაშინდელი დაპირისპირება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ეს ამხანაგური მატჩი დუბაის ძვირფასი სასტუმროს "ბურჯ ალ-არაბის" (Burj Al Arab, იგივე არაბეთის კოშკი) კენწეროზე ჩატარდა. კენწერო კი 320 მეტრ სიმაღლეა.

"კოშკურის კენწეროდან ფანტასტიკური ხედი იშლება, - თქვა მაშინ ფედერერმა. - როდესაც იქ თამაში მთხოვეს, ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასე მოვიხიბლებოდი. ბევრჯერ ვყოფილვარ დუბაიში, სასტუმრო "ბურჯ ალ-არაბშიც" არაერთხელ გავჩერებულვარ და კმაყოფილიც დავრჩენილვარ, მაგრამ ანდრესთან თამაში და იმ სიმაღლიდან დუბაის ხედებით ტკბობა უმშვენიერესი რამ იყო".

სასტუმროს საშვეულმფრენო მოედნის საერთო ფართობი 415 კვადრატული მეტრია, რომელიც სასტუმროს მეპატრონეებმა უჩვეულო თამაშისთვის საგანგებოდ გადააწყვეს.

სასტუმრო "ბურჯ ალ-არაბი" დუბაის სანაპიროს სიახლოვეს, ხელოვნურ კუნძულზეა აგებული.

კრივი

# ანულირებული 12 რაუნდი

## ჯეიმს ტონი ტიტულს რინგს მიღმა კარგავს

გიგა გურასაშვილი

ძნელია და უსიამოვნოც, როდესაც 12 რაუნდი ყბებში გიბაგუნებენ და მერე გეუბნებიან, სულ ტყულიად გაისარჯეო. მით უმეტეს, თუ ჩხუბიდან გამარჯვებული გამოდიხარ და კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) უმთავრესი ქამრით წელს გიმშვენებენ, თანაც, მძიმე წონაში. მაგრამ ნათქვამია, კანონი მკაცრია, მაგრამ კანონიაო - Dura Lex Sed Lex! 30 აპრილს "მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე ჯეიმს ტონიმ იმჟამად ასოციაციის ჩემპიონს ჯონ რუისს სამივე მსაჯთა დათვლით სძლია და ტიტულიც აართვა. მოგვიანებით ამ მატჩმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, ახლად გამომცხვარ ჩემპიონს ქამარი ჩამოართვან. მიზეზს დოპინგთან მივყავართ.



ჯეიმს ტონის რუისთან მოპოვებულ ქამარს ართმევენ

ჯონ რუისმა ჯეიმს ტონისთან მძიმეწონოსანთა ეშელონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტიტული დაკარგა, თუმცა, ეს ტიტული, ალბათ, ისევ მის საკუთრებაში გადავა.

ნიუ იორკის ათლეტთა კომისიამ, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა, კრივის მსოფლიო ასოციაციის საჩემპიონო რანგის მქონე ორთაბრძოლის შედეგები გააუქმოს. უფრო სწორად, ჯონ რუისსა და ჯეიმს ტონის დაპირისპირება არშემდგარი (no contest) ჩხუბის რანგში აიყვანოს. მიზეზი ტონის ანალიზებში აღმოჩენილი აკრძალული პრეპარატია. რუისთან ბრძოლის შემდეგ ტონისგან აღებულმა დოპინგ-სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა. ახალი ჩემპიონის ორგანიზმი ანაბოლიკური სტეროიდით ნანდროლონით გაჟღენთილი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, ნიუ იორკის ათლეტთა კომისია იძულებული გახდა, 30 აპრილის ორთაბრძოლის შედეგები გაეუქმებინა. გარდა ამისა, ტონის 10-ათასდოლარიანი ჯარიმა გამოუწერეს და სამით თვით აუკრძალეს რინგზე ასვლა. ამჟამად საუბარია იმაზე, რომ ასოციაციის ჩემპიონს ტიტულიც ჩამოართვან. რა თქმა უნდა, ბრალდებული უარყოფს სტეროიდის გამოყენების შესაძლებლობას და აცხადებს, რომ ნანდროლონზე დაფიქსირებული დადებითი შედეგი, ალბათ, იმ წამალთანაა დაკავშირებული, რომელსაც შარშანდელი ორი ტრავმის გამო ვიღებდიო.

წყალშეყენებული ჩემპიონის იურიდიული წარმომადგენლის ნიკოლას კანის განცხადებით, მომხდარი გაუგებრობის ბრალია ან შემთხვევით მიღებული წამლისო.

ჯონ რუისის წარმომადგენლების მიერ ხუთშაბათს გავრცელებული პრესრელიზის ცნობით, მათი ბანაკი ახლა კრივის მსოფლიო ასოციაციის მხრიდან ელის ტონის დისკვალიფიკაციის და, შესაბამისად, რუისისთვის საჩემპიონო სტატუსის ავტომატურად აღდგენის გადაწყვეტილებას.

საქმე ისაა, რომ არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც პრეტენდენტის დოპინგზე ტესტირებისას დაფიქსირებული დადებითი შედეგის შემთხვევაში მას ერთმევა მოპოვებული ტიტული, ხოლო ქამარი უბრუნდება ჩემპიონს.

"ველოდებით, თუ როდის აამოქმედებს WBA შესაბამის კანონს, - აცხადებს რუისის ადვიკატი ტონი კარდინალე. - ამ შემთხვევაში ყველაფერი გარკვეულია. მოხარულნი ვართ, რომ სიმართლე გამჟღავნდა და რუისს არ დაუკარგავს ტიტული".

არადა, ტონისთან მარცხის შემდეგ ჟურნალისტებზე გაგულისებულმა რუისმა თქვა, კრივიდან წავედიო.


სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა__________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" უქმნის ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, ვაჟბი სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

# "ფერარი F430 სპაიდერი" - მარანელოელთა კიდევ ერთი შედევრი

იტალიურმა კომპანია "ფერარიმ" თავისი ახალი კუპე, ფორმულა ერთის ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი "ფერარი F430" პირველად შარშან, პარიზის ავტოსალონზე უჩვენა საავტომობილო სამყაროს და მაშინვე გამოაცხადა, რომ ცოტა ხანში ამ ავტომობილის ღია ვარიანტსაც დაამზადებდა.

ტრადიციულად, მარანელოელები თავიანთი უცვლელი პარტნიორის, დიზაინ-ატელიე "პინინფარინას" დახმარებით, უზადო გარეგნობის ავტომობილებს ქმნიან და ეს განსაკუთრებით ღია ავტომობილებს - სპაიდერებსა და როდსტერებს ეხება. როცა პარიზში "ფერარი F430-ის" დებიუტი შედგა, მაშინ ბევრმა სპეციალისტმა აღიარა, რომ ასეთი ლამაზი ავტომობილი იშვიათად თუ უნახავს. თითქოს, ამაზე უკეთესის შექმნა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ვარაუდი ჟენევის ავტოსალონზე მას შემდეგ დაიმსხვრა, რაც მარანელოელებმა თავიანთი ახალი შედევრი, "ფერარი F430 სპაიდერი" გამოამზეურეს.





კომპანიის ახალი სამარკეტინგო პოლიტიკის შესაბამისად, "ფერარის" პროდუქციის გასაღების მთავარი ბაზარი აშშ-ია, მაგრამ ჟენევაში წარმოდგენილი სპაიდერის ტირაჟის დიდი ნაწილი პირველ რიგში, ძველი კონტინენტის მყიდველისთვისაა განკუთვნილი, რომლებსაც მისი შეძენა ჯიბეს 200 ათასი დოლარით შეუმსუბუქებს.

გარეგნულად მაინც ისე ჩანს, რომ ეს ღია ავტომობილი კუპეს ევოლუციური ვარიანტია. თუმცა, "ფერარის" მესვეურები ჟენევაში ყველას არწმუნებდნენ, ამ ავტომობილში იმდენი სიახლეა შეტანილი (როგორც მექანიკური, ისე სტილისტური), რომ მას ფაქტობრივად არაფერი აქვს საერთო კუპე F430-თანო.

საერთო როგორ არ აქვს - მის პლატფორმაზეა ბაზირებული, თუმცა ის ძირეულად მოდერნიზებულია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თავმოხდილ ავტომობილებში შასი და ძარა შესამჩნევ გაძლიერებას საჭიროებს. გარდა ამისა, სერიოზული ცვლილება განიცადა ავტომობილის დიზაინმაც, რომლის სრულყოფისთვისაც, "F430 სპაიდერის" 1:1 მასშტაბის მოდელი მრავალი საათის განმავლობაში გადიოდა გამოცდას აეროდინამიკურ გვირაბში.

კუპესთან შედარებით, სპაიდერს უფრო მცირე ზომის მაშუქები აქვს. სამაგიეროდ, საგრძნობლად გაიზარდა წინა ბამპერის ქვეშ ამოჭრილი, ოვალური ფორმის მქონე ჰაერის ამღებები, რომლებიც ძრავის გაგრილების სისტემისთვის "აგროვებენ" ჰაერს, რომელიც იქვე, წინა საბურავების წინ ტოვებს ავტომობილის სტრუქტურას. ჰაერის ნაკადის ამ ტრაექტორიით მოძრაობა ავტომობილის გარსშემოდენილობას და აქედან გამომდინარე, აეროდინამიკურ ეფექტურობას აუმჯობესებს.

სპაიდერის დიზაინის გვერდითა ნაწილში ყურადღებას იქცევს ძარაში დატანებული, ძრავის კვების სისტემისა და უკანა მუხრუჭების გაგრილების სისტემის ჰაერის ამღებები. სურათს აგვირგვინებს ათმანიანი (ათსპიციანი), 19-დუიმანი ბორბლები, რომლებზეც ჩაცმულია იტალიური კომპანია "პირელის" წარმოების სპორტული საბურავები "Pძერო როსო".

უკანა ნაწილში ყველაფერი თითქმის ისევეა, როგორც კუპეში - მრგვალი, განცალკევებული სტოპ და გაბარიტული მაშუქები, სპოილერის ფორმის ამობურცული ელემენტი, დიდი დიფუზორი, რომელიც, როგორც მწარმოებელი ირწმუნება, საგრძნობლად აუმჯობესებს ავტომობილის აეროდინამიკურ მონაცემებს და უკანა თვლების დინამიკურ დატვირთვას. დიფუზორში დატანებულია მცირე ზომის ჰაერგამტარი, რომელიც ძრავს გახურებულ ჰაერს არიდებს.

სამაგიეროდ, სპაიდერს კუპესგან რადიკალურად განსხვავებული კაპოტი აქვს. ამჯერადაც ის შუშითაა დაფარული, მაგრამ თუ კუპეში შუშა უკანა საქარე მინის დანიშნულებას ასრულებს და ერთგვარი აეროდინამიკური ელემენტია, სპაიდერში ის უბრალოდ, ძრავის იზოლირებისთვის გამოიყენება. ოღონდ, მის დანიშნულებაში არ შედის ავტომობილის მთავარი აგრეგატის დაფარვა - ფერარისეული ესთეტიკა ხომ ძრავის "გაშიშვლებას" ითვალისწინებს და ეს უკვე ერთგვარ ტრადიციადაც იქცა. ჰოდა, "F430 სპაიდერი" ამ ტრადიციის გამგრძელებელია. გამჭვირვალე კაპოტის ირგვლივ, ძრავის უკეთესი ვენტილაციისთვის, "სასუნთქი ლაყუჩებია" დატანილი.

ისევე როგორც "ფერარი 360 სპაიდერს", "F430 სპაიდერსაც" რბილი სახურავი აქვს, რომელიც მძღოლის შესაბამისი მითითების შემდეგ, ოც წამში ღია ავტომობილს კუპედ გადააქცევს. ოღონდ, რეალური კუპესგან განსხვავებით, დახურულ სპაიდერს მეტად გრძელი კაპოტი და მოკლე სალონი აქვს, რაც მას კიდევ უფრო სპორტულ და აგრესიულ გარეგნობას ანიჭებს.

როცა ავტომობილი დახურულია, მას უკანა, ვერტიკალური შუშაც უჩნდება, რომელსაც ორივე მხრიდან, საკმაოდ წაგრძელებული ფსევდო-საყრდენები ფარავს. სხვათა შორის, ამ საყრდენების წაგრძელებული ფორმა როგორც მარანელოელთათვის დამახასიათებელი ესთეტიკისთვის, ისე აეროდინამიკური მოთხოვნებისთვის გადახდილი ხარკია.

"F430 სპაიდერი" უფრო გრძელია "360 სპაიდერზე" და მათ სიგრძეებს შორის განსხვავებას ძირითადად ახალი ავტომობილის უკანა ნაწილი განაპირობებს. ეს დაგრძელებაც პირველ რიგში, უკეთესი აეროდინამიკურობის მისაღწევად მოხდა და როგორც "ფერარი" აცხადებს, ამ პარამეტრის გაუმჯობესება დადებითად აისახა ავტომობილის უკანა ნაწილის მდგრადობაზე მაღალი სიჩქარით მოძრაობისას. საბოლოო ჯამში, ზომის ზრდას და ძარის საჭირო სიხისტის უზრუნველყოფას ავტომობილის საგრძნობი დამძიმებაც მოჰყვა - თუ კუპე 1518 კილოგრამს იწონის, სპაიდერის წონა მასთან შედარებით 68 კილოთი გაიზარდა.

სამაგიეროდ, სპაიდერშიც ის აგრეგატები გამოიყენება, რომლებიც კუპეს შესანიშნავ მახასიათებლებს უზრუნველყოფს. ავტომობილის ბაზაში, მძღოლის სავარძლის უკან მოთავსებულია 4.3-ლიტრიანი, V8 კონფიგურაციის ძრავი, რომელიც 483 ცხენის ძალას გამოიმუშავებს. მისი მეშვეობით, ავტომობილი ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას 4.1 წამში ასწრებს, ეს კი 0.5 წამით ნაკლებია "360 სპაიდერის" შესაბამის მაჩვენებელზე. რაც შეეხება მაქსიმალურ სიჩქარეს, ის 312 კმ/სთ-ს შეადგენს, რაც დაახლოებით 20 კმ/სთ-ით მეტია "360 სპაიდერისაზე".

ძრავთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი, მექანიკური გადაცემათა კოლოფი, რომელსაც სტანდარტულ ეკიპირებაში, საფეხურების შესაცვლელად ჩვეულებრივი ბერკეტი აქვს, მაგრამ შეკვეთით შესაძლებელია იმ სტილის გადასართავი მოწყობილობის დაყენება, როგორებიც ფორმულა ერთის ბოლიდებში გამოიყენება.

დაკიდების სისტემა ახალ ავტომობილში წინამორბედ "360 სპაიდერიდან", მოდერნიზებული სახით გადმოვიდა. საკიდარი შედგება ორკაპა ჩანგლის ფორმის გიტარებისგან. რხევების ჩამქრობად გამოიყენება ცვალებადი სიხისტის მქონე დრეკადი ელემენტები, რომლებსაც ბორბლიდან რხევებს ბერკეტები გადასცემენ (ესეც ფორმულა ერთში გავრცელებული მექანიზმია). ისევე როგორც ფორმულა ერთის ბოლიდებში, აქაც დიფერენციალი აღჭურვილია სპეციალური ელექტრომოწყობილობით, რომელიც ყველა შესაძლო სიტუაციაში, წამყვან (უკანა) თვლებს შორის მაბრუნ მომენტს კონკრეტული მომენტისთვის იდეალური თანაფარდობით ანაწილებს.

# "ბეიბი ასტონი" "პორშეს" კონკურენტი ხდება

იყო დრო, როცა სპორტული ავტომობილების მწარმოებელი ინგლისური კომპანია "ასტონ მარტინი" წლის განმავალობაში ასი ავტომობილის გაყიდვასაც ვერ ახერხებდა. თუმცა, ყოველი მათგანისთვის მყიდველს თვეობით უწევდა რიგში ყოფნა და სოლიდურ თანხასაც იხდიდა.

დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, კომპანია "ფორდის" საკუთრება გახდა, რასაც წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოება მოჰყვა, თუმცა ამის მიუხედავად, წლიურად გამოშვებული "ასტონების" რაოდენობა მაინც ვერ მისწვდა ათასს. აქამდე კომპანიის სამოდელო რიგში სულ ორი მოდელი ირიცხებოდა, ჟენევის წლევანდელი ავტოსალონის შემდეგ კი მათი რაოდენობა სამამდე გაიზარდა.







ჟენევაში საავტომობილო სამყაროს წინაშე პირველად წარსდგა წარმოებისთვის მომზადებული სრულიად ახალი ავტომობილი, რომელსაც შექმნის პროცესში ხშირად "ბეიბი ასტონადაც" მოიხსენიებდნენ - ორადგილიანი "ასტონ მარტინ V8 ვენტიჯი" ის ავტომობილია, რომლითაც ინგლისური კომპანია "პორშესთვის" კონკურენციის გაწევას აპირებს. არა, მასავით წლიურად რამდენიმე ათეული ათასი ავტომობილის წარმოება ჯერ არავის უფიქრია. უბრალოდ, "ფორდის" მარკეტოლოგები იმედოვნებენ, რომ ახალი ავტომობილი პირველ ხანებში დიდი რაოდენობით მყიდველს წაართმევს "პორშე 911-ს", შემდეგ კი წარმოების გაფართოების ჯერიც დადგება...

"ამ ავტომობილს ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ კომპანიის წინსვლის საქმეში. ეს სულ მესამე მოდელია ჩვენს საწარმოო პროგრამაში. უფრო მეტიც, "V8 ვენტიჯი" კულმინაციაა "ასტონ მარტინის" მარკის მსოფლიო მარკად გადაქცევის პროცესში, რომელმაც სტარტი 2000 წელს აიღო და რომლის პირველი ფაზა სწორედ ამ ავტომობილის გამოშვებით მთავრდება", - განაცხადა ჟენევის ავტოსალონზე მოწყობილ საპრეზენტაციო პრესკონფერენციაზე კომპანიის აღმასრულებელმა, დოქტორმა ულრიხ ბეცმა, ვინც ადრე სწორედ "პორშეს" მაღალჩინოსანი მენეჯერი იყო.

"V8 ვენტიჯი" ორადგლიანი ავტომობილია, რომელიც ამიერიდან კომპანიის ორი სხვა მოდელის, ფლაგმან "ვენქვიშისა" და DB9-ს გვერდით დაიკავებს ადგილს. "V8 ვენტიჯი" "ასტონ მარტინის" ისტორიაში ყველაზე პატარა და იმავდროულად, მყიდველისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი ავტომობილია.

"V8 ვენტიჯი" არის ორადგილიანი ავტომობილი წინ, ბაზაში განლაგებული ძრავით და უკანა წამყვანი ბორბლებით. მის დიზაინი შესრულებულია "ასტონ მარტინისეულ" სტილში, რაც პირველ რიგში, გრძელ კაპოტსა და გარსშემოდენილ ფორმაში აისახება.

ისევე როგორც პირველი ორი მოდელი, "V8 ვენტიჯსაც" ალუმინისგან დამზადებული ძარა აქვს. გარდა ამისა, მისი პლატფორმის წარმოებისას დიდი რაოდენობით სხვა მსუბუქი მასალა, მეტწილად კომპოზიციური მასალები გამოიყენება. რაც მთავარია, ჯერჯერობით ყველა ასტონი კვლავ ხელით მზადდება, თუმცა გამორიცხული არაა, რომ მალე ეს კომპანიაც წარმოების კონვეიერულ რეჟიმზე გადავიდეს.

ამ ავტომობილზე რომ კომპანიის ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მას უმკაცრს პირობებში მოუხდა ტესტების გავლა. სულ სატესტო პროგრამისთვის დამზადდა 78 საცდელი პროტოტიპი, რომლებმაც საერთო ჯამში მილიონ მილზე მეტი გაიარეს. ამ მილიონიდან 12000 მილი ავტომობილმა ემირატების უდაბნოში გაიარა, სადაც ჰაერის ტემპერატურა ხშირად 48 გრადუსს აღწევდა, ტესტების დროს კი ავტომობილის ძარა 87 გრადუსამდეც კი ხურდებოდა.

მაღალ სიჩქარეზე ტესტები იტალიის ავტოდრომ "ნარდოზე" ტარდებოდა, ინტენსიური ტესტირებისთვის კი კომპანიამ გერმანული "ნურბურგრინგის" დიდი მარყუჟი გამოიყენა. თუ მაღალ ტემპერატურებზე ტესტირებისთვის ემირატები იქნა არჩეული, დაბალ ტემპერატურებზე ავტომობილის გამოცდები შვედეთში ტარდებოდა, სადაც ჰაერის ტემპერატურა ხშირად მინუს 30 გრადუსი იყო.

"V8 ვენტიჯის" კაპოტქვეშ განლაგებულია კომპანიის სამოდელო გამისთვის სრულიად ახალი, ალუმინის ბლოკის მქონე V8 კონფიგურაციის ძრავი, რომელიც ანალოგიური კონფიგურაციის "იაგუარის" აგრეგატის მოდერნიზებული ვარიანტია. მისი მუშა მოცულობა 4.3 ლიტრია, სიმძლავრე კი მხოლოდ (მხოლოდ - ასტონ მარტინისთვის) 380 ცხენის ძალაა. ეს სიმძლავრე მაშინ მიიღწევა, როცა მუხლა ლილვის ბრუნთა რიცხვი წუთში 7000-ს აღწევს.

აგრეგატი ავტომობილის წინა ნაწილში, თუმცაღა, კლასიკური შეთანწყობისგან განსხვავებით, მაინც ბაზაშია განლაგებული, რაც თვლებს შორის მასის თითქმის იდეალურ განაწილებას (49:51) განაპირობებს. გარდა ამისა, აგრეგატების მაქსიმალურად დაბლა განთავსებით, შესაძლებელი გახდა სიმძიმის ცენტრის დაბლა დაწევა. ყველაფერი ეს კი ავტომობილის შესანიშნავ მანევრულობასა და მართვადობას უზრნველყოფს.

ძრავთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი, მექანიკური გადაცემათა კოლოფი, რომელიც გრაფიტის კომპოზიტისგან დამზადებული კარდანის ლილვის მეშვეობით, მაბრუნ მომენტს უკანა ბორბლებს გადასცემს. მწარმოებელი აცხადებს, რომ ავტომობილი ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას 4.9 წამს ანდომებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი დაახლოებით 284 კმ/სთ-ია.

"V8 ვენტიჯის" წარმოება მოხდება ბრიტანეთის უორვიკშირის საგრაფოს ქალაქ გეიდონში, სადაც "ასტონ მარტნის" მთავარი ოფისიც მდებარეობს. მისი სავარაუდო ღირებულება 100 ათასი ევროს ფარგლებში იქნება. გაყიდვები ევროპაში ზაფხულში დაიწყება, ამერიკელი და სხვა ქვეყნების მყიდველებს კი მისი შეძენის საშუალება წლის ბოლოდან ექნებათ. მწარმოებელი იმედოვნებს, რომ ყოველწლიურად 2500 ცალი "V8 ვენტიჯის" რეალიზებას შეძლებს.

# ხუან მანუელ ფანხიოს პატივსაცემად

სხვა მსგავსი კომპანიებისგან განსხვავებით, პატარა იტალიური კომპანია "პაგანი" სრულიად დამოუკიდებელია და ამის მიუხედავად, წლების განმავლობაში, საკმაოდ წარმატებულადაც მოღვაწეობს სუპერავტომობილების კლასში. მისი სამოდელო გამა სულ ერთ ავტომობილს, სუპერკუპე "ძონდას" და მის მოდიფიკაციებს ითვლის, თუმცა ამითაც ახერხებს შეზღუდული რაოდენობის მყიდველთა შორის პოპულარობის შენარჩუნებას, შიგადაშიგ კი მის განახლებაზეც ზრუნავს.

"ძონდა" ყოველთვის ითვლებოდა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ ავტომობილად. თითქოს, რა უნდა სურდეს ამაზე მეტი ავტომწარმოებელს, მაგრამ არა, "პაგანი" ამით არ დაკმაყოფილდა და თავისი პროდუქციის დამფასებელს ჟენევის ავტოსალონზე თავისი ფლაგმანის კიდევ ერთი მოდიფიკაცია შესთავაზა, რომლის სახელსაც წინამორბედებისგან ინდექსი F განასხვავებს.







თუ საიდან მოვიდა ინდექსი F, ამას საინტერესო ისტორია აქვს. თავის დროზე, როცა ჰორაციო პაგანიმ თავისი პატარა ფირმა შექმნა და მოდელ "ძონდაზე" დაიწყო მუშაობა, კონსულტანტობას მას ლეგენდარული არგენტინელი, ფორმულა ერთის ხუთგზის ჩემპიონი ხუან მანუელ ფანხიო უწევდა. პაგანი იხსენებს, რომ დიდი ჩემპიონის უამრავი რჩევა გაითვალისწინა და სწორედ ამიტომაც გამოუვიდა ასეთი კარგი ავტომობილი. ჰოდა, დღეს მან გაწეული სამსახურისთვის გვიან, მაგრამ სამაგიეროს მიზღვა გადაწყვიტა - F ფანხიოს ნიშნავს, "პაგანის" ახალი სუპერკუპეს სრული სახელწოდება კი ასე ჟღერს - "პაგანი ძონდა ფანხიო".

ეს ავტომობილი საბაზო მოდელთან შედარებით უფრო მსუბუქი, მძლავრი და რა თქმა უნდა, სწრაფია. შექმნის დროს კუპემ დიდი დრო გაატარა აეროდინამიკურ მილში და შედეგად, რიგი ცვლილებები განიცადა. კერძოდ, ის უფრო გარსშემოდენილი გახდა. შეიცვალა უკანა ფრთისა და სარკეების მოყვანილობა, რის შემდეგაც ავტომობილი ნაკლებად "აშფოთებს" ჰაერის ნაკადს და ამდენად, მისი აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტიც შემცირდა.

ავტომობილმა მიიღო სხვანაირი მოყვანილობისა და უფრო დიდი ზომის უკანა დიფუზორი, რომლის მეშვეობითაც, დიდი სიჩქარით მოძრაობისას, მის უკან ჰაერის გაუხშოება მცირდება და იზრდება ავტომობილის გზის საფართან ჩაჭიდულობის ძალა. აეროდინამიკურ ცვლილებებს განეკუთვნება ისიც, რომ შეიცვალა ძრავისა და მუხრუჭების ჰაერის ამღებთა მოყვანილობა. შედეგად, უფრო ეფექტურია ძრავის ჰაერის მომარაგება და მუხრუჭებიც უკეთ გრილდება, რასაც ავტომობილის გაზრდილი ტემპერამენტის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რაც შეეხება ავტომობილის აღჭურვილობას, "პაგანი ძონდა F-ის" ბაზაში, მძღოლის სავარძლის უკან განლაგებულია სტუდია AMG-ს მიერ მოდიფიცირებული, "მერსედეს-ბენცის" წარმოების V12 ძრავი, რომლის მუშა მოცულობა 7.3 ლიტრამდე, სიმძლავრე კი 620 ცხენის ძალამდე გაიზარდა. ძრავისგან უზარმაზარი მაბრუნი მომენტი წამყვან უკანა ბორბლებს 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფის გავლით მიეწოდება.

უკანა ბორბლების დიამეტრი 20 დუიმია და მათზე ჩაცმულია 335/30 ზომის საბურავები. წინა ბორბლების ზომა კი 19 დუიმია და ისინი შემოსილია 255/350 ზომის რეზინით. სამუხრუჭე სისტემაში გამოყენებულია 380 მმ (წინ) და 355 მმ (უკან) დიამეტრის მქონე სამუხრუჭე დისკოები, რომლებსაც ემსახურება 6 და 4-ცილინდრიანი სუპორტები (დამჭერები). სხვათა შორის, "პაგანი" მყიდველს დამატებითი საფასურის გადახდის შემთხვევაში, კერამიკულ სამუხრუჭე სისტემებს სთავაზობს, რომლებიც უფრო ეფექტურად კი მუშაობს, მაგრამ გაცილებით მცირე რესურსი გააჩნია.

მწარმოებლის მონაცემებით, "პაგანი ძონდა F" ადგილიდან 100 კმ/სთ-მდე აჩქარებას 3.6 წამში ასწრებს, 200 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად კი 9.8 წამი ჰყოფნის. ავტომობილის სპიდომეტრის დანაყოფზე კი მაქსიმალურ სიჩქარედ 345 კმ/სთ-ია აღნიშნული.

"პაგანი" ჯერჯერობით არაფერს იტყობინება თავისი ახალი შედევრის ღირებულების შესახებ. თუმცა, საქვეყნოდ აცხადებს, რომ ფანხიოს სახელობის "ძონდა" კონკურენციას გაუწევს ისეთ სუპერკარებს, როგორებიცაა "ფერარი ენცო" და "პორშე კარერა GT", რომელთა ფასი ნახევარ მილიონ ევროზე მეტია.

**გვერდი მოამზადა**
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

## ორშაბათი 16.05

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტენკო **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.35** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ტენკო **18.30** პატრული **19.00** ყველაზე ჭკვიანი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "მძაფრი შეგრძნებები" (18) (ერიკ რობერტსი) **02.00** პატრული

### 1-ლი არხი

**08.00** დოკ. ფილმები **10.00** სერიალი "დანაშაული" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ბიოგრაფიული პორტრეტები -პინოჩეტი **16.30** დოკ. ფილმი "შორიდან დანახული კანის ფესტივალი" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** "მედიატორი" **19.30** გზაჯვარედინი **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **21.30** კონცერტი **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი **23.30** მხ. ფილმი "თოჯინა" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "მეტოქეები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **13.05** "ჯეოსტარი" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **21.00** "ჯეოსტარი - ფილარმონია" **23.10** კრიმ. სერიალი "სთშ" **00.00** მხ. ფილმი "ამაზონები და გლადიატორები" (15) (პატრიკ ბერგინი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ზღვების რაჯა" **19.50** "ბაბილინა" **20.05** დოკ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულისა და ბეწვის ქვეშ" **20.30** დოკ. სერიალი "მხატვრები და პროვანსი" **20.55** დოკ. ფილმი "კორტო მალტეზის 13 ცხოვრება" **21.45** კონცერტი **22.35** კინოსეანსი "მადამ ბოვარი" 1-ლი ს.

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.30, 03.05** იმედის მელოდიები **12.40, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** "არ იდარდო" **17.10** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად **02.25** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.40** სათავ. ფილმი "ფათერაკების მაძიებელნი" **12.40** მხ.ფილმი "ძიება წარსულში" **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **15.05** თრილერი "მსაჯული" **18.10** მულტფილმი **18.30** ნოვოსტი **19.10** "სილამაზის ხელოვნება" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** კომედია "ჯაშუში ვარ" **22.40** "პროექცია" **23.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტის პირამიდები" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მისტიკა "თვალი-2" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**Профилактика. 12.00, 15.00, 18.00** Новости **12.20** Александр Збруев в фильме **"КОЖА САЛАМАНДРЫ". 14.20** Спецрасследование. "Врачебная ошибка". **15.20** Сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** "Звезды юмора" на Первом. **18.40** Сериал **"КЛОН". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Многосерийный фильм **"УМНОЖАЮЩИЙ ПЕЧАЛЬ". 22.40** Док. фильм "Русская звезда Голливуда". **23.30** Ночное "Время". **00.00** Док. фильм "Красота из-под скальпеля. Новое лицо". **00.30** Искатели. "Крещение Владимира". **01.00** Бриджит Фонда в триллере **"ПРОСТОЙ ПЛАН".** Братья Хэнк и Джейкоб Митчелы и их приятель Лу Чемберс случайно находят в лесах Миннесоты потерпевший крушение самолет. В нем - погибший летчик и сумка с сумасшедшими деньгами: четыре миллиона четыреста тысяч долларов. Хэнк предлагает заявить о случившемся властям. Но после долгих терзаний и размышлений друзья решают оставить деньги себе и на время затаиться. Вдруг их хозяин не обнаружится? **02.50** Пит Постлетвейт в комедии **"КРЫСА". 04.20** Док. фильм "Камикадзе".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.00** Совершенно секретно. Информация к размышлению. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00** "Сегодня" **10.15** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **10.45** Инна Чурикова в фильме **"КУРОЧКА РЯБА". 13.35** Сериал **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА". 15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ: ЛЕБЕДЯНЬ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Игорь Ботвин в остросюжетном сериале **"РИЭЛТОР". 20.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: ПАДЕНИЕ РУБЛЯ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сара Джессика Паркер в сериале **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"РИЭЛТОР". 01.15** Журнал Лиги чемпионов. **01.45** Гэбриел Бирн в остросюжетном фильме **"ГОТИКА". 1816** год. На виллу в Швейцарии, где живет лорд Байрон с доктором Полидори, своим бывшим любовником, приезжают: поэт Перси Биши Шелли с супругой Мэри и Клэр, ее сводная сестра. Опиум, алкоголь и свободная любовь одновременно делают свое дело: обитатели виллы вызывают из подсознания свои самые тайные страхи и постепенно понимают, что уже не могут с этим справиться, что страх начинает управлять их поступками... **03.10** Д.У.Моффетт в мелодраме **"ВСЕ ТОЛЬКО ХОРОШЕЕ" 1**-я серия. **04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

## სამშაბათი 17.05

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტენკო **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 00.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "პროფესიონალი" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ტენკო **18.30** პატრული **19.00** ყველაზე ჭკვიანი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** მხ. ფილმი "კონი და კარლა" (18) (ნია ვარდალოსი) **01.10** პატრული

### 1-ლი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "მიხეილ ჭიაურელი" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "კამელოტის ქალები" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ბერმუდის სამკუთხედის ფსკერზე" **23.00** პროფესიონალი -რესტავრატორი **23.30** მხ. ფილმი "სურამის ციხე" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "ამაზონები და გლადიატორები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** კრიმ. სერიალი "სთშ" **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "კავშირი", "გურული ფიარები", "გაფითრებული თებერვლის ლანდი" **00.00** მხ. ფილმი "მცველი" (გ) (ა. კაიდანოვსკი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** დოკ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულისა და ბეწვის ქვეშ" **20.30** დოკ. სერიალი "მხატვრები და პროვანსი" **20.55** დოკ. ფილმი "დაზევრვის ცენტრალური ბიურო" **21.45** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **22.10** კინოსეანსი "მადამ ბოვარი" მე-2ს.

### იმედი

**07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **12.40, 16.25, 04.00** ტვ-მარკეტი **13.15** სპ. პროგრამა "ოლიმპიური ინტერიერი" **13.45** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.50** ქრონიკა **17.10, 05.15** იმედის მელოდიები **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **22.40** პირველები **23.40** მხ. ფილმი "მაფიის პატარძალი" (15) (ჯ. რობერტსი) **02.55** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი) **04.35** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექცია" **10.30** დოკ. ფილმი "ეგვიპტის პირამიდები" **11.50** "სილამაზის ხელოვნება" **12.05** კომედია "ბაიკერები" **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **15.05** მხ.ფილმი "მექსიკელი" **18.10** მულტფილმი **18.30** ნოვოსტი **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** თრილერი "ორ ცეცხლს შუა" **22.50** "მოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მელოდრამა "ვარდნა ზევით" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** Доброе утро **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Многосерийный фильм **"УМНОЖАЮЩИЙ ПЕЧАЛЬ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Ита Эвер в детективе **"ТАЙНА "ЧЕРНЫХ ДРОЗДОВ" 14.10** Людмила Целиковская. Док. фильм "Любовь и коварство". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** "Звезды юмора" на Первом. **19.50** Многосерийный фильм **"МОЯ ГРАНИЦА". 21.00** Время. **22.40** Спецназ. "Штурм на Васильевском острове". **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Сергей Супонев". **00.20** "Крылья". **00.50** Лариса Удовиченко в трагикомедии **"КАКАЯ ЧУДНАЯ ИГРА".** Послевоенные годы. В стране идет очередная волна арестов, паспортный режим. Обитатели студенческого общежития ВГИКа, невзирая на голод и холод, пытаются скрасить свое нелегкое существование шутками и розыгрышами. Молодость есть молодость, но суровое время безжалостно и к молодым! И однажды дружная компания попадет в КГБ... **02.30** Питер Гэллэгер в триллере **"ТАМ ВНУТРИ".** После нескольких лет отсутствия Майкл Чамберс возвращается в свой родной Техас, чтобы присутствовать на свадьбе матери. Когда-то он был вынужден спешно покинуть город, оставив большие долги, родных и возлюбленную Рэйчел. Теперь он намерен отыскать ее, вернуть назад и наладить жизнь. Майк устраивается охранником и начинает работать вместе с новым мужем матери на инкассаторской бронированной машине. А вскоре оказывается втянутым в неприятную криминальную историю... **04.20** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **08.55** Сериал **"Я ВСЕ РЕШУ САМА". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00** "Сегодня" **10.15** Чистосердечное признание. **10.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6". 11.55** Сериал **"РИЭЛТОР". 13.35** Нонна Мордюкова в фильме **"РУССКОЕ ПОЛЕ".** После долгих лет совместной счастливой жизни Авдей ушел от Фени, полюбив красавицу Настенку. И если бы не сын и сочувствующие односельчане, Феня не смогла бы выстоять под ударами жестокой судьбы... **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ: ДЫМ В ЛЕСУ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"РИЭЛТОР". 20.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: ПОГРАНИЧНОЕ СОСТОЯНИЕ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"РИЭЛТОР". 01.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ". 02.35** Бильярд. **03.10** Мелодрама **"ВСЕ ТОЛЬКО ХОРОШЕЕ". 2**-я серия. **04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

## ოთხშაბათი 17.05

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.35** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "კონი და კარლა" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ადამიანი-ობობა **18.30** პატრული **19.00** ხალხის პირისპირ **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "სასოწარკვეთილი დიასახლისები" **23.30** ფეხბურთი. უეფას თასი. "სპორტინგი" -"ცსკა" **03.00** პატრული

### 1-ლი არხი

